ეგზიტპოლები - მხოლოდ ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ A2 | დელეგატობა „უფასო ანალიზების" ხათრით A2 | ევროისტორია A8


# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 19 ივნისი, 2003 წელი. №166 (378) | ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### მორიგი უშედეგო დღე პარლამენტში

გუშინდელი დღე პარლამენტში მოვლენებით და პოლიტიკური განცხადებებით გაჯერებული აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, პლენარულ სხდომას ნაყოფიერს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რადგან პარლამენტმა ვერც ერთი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, ხოლო ოპოზიციამ სხდომის ბოიკოტირება კვლავ გააგრძელა. გადაიდო აფხაზეთის საკითხის განხილვაც. გარდა ამისა, ფრაქციებმა გუშინაც ვერ შეაჯერეს პოზიციები საარჩევნო ადმინისტრაციებთან და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

A3

## ეკონომიკა

### გენპროკურორი ენერგოსექტორში სერიოზული დანაშაულის გამოაშკარავებას აპირებს

გენერალური პროკურორი ენერგოსექტორში სკანდალური საქმეების გახსნით იმუქრება, ფინანსთა მინისტრი კი დღეს ყველა იმ უწყების პირველ პირს დაასახელებს, ვინც ბიუჯეტის შესრულებაში სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

A4

## უცხოეთი

### სომხეთში „იტერა" „გაზპრომმა" შეცვალა

"გაზპრომმა" სომხეთში გაზის ექსპორტი დაიწყო. კომპანიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, რუსული გაზის მონოპოლისტი მიმდინარე წელს სომხეთისათვის 660 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიწოდებას გეგმავს.

A5

## საზოგადოება

### მუზეუმის სატყუარა - გასართობი ტიპის კომპლექსი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, გუშინ, ზუგდიდში დადიანების სახლმუზეუმის ეზოში მიმდინარე უკანონო მშენებლობის დაკანონების გადაწყვეტილება მიიღო.

A6

## სამართალი

### გამტაცებელთა ბრალეულობა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს

გუშინ, სახალხო დამცველის ოფისი ორსაათნახევრის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლის, გაწევ-გამოწევისა და ცემა-ტყეპის არენად იქცა...

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | ☼ |
| ქუთაისი | 27 | ☼ |
| ბათუმი | 23 | ☼ |
| სოხუმი | 24 | ☼ |
| ფოთი | 24 | ☼ |
| თელავი | 24 | ☼ |
| ზუგდიდი | 26 | ☼ |
| გორი | 23 | ☼ |
| ახმეტა | 24 | ☼ |
| ჭიათურა | 27 | ☼ |
| გაგრა | 23 | ☼ |
| სამტრედია | 27 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5399 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6105 |
| რუბლი | 0.0706 |

# ნატო-ს სამხედრო სწავლებები და ახალი პოლიტიკური რეალიები

*16 ივნისს სომხეთში დაიწყო ნატო-ს "მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამის" ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მრავალეროვნული სწავლება, სახელწოდებით "ბესთ ეფორტ 2003", რომელსაც გასულ წელს საქართველომაც უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის არსებობის 10 წლის განმავლობაში ნატო-ს მანევრები სომხეთის ტერიტორიაზე პირველად ტარდება და იგი გარკვეულ სამხედრო-პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს.*

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"*

"16 ივნისს სომხეთში უპრეცედენტო მოვლენა მოხდა, რომელმაც რამდენიმე წუთში შეცვალა ისეთი ცნებები, როგორიცაა ისტორია, ისტორიული სამართლიანობა, სომხეთის მართლმსაჯულება. პირველად სომხეთის ტერიტორიაზე გაისმა თურქეთის ჰიმნი. ამ დროს მთელი ჩვენი მთავრობა სრული შემადგენლობით, თვით დაშნაკი მინისტრების ჩათვლითაც კი, იძულებულნი იყვნენ, ფეხზე ამდგარიყვნენ," - ასე აღწერდა სომხური მედია ერევანში, სომხეთის აკადემიის ბაზაზე მიმდინარე ნატო-ს სამშვიდობო სწავლების "ბესთ ეფორტ 2003"-ის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს ვითარება სკანდალად გადაიქცეოდა, სწავლებაში მონაწილეობა აზერბაიჯანის ქვედანაყოფსაც რომ მიეღო. არადა, თავდაპირველი გეგმით "ბესთ ეფორტ 2003"-ში აზერბაიჯანის მიწვევაც იგეგმებოდა და ბაქომ მხოლოდ ბოლო მომენტში თქვა უარი. სამაგიეროდ, ძალიან თავშეკავებული გახლდათ თავად სომხეთის ხელისუფლების რეაქცია პრესის კრიტიკაზე. სომხეთის თავდაცვის მინისტრმა, პრეზიდენტ კოჩარიანის შემდეგ ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკურმა ლიდერმა, სერჟ სარქისიანცმა განაცხადა, რომ ნატო-ს მანევრების სამხედრო მნიშვნელობა პოლიტიკურს უთანაბრდება და დასძინა: **"კარგი იქნებოდა, რომ, როგორც ერთობლივი სწავლებების დროს ხდება, მრავალეროვნული ძალები პოლიტიკაშიც შეეცადონ საერთო საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# უშედეგო შეხვედრა და პესიმისტური პროგნოზები

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში დასრულებული სამმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ, მოსკოვის ანალიტიკურ წრეებში გაჩნდა მოსაზრება, რომ სამუშაო ჯგუფების მიერ დეკლარირებული კონსტრუქციული დიალოგის მიუხედავად, მხარეთა შორის კონფრონტაცია, მორიგი კონსულტაციების წინ, უფრო გაღრმავდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დაპირისპირება პასუხისმგებლობის ასაცილებლად

### რატომ შელაპარაკდნენ სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრი

თამარ ხორბალაძე

*ხელისუფლებაში ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლა მორიგ კულმინაციურ წერტილს აღწევს. ამჯერად სიტუაცია განსაკუთრებით იძაბება მირიან გოგიაშვილის ირგვლივ, რომლის დაპირისპირება სახელმწიფო მინისტრთან და სახელისუფლებო ბლოკის სხვა ლიდერებთან უკვე ძალიან აშკარა გახდა. ორიოდე დღის წინ სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში ნამდვილად მომხდარი შელაპარაკება, რომელსაც მხარეები ოფიციალურად უარყოფენ, ნათელი დადასტურება გახლდათ იმისა, რომ ფინანსთა მინისტრის და სახელისუფლებო ბლოკის ხელმძღვანელობის ერთ გუნდში თამაში ერთობ გართულებულია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

*გამოიწვევს თუ არა ჭორბენაძის და გოგიაშვილის დაპირისპირება სამთავრობო კრიზისს?*

# საბიუჯეტო პანიკა თუ აურზაური ყველაფრის გამო?

**დამატებით 40 მილიონი ლარის ბრუნვაში გაშვება დიდი საფრთხეა**

სოფიკო ოხანაშვილი

*სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან სამშაბათს კომერციული ბანკების ხელმძღვანელების შეკრებამ დიდი მითქმა–მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კულუარული ინფორმაციით, ხელისუფლება მიმდინარე საპენსიო და სახელფასო დავალიანებების დასაფარავად და წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად სახაზინო ვალდებულებების განაღდებისთვის, გეგმით გათვალისწინებული 22 მილიონის გარდა, ბრუნვაში დამატებით 40 მილიონი ლარის გაშვებას აპირებს. ეს ვერსია კატეგორიულად უარყვეს როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასევე თათბირზე საგანგებოდ მიწვეულმა ექსპერტებმაც და კომერციული ბანკების წარმომადგენლებმაც. ამას დაემატა ისიც, რომ გუშინ ფინანსთა სამინისტრომ აუქციონზე 4,5 მილიონი ლარის ოდენობის სახაზინო ვალდებულებები მაღალი საპროცენტო განაკვეთით (68 პროცენტი) გაყიდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტარები შაშიაშვილის წინააღმდეგ და პირიქით

მერაბ მეტრეველი

ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა, შოთა სანდუხაძემ, პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე შაშიაშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა. მას მხარი "ტრადიციონალისტმა" გუბაზ სანიკიძემაც აუბა და, ასე გაჩნდა იმერეთის გუბერნატორის საქმის ოსაძის საგამოძიებო კომისიისთვის გადაცემის იდეა. სანდუხაძემ და სანიკიძემ თავიანთი მოთხოვნა ბრალდებებით გაამყარეს, რომელთაგან ზოგი სოციალური ხასიათის იყო, ზოგიც - პოლიტიკური.

**"როცა პრეზიდენტის რწმუნებული ხან აცხადებს, რომ აფხაზეთში ომს იწყებს, ხან რუსის ჯარს ელობება და გადაადგილების საშუალებას არ აძლევს, ამას დაერთო ელექტროენერგიის გათიშვებთან დაკავშირებით დაუმორჩილებლობის მოწოდება - რამდენად სახელმწიფოებრივია ეს განცხადებები? ჩემი აზრით, პოლიტიკის ჩარჩოებში არ ჯდება, როცა პრეზიდენტის რწმუნებული პრეზიდენტის კურსის წინააღმდეგ მიდის. ეს კაცი, უკვე ათი წელია, იმერეთს ერთპიროვნულად მართავს. ქუთაისს კი წყალი და შუქიც არა აქვს. ვითომ ქურდების დაჭერას ითხოვდა, მაგრამ მხოლოდ ის დაიჭირა, ვისი დაჭერაც აძლევდა ხელს. ის აცხადებს, რომ მას ებრძვიან. ხელს ხან პრეზიდენტის გარემოცვისკენ იშვერს და ხან - პარლამენტისკენ. თუ ასეა, მაშინ მე მის საქმეს ვაკეთებ, როცა ამ საქმის საგამოძიებო კომისიისთვის გადაცემას ვითხოვ. გამოიძიოს კომისიამ, ვინ უშლის ხელს და თუ ასეთი არავინ აღმოჩნდა, მაშინ აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და გადადგეს,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბარში სანდუხაძემ. ამასთან, ისიც დაამატა, რომ შაშიაშვილის საწინააღმდეგო დოკუმენტების მოძიებაზე თხუთმეტკაციანი ჯგუფი მუშაობდა და ამ დოკუმენტებს სულ მალე ოსაძის მაგიდაზე დაალაგებს.

სანდუხაძის და სანიკიძის ინიციატივას ღიად დაუჭირეს მხარი "სოციალისტებმა" და "აღორძინებამ". პარლამენტის სხდომაზე ამ თემას პარლამენტის თავმჯდომარეც გამოეხმაურა და მისი ტონიც საკმაოდ კრიტიკული იყო. მართალია, მას კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ ქუთაისში და, ზოგადად, იმერეთში არსებულ გაუსაძლის ვითარებაზე მაინც ისაუბრა. ნინო ბურჯანაძის ქუთაისის მაჟორიტარობაზე დაწყებული საუბრები, მის გამოსვლას პოლიტიკურ ელფერს სძენს. ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ჩვენთან საუბარში კიდევ ერთმა ქუთაისელმა დეპუტატმა დოდო შელიამ. იგი შაშიაშვილის

გაგრძელება A2 გვერდზე

# რა არის მოდაში ახლა




*თავისუფალი სტილი არასდროს გამოდის მოდიდან.*

# პირველი შემთხვევა - გამოძიებამ მკვლელობის შემკვეთი დაასახელა

სოფიკო ჩხაიძე

*ბოლო დროის ქართულ სამართლებრივ ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა – გამოძიებამ მკვლელობის შემკვეთი დაასახელა. თუმცა, არის ერთი დეტალი, რომლის აღნიშვნაც ამ შემთხვევაში უმნიშვნელო არ უნდა იყოს – მკვლელობა, რომელიც შეუკვეთეს, არ მომხდარა, მკვლელობის შემკვეთი კი ქართველი სამართალდამცველებისთვის მიუწვდომელია. მიუხედავად ამისა, საქართველოს გენერალური პროკურატურა მოუთმენლად ელის, როდის გასცემს სასამართლო ვალმერ ბუთბას დაკავების სანქციას.*

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა დაასრულა იური ფურმანოვისა და ბაჩუკი ყოლბაიას საქმის გამოძიება. საგამოძიებო მასალების თანახმად, ამ წყვილს "ტყის ძმების" თავკაცის დავით შენგელიას მკვლელობა ჰქონდათ დავალებული.

"ეს საშიში, ძალიან საშიში ქილერია, მსგავსი ჩვენ ჯერ არ დაგვიჭერია", - ამბობდნენ თავის დროზე ქართველი

გაგრძელება A7 გვერდზე

# რუსეთის მთავრობა უნდობლობის ვოტუმს გადაურჩა

გუშინ რუსეთის დუმამ კასიანოვის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი განიხილა. უნდობლობის ვოტუმს მხარი დაუჭირა 172-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 163. მთავრობა გადარჩა, რადგან, კონსტიტუციის თანახმად, მის გადაყენებას 226 ხმა სჭირდება.

მთავრობის გადაყენების მოთხოვნით რუსეთის პარლამენტში გამოვიდა ორი ფრაქცია: "იაბლოკო" და კომუნისტები. ლიბერალებისა და მემარცხენეების ალიანსი მიმომხილველებმა მოულოდნელობად აღიქვეს. ხელისუფლების მხარდამჭერმა პარტიებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ამ ორ პარტიას წინასაარჩევნოდ ქულების დაგროვება სურს და "ეს სპექტაკლიც ამიტომ დაიდგა".

მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილემ ვოლინმა განაცხადა: "უნდობლობის ვოტუმის ინიციატორებს მხოლოდ ერთი სურვილი აქვთ, რომ მათზე ილაპარაკონ, ამიტომ ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებთ".

თანამდებობის დაკარგვის შიში მაინცდამაინც არც კასიანოვს აწუხებს. იგი დუმაში საერთოდ არ გამოცხადდა და პეტერბურგში გაემგზავრა.

არადა, მთავრობის პოზიციები, ერთი შეხედვით, არც ისე მტკიცედ გამოიყურება. მოსახლეობის 2/3 აცხადებს, რომ უკმაყოფილოა მინისტრთა კაბინეტის მუშაობით. მთავრობას ხშირად აკრიტიკებს თავად პრეზიდენტიც, რომელიც თავისი გრანდიოზული იდეების წარუმატებლობას ხშირად ბიუროკრატების უსულგულობით ხსნის. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსულ პოლიტიკაში მთავრობა მეხამრიდის როლს ასრულებს. კრიტიკას იგი თავისკენ იზიდავს და ამით კრემლს იცავს.

გაგრძელება A5 გვერდზე


A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ევროისტორია

B2 რევიუ | B3 ისტორია | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

## პარლამენტარები შაშიაშვილის წინააღმდეგ და პირიქით

პირველი გვერდიდან

დამცველად მოგვევლინა. შელია, თავიდან, პარლამენტში სმკ-ს სიით მოხვდა, მერე "ახლებში" გადავიდა, დღეს კი დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით სარგებლობს. **"ქუთაისი ყველას საარჩევნოდ ახსენდება - სანდუხაძესაც და პარლამენტის თავმჯდომარესაც. ქალბატონი ნინო ქვეყანაში მეორე პირია და მარტო ლაპარაკს, ურჩევნია, რაღაც პრობლემა მაინც მოაგვაროს. თუ არ შეუძლია, მაშინ რაში უნდა ასეთი თანამდებობა?"** – გვითხრა ქალბატონმა შელიამ.

თავად შაშიაშვილი კი ამ ბრალდებებს ქუთაისიდან გამოეხმაურა - სპეციალური ბრიფინგი მოაწყო და პარლამენტს შეუტია. როგორც ჩანს, ისიც ამ ყველაფერს მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს და თითს ჟვანიასკენ იშვერს, ეს იმიტომ, რომ სანდუხაძე "გაერთიანებული დემოკრატების" ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელია. სანდუხაძემ ჩვენთან საუბარში ამ საქმეში ჟვანიას მონაწილეობა უარყო, თუმცა განაცხადა, რომ პარტიის ლიდერს განცხადების გაკეთება, უბრალოდ, წინასწარ შეუთანხმა. შაშიაშვილის ოფიციალური კომენტარი კი ასე ჟღერდა: **"პარლამენტში ბევრი ტუტუცია და ურჩევნიათ, საკუთარ თავს მიხედონ. შემოდგომა ახლოვდება და შემოდგომის ბუზებივით მწარედ იკბინებიან. მე მზად ვარ, ოსაძეს ქუთაისში ვუმასპინძლო და ყველაფერში გავარკვიო. ისე, კარგი იქნება, თუ მას ვაჟკაცობა ეყოფა და პარლამენტარების საქმიანობას გამოიკვლევს."**

## ეგზიტპოლები - მხოლოდ ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ

### ასეთია ევროსაბჭოს ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაცია

ლელა მჭედლიძე

დამთავრდა ორდღიანი სემინარი "მედია და პოლიტიკოსები არჩევნების პერიოდში". ევროსაბჭოს ექსპერტებმა, ქართველ მასპინძლებთან ერთად, შეკრების შედეგები შეაჯამეს და რამდენიმე რეკომენდაციაც შეიმუშავეს.

გუშინ, სემინარის მეორე დღეს, მონაწილეთა რიგები კიდევ უფრო შეთხელდა. როგორც საგანგებო დავალებათა ელჩი, სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორი ნანა ავალიანი სინანულით აღნიშნავდა, პარლამენტის სესიის გამო, სემინარს ის თითზე ჩამოსათვლელი დეპუტატებიც გამოაკლდნენ, რომლებიც წინა დღეს შეკრებას ესწრებოდნენ. პარლამენტის წევრების გარეშე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებმა სულ სამი "ანბანური" რეკომენდაცია მიიღეს: მედიის რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მხოლოდ მედიის წარმომადგენლებთან შეთანხმებით მიღება; სახელმწიფო ტელევიზიაში წინასაარჩევნოდ მომზადებულ გადაცემათა და უფასოდ გამოყოფილი საეთერო დროის უფრო ეფექტურად გამოყენება; ეგზიტპოლებზე უარის თქმა საარჩევნო უბნების დახურვამდე და არა არჩევნების დღის დასრულებამდე. ყველაფერი ეს მოხდა იმ გამოსვლების შემდეგ, რომელიც, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციათა და მასმედიის რამდენიმე წარმომადგენელს ეკუთვნოდა.

"დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრის" დირექტორს ბადრი კოპლატაძეს ეჭვი ეპარებოდა საინფორმაციო საშუალებების ობიექტურობაში. ახლა ყველა ტელევიზია მეტ-ნაკლებად ცდილობს ობიექტური პოზიციის დაკავებას, თუმცა, ვფიქრობ, თითოეული მათგანი საკუთარ მიზანს და ფინანსურ ინტერესებს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის გამოაჩენს. ახლა ჟურნალისტებისთვისაც საკმაოდ მძიმე პერიოდი დგება, რადგან თითოეული პოლიტიკოსი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ჟურნალისტისთვის ფსევდოინფორმაციის შეტყუებას შეეცდება. ჟურნალისტი კი ვალდებულია, რომ ფსევდოინფორმაცია რეალურისაგან განასხვაოს. გარდა ამისა, რეგიონულ ტელევიზიებს ყურადღების მიქცევა სჭირდებათ, რადგან წინა არჩევნების პერიოდში სწორედ მათ ჰქონდათ ყველაზე მეტი პრობლემები და ახლაც ასე იქნება, - ასეთი იყო მისი გამოსვლის ძირითადი აზრი.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისათვის საეთერო დროის და პოლიტიკური რეკლამის თემა გუშინაც აქტუალური იყო. ერთი პირობა პოლიტიკური რეკლამის საერთოდ გაუქმების იდეაც კი წამოიჭრა, თუმცა, დამსწრეებმა იქვე აღიარეს, რომ ამით მასმედიის წარმომადგენლებს საარსებო პურს, შემოსავლის წყაროს წაართმევდნენ. **"სულაც არ არის აუცილებელი, რომ სახელმწიფო ტელევიზია სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს იცავდეს. მერე რა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. იგი ფინანსდება ჩვენი - ჩვეულებრივი გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე. ამას მე ჯერ კიდევ 1988 წელს, სახელმწიფო ტელევიზიაში მუშაობისას ვაცხადებდი. ასეთივე პოზიცია ჰქონდათ მამუკა არეშიძეს და მერაბ კოკოჩაშვილს",** - ასეთი განცხადება გააკეთა სახალხო დამცველმა, რომელიც, შეგახსენებთ, სახელისუფლებო ბლოკის, "სოციალისტების" წარმომადგენელია. მისივე განმარტებით, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიებიდან უმეტესობას სახელმწიფო ტელევიზიის მიერ წინასაარჩევნოდ გამოყოფილი ეთერი აუთვისებელი რჩება ხოლმე.

### ჰაიდი ტალიავინმა და ვალერი ლოშჩინინმა აფხაზეთის კონფლიქტზე იმსჯელეს

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ და რუსეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ვალერი ლოშჩინინმა გუშინ მოსკოვში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

მხარეებმა თავისი მოსაზრებები გამოთქვეს კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებასთან და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მათ დეტალურად განიხილეს იმ ღონისძიებათა რეალიზაციის მდგომარეობა, რომლებიც კონფლიქტის მოსაგვარებლად 2003 წლის 19-20 თებერვალს ჟენევაში გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩებმა და 6-7 მარტს სოჭში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა შეიმუშავეს.

განსაკუთრებული ყურადღება გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჟენევაში დაგეგმილი მეორე შეხვედრის მომზადებას დაეთმო, რომელიც სავარაუდოდ, 2003 წლის ივლისში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

### ცხინვალი იმუქრება

სამხრეთ ოსეთის თავდაცვის და საგანგებო სიტუაციების მინისტრი, პოლკოვნიკი ვალერი თედეევი აცხადებს, რომ ბოლო დროს ამოუცნობი ვერტმფრენების მიერ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევებმა შეიძლება "ომი გამოიწვიოს".

როგორც მან განაცხადა, ეს ფრენები "ქართული მხარის პროვოკაციაა".

ვალერი თედეევმა აღნიშნა, რომ ამ ფაქტებს როგორც ეუთოს, ისე შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების რეაქცია უნდა მოჰყვეს.

მან თქვა, რომ ოსურ მხარეს ამ ვერტმფრენების ჩამოგდება შეუძლია, მაგრამ ამას არ აკეთებს, რათა სიტუაცია არ გაამწვავოს.

როგორც ცხინვალის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა განაცხადა, ვერტმფრენი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე გორის რაიონის მხრიდან შემოფრინდა ცხინვალის დასავლეთ ნაწილში.

მისი თქმით, ვერტმფრენმა სტრატეგიული ობიექტების თავზე გადაიფრინა და უკან დაბრუნდა.

მურად ჯიოევმა აღნიშნა, რომ ასეთივე შემთხვევები მოხდა მაისის ბოლოს ცხინვალისა და ზნაურის რაიონებში.

გორის რაიონის პოლიციის უფროსმა რევაზ ქოთიაშვილმა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში თქვა, რომ ოსური მხარის განცხადებები თავად არის პროვოკაცია, რადგან არანაირი ფრენები ქართული მხრიდან არ ხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**

### მოკლედ

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ ვეტო დაადო პარლამენტის გადაწყვეტილებას "აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესის გამარტივების შესახებ" და დეპუტატებთან ურთიერთობის გარკვევამდე თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი პარლამენტში მარინა ფილია დროებით გაიწვია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იაღლუჯას სამხედრო პოლიგონზე გუშინ საჩვენებელი წვრთნები ჩაატარა მე-11 ბრიგადის 113-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ, რომელიც ერთი თვეა, ანტიტერორისტულ მომზადებას «წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" მესამე - ე.წ. "ჩარლის ფაზის" ფარგლებში გადის. საჩვენებელ წვრთნებში მონაწილეობდნენ ასევე შინაგანი ჯარისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ჯარისკაცები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის მონაცემებით, 2003 წლის 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით, რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების 20 წევრი დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დახურულ კარს მიღმა სამხედრო უწყების პირველ პირთა და უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს (ISAB) წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა.

თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფ დელეგაციას, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე ჰარი ჯონსონი და ამავე საბჭოს წევრი დევიდ სმიტი ხელმძღვანელობენ, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე და ამ უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები მასპინძლობენ. საუბრის ძირითადი თემა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურად გარდაქმნა და ამ პროცესის დაჩქარების პერსპექტივაა. **ინტერ-პრესი**

## დელეგატობა „უფასო ანალიზების" ხათრით

### მომავალ პარლამენტში შეიძლება ექსტრასენსიც ვიხილოთ

ვერიკო თევზაძე

*"როდესაც ოპოზიცია კაცურად ამბობს რაღაცას, მინდა გულში ჩავიკრა. როცა პოზიცია გამოდის და ისიც კაცურად ლაპარაკობს, ისიც მინდა გულში ჩავიკრა. ამიტომ, ჩემთვის არ არსებობს პოზიცია და ოპოზიცია, ჩემთვის არსებობს მართალი კაცი. აქედან გამომდინარე, ძალიან გთხოვთ, კონკრეტულად ვინმეს კრიტიკა ნუ იქნება, მხოლოდ საქმეზე ვისაუბროთ"... დიახ, ნურავის ვაწყენინებთ, სჯობს, ზოგადად ვილაპარაკოთ ყველაფერზეო, - შეაპარა დელეგატებს "სახალხო მოძრაობა საქართველოს უმუშევართა და ინტელექტუალთა კავშირის" გუშინდელ დამფუძნებელ ყრილობაზე კავშირის თავმჯდომარემ თამაზ ნანიტაშვილმა. ბატონი თამაზი არ ცხრებოდა: "თუ საქმეზე ვილაპარაკებთ, მზად ვარ, ფეხქვეშ გაგეგოთ, ხვალ დილამდე აქ გავათენო"... რეპლიკა დარბაზიდან: "დილამდეო, ხომ არ გაგიჟდა ეს კაცი? უმუშევრები კი ვართ, მაგრამ უსაქმურები ხომ არ ვგონივართ, შვილიშვილები გვყავს მოსავლელი და კიდევ ათასი საქმე გვაქვს ბოსტანში გასაკეთებელი".*




*თამაზ ნანიტაშვილის მხარდამჭერებს ჰგონიათ, რომ უმუშევარი ინტელექტუალები აუცილებლად უნდა მოხვდნენ პარლამენტში.*

ჩემს გვერდით მჯდომი წყნეთელი ქლბატონი დინარა გამომიტყდა: თურმე, ყრილობაზე იმისთვის მოვიდა, რომ სანაცვლოდ, უფასო ლაბორატორიულ გამოკვლევებს დაჰპირდნენ, **"მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში კი, ექსტრასენსი თამაზ ნანიტაშვილი გვიმკურნალებს".** აღმოჩნდა, რომ დელეგატების უმრავლესობა შეკრებას "უფასო ანალიზების" ხათრით ესწრებოდა.

ახალი კავშირის მხარდამჭერთა შორის დეპუტატი დავით სალარიძეც გახლდათ. ბატონი დავითი და, საერთოდ, ყველა გამომსვლელი ფიქრობდა, რომ პრობლემაზე საუბრისას პერსონიფიცირება საჭირო არ იყო. ყრილობის მონაწილეები, ზოგადად, ლანძღავდნენ ნიღბიან თაღლითებს, ქვეყნის წურბელებს, ბიუჯეტჭამია ქართველებს... ერთ-ერთმა ინტელექტუალმა უმუშევარმა ისაუბრა გალაქტიკაზე, როგორც ენერგეტიკულ პლაზმაზე, სამყაროს მაცოცხლებელი კოსმოსური გონის კანონზომიერებაზე და საბოლოო ჯამში დაასკვნა, რომ თამაზ ნანიტაშვილი ფენომენალური ადამიანია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთმა გამომსვლელმა ქალბატონმა, რომელიც თავის თავს ნათელმხილველს უწოდებდა, საზოგადოებას მოახსენა – ღმერთთან პირდაპირი კავშირი მაქვს და მისი ფიქრები ქაღალდზე ლექსებად გადმომაქვსო... მეოთხე ლექსის წაკითხვას რომ აპირებდა, ქალბატონს შეაწყვეტინეს, დარბაზი გადაიღალაო.

სალარიძის გარდა, ახალი კავშირის მხარდამჭერად მამუკა არეშიძეც დაასახელეს, მაგრამ, როცა გამოაცხადეს, სიტყვით მოგესალმებათო, აღმოჩნდა, რომ არეშიძე გაპარულა... ბატონმა სალარიძემ დელეგატებს ურჩია, 2 ნოემბერს სწორი არჩევანი უნდა გააკეთოთო. დანარჩენმა გამომსვლელებმა კი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე განაცხადეს, რომ თამაზ ნანიტაშვილი, რომელიც მოწოდებულია, **"ტანჯვისგან გაათავისუფლოს ადამიანები და სტრესისგან იხსნას მთელი საქართველო, ღირსია პარლამენტში მოხვდეს."**

**"ჩვენ უმუშევარი ინტელექტუალები კი არა, პენსიონრები ვართ და სჯობს, შვილიშვილებს მივხედოთ. მოსაკლავი მყავს თამარა, ჩემი მეზობელი, შემაცდინა, გამოვიდეს დარბაზიდან, შავ დღეს დავაყრი!.."** - ვინაობა არ გამიმხილა ყრილობით უკმაყოფილო ქალბატონმა, რომელსაც ინტელექტი ნამდვილად არ აკლდა.

რაც შეეხება თავად თამაზ ნანიტაშვილს, გუშინ იგი ისეთ ექსტაზში იყო შესული, რომ ემოციების მოჭარბებისგან რამდენჯერმე ტირილიც კი წასკდა. **"ქვეყანას გადარჩენა სჭირდება. დროა, ჩვენი პოტენციალი ამუშავდეს, უნდა გავიღვიძოთ!"** - მიუხედავად იმისა, რომ ნანიტაშვილი ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა, დარბაზის მეორე რიგში ხანდაზმულ დელეგატებს მშვიდი ძილით ეძინათ.

## „მაოკი" პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წყაროს არკვევს

ბელა მახარაძე

მიუკერძოებელ არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირი ("მაოკი") ახალი ინიციატივით გამოდის. მან შეადგინა მანიფესტი და დაინტერესებულია, რა წყაროებით ფინანსდება ესა თუ ის პოლიტიკური პარტია. **"საარჩევნო პროცესი უნდა გათავისუფლდეს შავი და გაურკვეველი წარმოშობის ფულისაგან!"**- ასეთია მათი მოთხოვნა. ამასთან, "მაოკის" წევრები კვლავ იმ მოსაზრებაზე რჩებიან, რომ აუცილებელია არჩევნების (როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო) ერთი წლით გადადება. მათ ამის მთავარ მიზეზად მოჰყავთ საარჩევნო კოდექსის მიუღებლობა მიაჩნიათ და ამბობენ, რომ ერთი წელი აუცილებელია ქვეყანაში ვითარების დასარეგულირებლად, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ **"საქართველოს პარლამენტი უუნაროა და არ შეუძლია დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის მიღება".** ამიტომ მაინც გაურკვეველი რჩება, თუ როგორ მოახერხებს "უუნარო" პარლამენტი ერთი წლის შედეგ დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის შემუშავებასა და მიღებას. ამ კითხაზე პასუხის გაცემა თავად საქართველოს ბედით დაინტერესებულ ახალგაზრდებსაც უჭირთ.

ახალგაზრდა გულშემატკივრებს უჭირთ ქვეყანაში პოზიციასა და ოპოზიციას შორის გარკვევა. მათი მოსაზრებით, დღეს საქართველოს "კომუნისტებისა" და "ზვიადისტების" გარდა ოპოზიცია არ ჰყავს.

**"მთავარი საფრთხე ქვენისათვის არის საქართველოს გადაქცევა შავი ფულის სამრეცხაოდ და მაფიოზური კლანების საპარპაშო არენად,"** - შეშფოთებას გამოთქვამენ მაოკელები, თუმცა კონკრეტულად რომელ "მაფიოზურ კლანებზე" და ვისი "შავი ფულის" გათეთრებით არიან დაკავებული პოლიტიკური პარტიები, ამას მაოკელები ჯერ არ ასახელებენ.

თავად "მაოკის" დაფინანსების წყარო კი სრულიად გამჭვირვალე და ღია ყოფილა, არანაირი კავშირი მათ "გადამხდელთა კავშირთან" (რომლის ოფისშიც არიან განლაგებულნი) და არც ერთ სხვა ორგანიზაციასთან არ ჰქონიათ, **"ჩვენ არ ვართ გრანტებით განებივრებული არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენი შემოსავლის წყარო ჩვენი პირადი ფინანსებია, რომელიც ძალზე მცირეა,"** - განმარტავენ მაოკელები.

## უშედეგო შეხვედრა და პესიმისტური პროგნოზები

პირველი გვერდიდან

სერგეი შამბამ, ლოშინინთან შეხვედრის შემდეგ, განაცხადა, რომ **"აფხაზური მხარე შეასრულებს სოჭის შეთანხმებებით გათვალისწინებულ პრაქტიკულ წინადადებებს, ოღონდ ყოველგვარი პოლიტიკური დათმობების გარეშე."** შამბას განცხადებიდან კარგად ჩანს, რომ სარკინიგზო დერეფნის გახსნის შემთხვევაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გადახედვაზე სოხუმი არ დათანხმდება.

რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში, სადაც ყურადღებით ადევნებენ თვალს აფხაზეთის დარეგულირებაზე მოსკოვში მიმდინარე სამუშაო ჯგუფების შეხვედრას, ამტკიცებენ, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას პირველ რიგში ოფიციალური თბილისი გადაეღობება წინ.

**"უკვე სახეზეა რუსეთის საზღვართან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შენაერთთა კონცენტრაცია, სახეზეა საქართველოში აშშ-ს სამხედრო ბაზების შექმნის მზარდი ტენდენცია, რასაც რუსეთი ვერასოდეს შეურიგდება. ასეთ პირობებში სოჭის შეთანხმებათა შესრულებას პირველ რიგში ქართველი პოლიტიკოსები აღუდგებიან წინ, რადგანაც მათ ვაშინგტონიდან უკვე მიღებული აქვთ ამ შეთანხმების ჩაშლის დირექტივა. რუსეთიდან საქართველოში და შემდეგ სომხეთში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მაგისტრალის ამოქმედება არ შედის ვაშინგტონის ინტერსებში. ეჭვიც არ მეპარება, რომ იგივე პოზიციას დაიკავებენ თბილისშიც",** - ამბობს რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გეოპოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრ შაბანოვი.

**"რუსეთის მუდამ იყო დაინტერესებული ამ რეგიონში საკუთარი გავლენის შენარჩუნებით. დღეს, რეალურად, რუსეთს ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთი სტრატეგიული პარტნიორიღა დარჩა - სომხეთი. სომხეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა კი კრემლისათვის უფრო მთავარია, ვიდრე თბილისთან პოლიტიკური დაპირისპირების დასრულება,"** - ასეთია დეპუტატ ვიაჩესლავ იგრუნოვის დასკვნა.

ივნისის ბოლოს მოსკოვში სამუშაო ჯგუფები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს სარკინიგზო და ენერგეტიკული საკითხების მოსაგვარებლად. კარგად ინფორმირებული წყაროები რუსეთის პარლამენტში ასეთ პროგნოზს აკეთებენ: **"დღეს აფხაზთა ინტერესებში შედის კოდორში კონცენტრირებული საჯარისო ფორმირებების გაყვანა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება სოჭის შეთანხმებების შესრულება გადადოს, სამაგიეროდ მოაახლოვოს საომარი მოქმედებების განახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე."** მოვლენათა ასეთი განვითარება კი, ლოგიკურად აქტუალურს გახდის კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ხანგრძლივი ვადით დაკანონებას. რუსეთის პარლამენტის კავკასიის საქმეთა კომისიაში ამტკიცებენ, რომ ამის შესახებ რუსული და ქართული მხარეები უკვე უმაღლეს დონეზე შეთანხმდნენ.

## ნატო-ს სამხედრო სწავლებები და ახალი პოლიტიკური რეალიები

პირველი გვერდიდან

ნიშანდობლივია, რომ "საერთო საფრთხის" წინააღმდეგ ვირტულურ ბრძოლას სომხეთი დსთ-ს სივრცეშიც განაგრძობს. სომხეთის ხელისუფლებას, სერჟ სარქისიანცის თქმისა არ იყოს, თანამეგობრობა ამ საფრთხისგან თავდაცვისა და რუსეთის სამხედრო დახმარების გამო იზიდავს, მაგრამ კაცმა არ იცის, რა იქნება მომავალში, როდესაც სომხეთი ნატოს პროგრამებს "გემოს გაუსინჯავს". თანაც, რუსეთი ხომ სულაც არ ეჭვიანობს სომხეთზე ისე, როგორც საქართველოს მიმართ.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ რუსეთმა უარი განაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ ყველა მრავალეროვნულ სწავლებებში მონაწილეობაზე, მაშინ, როცა ძალიან მშვიდად მიიღო თურქეთის ქვედანაყოფის ყოფნა მის სტარტეგიულ პარტნიორ სომხეთის ტერიტორიაზე და თავადაც გააგზავნა იქ საკუთარი სამხედროები.

რუსეთი თვალს ხუჭავს იმაზეც, რომ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, მისი ხელმძღვანელობით დსთ-ს სივრცეზე ჩატარებული სამხედრო მანევრები ვერ აღწევენ სასურველ ეფექტს. თითქმის ყოველთვის მოსკოვს უხდება ყველას მაგივრად "საწილო ფულის" გადახდა ასეთი ღონისძიებების დასაფინასებლად, რაც რუსი გადასახადის გადამხდელების აშკარა გაღიზიანებას იწვევს.

აი, სულ ახალი ფაქტი:

17 ივნისს კალინინგრადის ოლქში სტარტი აიღო დსთ-ს სახელმწიფოთა საჰაერო თავდაცვითი ძალების კოალიციურმა სწავლებამ სახელწოდებით "ბოევოე სოდრუჟესტვო 2003", რომელიც ნატოური "ზესთ ეფორტისგან" ბევრი რამით განსხვავდება. პირველი ისაა, რომ მასში მონაწილეობდნენ დსთ-ს ის სახელმწიფოები, რომლებმაც 27 აპრილს დუშანბეში ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის - კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის - დაფუძნებას ჩაუყარეს საფუძველი. მეორეა ის, რომ სწავლებას მხოლოდ ფორმალურად ეწოდება "კოალიციური", სინამდვილეში კი საბრძოლო ქვედანაყოფი და საჰაერო თავდაცვითი კომპლექსი (ს-300) კალინინგრადში მხოლოდ რუსეთს ჰყავს, დანარჩენმა ხუთმა ქვეყანამ - ბელორუსმა, ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა და ტაჯიკეთმა იქ მხოლოდ საკუთარი წარმომადგენლები გაგზავნეს, ძირითადად ფინანსური პრობლემის გამო.

რაც შეეხება დსთ-სგან საკმაოდ გარიყულ, სუუამ-ის წევრ ქვეყნებს - საქართველოს, აზერბაიჯანს, უკრაინას, უზბეკეთს და მოლდოვას, მათი წარმომადგენლების ამ სწავლებაზე მიწვევა მოსკოვს არც უცდია იმ დემარშის შემდეგ, რაც ამ ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა ყაზახეთში, ერთი კვირის წინ მოაწყვეს.

კერძოდ, ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა დაბლოკეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის ინიციატივა "იგლასა" და "სტრელას" ტიპის გადასატანი სარაკეტო-საზენიტო კომპლექსების გამოყენების რეჟიმის გამკაცრების შესახებ.

თუმცა, როგორც რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს მიერ ამ საკითხის თაობაზე ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, ასეთი გადაწყვეტილება არ ყოფილა სუუამ-ის წევრების უბრალო ახირება. კონკრეტულად საქართველოს პრინციპული პოზიცია შემდგომში მდგომარეობდა:

შემოღებული ყოფილიყო ამ კომპლექსების ექსპორტისა და იმპორტის სისტემა, ქარხნული ნომრების, წარმოების თარიღისა და ადგილის მითითებით, რათა ამაღლებულიყო საზენიტო დანადგარების კონტროლის ეფექტურობა. გარდა ამისა, საქართველო ითხოვდა გადაწყვეტილების პროექტში შეეტანათ ვალდებულება, წარმოედგინა მოსკოვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების კუთვნილი საზენიტო-სარაკეტო დანადგარების შესახებ არსებული მონაცემები (აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის ოპერაციის დროს რუსი გენერლები ხშირად ადანაშაულებდნენ საქართველოს ჩეჩენი მებრძოლებისთვის ამ დანადგარების მიწოდებაში, მაშინ, როცა ზემოხსენებული მახასიათებლის არსებობის შემთხვევაში, დანადგარების იდენტურობის დადგენა თითქმის აბსოლუტური სიზუსტით შეიძლება). მაგრამ ეს წინადადებები უკვე მოსკოვს აღარ მოეწონა.

რეალურად რუსეთი ვერაფრით ახერხებს, ერთად მოუყაროს თავი მის სტრატეგიულ პარტნიორებს თანამეგობრობაში. ყაზახეთი თავისთან ატარებს სააბრძოლო სროლებს საჰაერო თავადცვითი სისტემებისთვის (ჩანს, მას სხვა საჰაერო მოწინააღმდეგე ეგულება), ვერც ბელორუსთან ხერხდება ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ერთიანი რეგიონული საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნის შესახებ დაწყებული მოლაპარაკებების ბოლომდე მიყვანა. ასე რომ, საბოლოოდ ყველა თავისკენ ექაჩება საბანს და ჩუმ-ჩუმად ყველას ნატო-სკენ გაურბის თვალი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# მორიგი უშედეგო დღე პარლამენტში

ეუთო-ს გაწბილებული დელეგატები და "პრეს-პრემიერით" აღფრთოვანებული "აღორძინება"

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინდელი დღე პარლამენტში მოვლენებით და პოლიტიკური განცხადებებით გაჯერებული აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, პლენარულ სხდომას ნაყოფიერს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რადგან პარლამენტმა ვერც ერთი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, ხოლო ოპოზიციამ სხდომის ბოიკოტირება კვლავ გააგრძელა. გადაიდო აფხაზეთის საკითხის განხილვაც. გარდა ამისა, ფრაქციებმა გუშინაც ვერ შეაჯერეს პოზიციები საარჩევნო ადმინისტრაციებთან და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.*





*აფხაზეთის საკითხი, საკონსტიტუციო ცვლილებებისა და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხილვა - ასეთი იყო პარლამენტის დღის წესრიგი და ... ასეთი იყო დეპუტატთა ინტერესი.*

## როცა სტუმართან ბოდიშის მოხდა გიწევს

გუშინ დილით პარლამენტში საკმაოდ არასასიამოვნო ფაქტი მოხდა – ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს დირექტორთან ქრისტიან შტროჰალთან რამდენიმე დღით ადრე დაგეგმილ შეხვედრაზე მხოლოდ სამი ფრაქციის ("მოქკავშირი", "აღორძინება" და "თანადგომა") წარმომადგენლები გამოცხადდნენ, რის გამოც შეხვედრა ჩაიშალა.

საკმაოდ რთული სათქმელია, რამ გამოიწვია დეპუტატთა ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ოფიციალური სტუმრის მიმართ. მით უფრო, რომ ბატონი შტროჰალის ვიზიტი და მისი შთაბეჭდილებები საქართველოსთვის საკმაოდ სერიოზულ დატვირთვას იძენს. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: დილით ეს შეხვედრა გადაიდო, რამაც, ალბათ, ეუთო-ს წარმომადგენელს ჩვენს პარლამენტზე სავსებით ადეკვატური წარმოდგენა შეუქმნა.

მართალია, შეხვედრა მოგვიანებით მაინც გაიმართა და სტუმარმა მასპინძლებს "შეცდომა აპატია", მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ საკმაოდ მაღალი რანგის დიპლომატს ეს ინციდენტი დაავიწყდეს. ოფიციალური ვერსიით, ეს უსიამოვნო ფაქტი მხოლოდ დასანანი გაუგებრობის ბრალია, რადგან ფრაქციებს შეხვედრის დრო სწორად არ შეატყობინეს. თუმცა, ეს უსუსური არგუმენტებია, რადგან ამ ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების თაობაზე ყველა იყო ინფორმირებული კარგა ხნით ადრე.

დილით ჩაშლილი შეხვედრა პლენარული სხდომის განსჯის საგნად იქცა. **"პარლამენტის სხდომებისადმი ბოიკოტი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში არ უნდა ავურიოთ. ვერ გამიგია, რას ვერჩით ეუთო-ს დელეგაციას",** - უსაყვედურა პარლამენტის განაწყენებულმა თავმჯდომარემ კოლეგებს. თუმცა, მათ შენიშვნა არ მიიღეს. "სოციალისტ" ირაკლი მინდელის თქმით, მისთვის არავის შეუტყობინებია, როდის გაიმართებოდა შეხვედრა. **"ჩვენ ყველა გავაფრთხილეთ. იკითხეთ ფრაქციის აპარატში,"** - აცხადებდა, თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძე …

რაც შეეხება თავად შეხვედრას: იგი დღის ორ საათზე გაიმართა და დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ბიუროს ოთახიდან გამოსულმა სტუმარმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეუთო აუცილებლად ჩაატარებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საარჩევნო კოდექსის (თუკი ასეთი იქნება) ექსპერტიზას და შესაბამის დასკვნასაც მოამზადებს. **"იმედია, ამჯერად ეუთო-ს დასკვნა გაცილებით პოზიტიური იქნება, ვიდრე წინა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მომზადებული დოკუმენტი,"** – აღნიშნა ქრისტიან შტროჰალმა. მან იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი აუცილებლად **"აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, რომელიც დღეს მოქმედ საარჩევნო კოდექსშია"**. დილის სხდომის ჩაშლის ფაქტის პირდაპირ შეფასებას კი დიპლომატმა დიპლომატიურად აუარა გვერდი და მხოლოდ ის თქვა, რომ საგანგაშო არაფერია და მსგავსი რამ სხვა ქვეყნებშიც მომხდარა. თანაც, ბატონმა შტროჰალმა ჩვენს პარლამენტარებს ნამუსი შეუნახა, როცა განაცხადა: ვიცი, რომ დღეს საგაზაფხულო სესიის უკანასკნელი სხდომა მიმდინარეობს და დეპუტატებს მრავალი საკითხი აქვთ გადასაწყვეტიო…

## კულუარები

წინასაარჩევნოდ ოპოზიციის შესაძლო გაერთიანების პერსპექტივები გუშინ საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა პარლამენტის კულუარებში. ამის პროვოცირება კი დავით გამყრელიძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია, რომლის თანახმად, "ახალი მემარჯვენეები" არჩევნებში დამოუკიდებლად გამოვლენ. **"ჩვენ ვართ ძალა, რომელიც დამოუკიდებლადაც შეძლებს წარმატების მიღწევას",** - ასე უპასუხა პარტიის თავმჯდომარემ ჟურნალისტების კითხვებს. მანვე აღნიშნა, რომ "გაერთიანებულ დემოკრატებთან" და "ნაციონალებთან" "მემარჯვენეები" მხოლოდ სამართლიანი არჩევნებისათვის ბრძოლის მიზნით გაერთიანდებიან. მისი თქმით, "ახალ მემარჯვენეებს" არასოდეს ჰქონიათ საუბარი ოპოზიციურ პარტიებთან ერთიანი ბლოკის შექმნაზე ან საერთო საარჩევნო სიის ჩამოყალიბებაზე, **"თუმცა, თავისუფალი არჩევნების ჩატარებისთვის ერთობლივი ბრძოლა კვლავ გაგრძელდება"**.

საგულისხმოა, რომ ამ საუბარს წინ უძღოდა დავით გამყრელიძისა და ნინო ბურჯანაძის არაოფიციალური შეხვედრა, სადაც, როგორც ამბობენ, მათ მომავალ არჩევნებზე ისაუბრეს. საგულისხმოა, რომ გუშინ არც "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა და არც პარლამენტის თავმჯდომარემ არ დაადასტურეს მოარული ხმები, რომლის თანახმად, ბურჯანაძე, შესაძლოა, "ახლების" პარტიულ სიაში პირველ ნომრად მოგვევლინოს, რამაც პოლიტიკური მოთქმა-მოთქმა უფრო გააძლიერა. თუმცა, ისიც ცხადია, რომ არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე ცალსახა გადაწყვეტილებებისაგან ყველა თავს შეიკავებს.

ოპოზიციის შიგნით არსებულ პრობლემებზე საუბარი გუშინ ამით არ დასრულებულა. პარლამენტის კულუარებში დიდხანს მიდიოდა მსჯელობა იმ განცხადების თაობაზე, რომელიც ნინო ბურჯანაძემ მიხეილ სააკაშვილის მისამართით გააკეთა. უფრო ზუსტად, პარლამენტის თავმჯდომარე არ დაეთანხმა "ნაციონალების" ლიდერის კრიტიკას და განაცხადა, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სულაც არ არის "უუნარო და დამბლადაცემული".

ნინო ბურჯანაძის ამ საკმაოდ ემოციური კომენტარის შემდგომ პოლიტიკოსებიც და ჟურნალისტებიც მასსა და მიხეილ სააკაშვილს შორის არსებულ ფარულ დაპირისპირებაზე ალაპარაკდნენ, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ არჩევნების წინ საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე ეს ორი პოლიტიკოსი ასე ღიად ერთმანეთს დაუპირისპირდეს (თუ, რა თქმა უნდა, საამისოდ სერიოზული მიზეზი არ არსებობს).

## საკონსტიტუციო ცლილებების პროექტი

წესით, პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე აფხაზეთის საკითხი უნდა განხილულიყო, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა: დაბალი კვორუმისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის თბილისში არყოფნის გამო, ფრაქცია "აფხაზეთის" წევრებმა ამ საკითხის განხილვის გადადება მოითხოვეს. ამან კი "ტრადიციონალისტ" ალექსანდრე შალამბერიძეს სხდომაზე საკონსტიტუციო ცვლილებების ლობირების საშუალება მისცა. შეგახსენებთ, რომ ეს პროექტი ორპალატიანი პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღებასა და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოდელის განსაზღვრას ითვალისწინებს.

პარლამენტის თავმჯდომარის პროტესტის მიუხედავად, ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა თავისი მაინც გაიტანა და პროექტის განხილვის დაწყებას მიაღწია. თუმცა, როგორც გაირკვა, ამ პროექტის ბევრი პუნქტი პარლამენტარებისთვის ან გაუგებარი, ან მიუღებელი იყო. ვალერი გელბახიანმა ისიც განაცხადა, რომ ეს განხილვა რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევით მიმდინარეობდა, რადგან ამავე თემაზე საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი პრეზიდენტმა შევარდნაძემ ჯერ კიდევ 2001 წელს შეიტანა პარლამენტში. ეს პროექტი კი დღემდე არც განხილულა და არც არავის გაუწვევია უკან. კანონის თანახმად, პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტები ურიგოდ განიხილება.

გუშინ კანონპროექტის მისამართით სხვა პრეტენზიებიც ისმოდა. როგორც გაირკვა, ამ პროექტის თაობაზე პარლამენტის იურიდიულ და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს დასკვნა არ გამოუტანიათ. თანაც, პროექტს არ ახლდა ეკონომიკური გათვლა, თუ რა ხარჯებთანაა დაკავშირებული ორპალატიანი პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღება, აგრეთვე, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შეცვლა

საბოლოო სიტყვა კი ნინო ბურჯანაძემ თქვა: **"არ მინდა, შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე დაასრულა. მოვუწოდებ დეპუტატებს, დამატებითი სრულყოფისათვის სერიოზული მუშაობა გასწიონ და ხელახალი განხილვისათვის სხდომაზე უკვე სრულყოფილი ვარიანტი წარმოადგინონ".** ასე რომ, საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტმა პირველ მოსმენას ვერ გაუძლო და უახლოეს მომავალში ყველაფერი თავიდან დაიწყება.

## განცხადებები, განცხადებები

პოლიტიკური განცხადებების სიმცირეს პარლამენტი არც გუშინ უჩიოდა. დეპუტატები საკუთარ გამოსვლებში თითქმის ყველა სფეროს შეეხნენ: ენერგოკრიზისიდან დაწყებული, თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიებით დამთავრებული. გამოითქვა ბრალდებები იმერეთის გუბერნატორის მისამართითაც.

თუმცა, ყველაზე სკანდალურ გამოსვლად ფრაქცია "აღორძინების" ლიდერის ჯემალ გოგიტიძის განცხადება უნდა მივიჩნიოთ. საქმე ის გახლავთ, რომ თითქმის ყველასათვის უცნობ ჟურნალში "პრეს-პრემიერი" გამოქვეყნდა "კორუმპირებულ პოლიტიკოსთა ჩამონათვალი", რომლებსაც ეს ჟურნალი ბიუჯეტიდან თანხების მოპარვაში ადანაშაულებს. ამ ოცეულში პირველი ადგილი ზურაბ ჟვანიას, მეორე კი მიხეილ სააკაშვილს ერგოთ. აქვე ფიგურირებდნენ ვიტალი ხაზარაძე, რეზო ყიფიანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავად ნინო ბურჯანაძეც კი. ამ გვარების დასახელების შემდეგ ჯემალ გოგიტიძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ "შავ სიაში" "აღორძინების" არც ერთი წევრი არ ფიგურირებდა. მანვე განაცხადა, რომ არ გამორიცხავს "მოპარულ თანხათა რაოდენობის გაბერვის" ალბათობას, თუმცა მისთვის ისიც ცხადია, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლო არ არის. შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა: ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ამ სტატიას ავტორი არ ჰყავდა, იგი ანონიმური იყო და ამიტომ კომენტარს არ გააკეთებდა. ვიტალი ხაზარაძემ კი ის იყო, სტატიის გაპროტესტება დააპირა, როცა ჯემალ გოგიტიძემ პირდაპირ განუცხადა: **"ეჭვი არ მეპარება, რომ ხაზარაძის მისამართით გამოთქმული ბრალდებები სამართლიანია".** მცირეოდენი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდგომ ბატონმა ხაზარაძემ სხდომათა დარბაზი დატოვა, ხოლო ინიციატივა საკუთარ ხელში იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ასევე ფრაქცია "აღორძინების" წევრმა გოჩა პაიჭაძემ აიღო და თქვა, რომ, მართალია, მას არ სჯერა არც ნინო ბურჯანაძისა და არც რეზო ყიფიანის კორუმპირებულობისა, მაგრამ პუბლიკაცია რეაგირებას ითხოვს და მიზანშეწონილი იქნება, თუ იგი მიხეილ ოსაძის კომისიის მსჯელობის საგანი გახდება. საბოლოოდ კი გადაწყდა, რომ იურიდიული კომიტეტი სათანადო რეაგირებისთვის მოქმედებათა გეგმას შეიმუ-

# დაპირისპირება პასუხისმგებლობის ასაცილებლად

პირველი გვერდიდან

ბოლო დღეებში შექმნილი მძიმე სიტუაციის ფონზე, სახელმწიფო მინისტრმა ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ გამოსვლები გაამკაცრა. სიტუაცია მართლაც დამძიმებულია; ქვეყანაში ძალიან სერიოზული საბიუჯეტო კრიზისია და ამ სიტუაციაში ავთანდილ ჯორბენაძეს აქვს შესანიშნავი შანსი, კიდევ უფრო განიმტკიცოს პოზიციები - ალაპარაკდეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე და პასუხისმგებლის დასჯის შემდეგ ფინანსთა მინისტრის გამოთავისუფლებული სკამი საკუთარი კადრით შეავსოს. ამ პოსტზე საკუთარი კადრის მოყვანის მოტივაცია სახელმწიფო მინისტრს უდავოდ აქვს.

ცხადია, რომ უშუალოდ შევარდნაძის მიერ ხელდასხმული კადრი დღევანდელი სახლისუფლებო ბლოკის ლიდერებისთვის ადვილად სამართავი ვერ არის. ეს ავთანდილ ჯორბენაძემ უკვე თავის თავზე იწვნია, როცა რამდენიმე არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა და ენერგოდანახარჯების ასანაზღაურებლად ბიუჯეტიდან თანხების გადარიცხვა საკუთარი პასუხისმგებლობის ღიად დაფიქსირებით მოუხდა.

საინტერესოა ისიც, რომ ამ დღეებში მირიან გოგიაშვილი უკვე არა მხოლოდ ჯორბენაძეს, არამედ სახელისუფლებო ბლოკის სხვა ლიდერებს - ვიტალი ხაზარაძესა და ვახტანგ რჩეულიშვილსაც შეეჯახა. სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების პრეტენზიების საპასუხოდ, ფინანსთა მინისტრმა უკვე ნახსენებ "დახურულ შეხვედრაზე" ბლოკის პარლამენტარ ლიდერებს მიუთითა, რომ გახშირებული საგადასახადო ცვლილებების პირობებში ფინანსთა მინისტრისადმი პრეტენზიები აღარ უნდა ჰქონდეთ.

ავთანდილ ჯორბენაძესაც და სხვა ლიდერებსაც, რომლებიც "მრეწველების", და არა მხოლოდ მათი, წინასაარჩევნო კეთილგანწყობის მოპოვებას ამ საგადასახადო ცვლილებებით ცდილობენ, ფინანსთა მინისტრისგან მსგავსი "შენიშვნების" მოსმენა, მეტი რომ არ ვთქვათ, ნამდვილად არ ესიამოვნათ.

სიმპტომატურია, რომ სწორედ ამ საუბრის შემდეგ ვახტანგ რჩეულიშვილმა გააკეთა პირველი კომენტარი, რომ დღეს ქვეყანას, მართალია, არაკორუმპირებული, მაგრამ ძალიან სუსტი ფინანსთა მინისტრი ჰყავს.

ფინანსთა მინისტრი არც სახელისუფლებო ბლოკის წიაღში პენსიებთან დაკავშირებით მომზადებულ სახელისუფლებო გადაწყვეტილებას და კერძო ბანკებისგან კრედიტის აღების იდეას გამოეხმაურა დადებითად და უკვე ღია საუბრებში განაცხადა, რომ ამის თაობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიციის გაგება აუცილებელია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლების მიერ კარგად დაგეგმილ წინასაარჩევნო მანიპულაციას, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს და უკვე აკაკი ზოიძესაც მოუხდა ჟურნალისტებისთვის იმის განმარტება, რომ სსფ-ს თანხმობის გარეშე ამ პრობლემის მოგვარება მართლაც შეუძლებელია.

ყოველივე ამის შემდეგ, მირიან გოგიაშვილი დაიმუქრა კიდევაც, რომ, თუ საჭირო გახდა, ყველაფერს იტყვის.

ეს მუქარა, როგორც ვარაუდობენ, შსს-სა და სხვა ძალოვან უწყებებს და არსებულ კონტრაბანდაში მათ როლს უკავშირდებოდა, რადგან, როგორც "24 საათის" წყაროები იუწყებიან, სახელმწიფო მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს შორის ბოლო დღეებში გამართული შეხლა-შემოხლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ავთანდილ ჯორბენაძემ, რომელმაც ერთი წლის წინ კონტრაბანდაში ძალოვანების როლის წარმოჩენა სცადა, ახლა ეს მიმართულება, პრეზიდენტის საამებლად, საბოლოოდ დაივიწყა და ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ძირითადი აქცენტი ფინანსთა სამინისტროზე გადაიტანა.

ამასთან, საინტერესოა, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლის რეალური ბერკეტები გოგიაშვილს სამინისტროს შიგნითაც "ჩამოართვეს" - მისი პოზიციის შესუსტებისკენ რეალური ნაბიჯი, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ჯერ კიდევ ლეგიონის ხელმძღვანელად ჯორბენაძის კაცის დანიშვნით გადაიდგა. როგორც გახსოვთ, "ავღანელთა კავშირი" ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც მეგზევე-მეტყევეთა ერთობასთან, უფრო სწორად, ახალშექმნილ სახელისუფლებო ბლოკთან გაერთიანდა. როგორც ამბობენ, შეთანხმების მიხედვით, ლეგიონის ხელმძღვანელად კახნიაურის დანიშვნით არა მხოლოდ ზოგადად სახელისუფლებო ძალისთვის, არამედ - "ავღანელებისთვის" შემოსავლის წყაროს გაჩენა ივარაუდებოდა, ანუ საუბარი "ავღანელთა" ნაწილის ლეგიონში დასაქმებას ეხებოდა.

მაშინ გოგიაშვილს ამასთან დაკავშირებით ღია პროტესტი არ გამოუთქვამს. თუმცა ბოლო დღეების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჯორბენაძის კაბინეტში უკვე ცნობილი ინციდენტი მოხდა და პასუხისმგებლობის მთელი ტვირთის ფინანსთა მინისტრისთვის "აკიდების" სახელისუფლებო სურვილი გამოაშკარავდა, მან იმაზეც გააკეთა მინიშნება, რომ სიტუაციას თავად სამინისტროს შიგნითაც არ აკონტროლებინებენ და, როგორც უკვე ვთქვით, დაიმუქრა კიდეც. თუმცა, ჯერჯერობით, ამ მუქარის ასრულებას, ანუ ვა-ბანკზე წასვლას იგი ვერ რისკავს...

საერთოდ, გასათვალისწინებელია, რომ მირიან გოგიაშვილს დღეს არავინ - დაუფინანსებელი ძალოვანებით დაწყებული და თბილისის მერით დამთავრებული - არც ერთი ჯგუფი არ ემადლიერება. მას არც ოპოზიცია სწყალობს, რადგან მირიან გოგიაშვილი დღეს მართლაც სერიოზულად გარღვეული ბიუჯეტის "პატრონია". ამასთან, რა თქმა უნდა, არავის აქვს ილუზია იმისა, რომ ომარ გოგიაშვილის შვილი, პრეზიდენტის განსკუთრებული სიმპათიით მოსარგებლე მირიან გოგიაშვილი, თავის ბერკეტებს არჩევნებში სახელისუფლებო ძალის წინააღმდეგ აამუშავებს. მეტიც - იგი შევარდნაძის მიერ არც მაინცადამაინც ორ სკამზე ჯდომაშია შემჩნეული.

თავად სახელმწიფო კანცელარიაში მიიჩნევენ, რომ ყველაფრის თქმის მუქარას პრეზიდენტის კეთილგანწყობა და ანტიკორუფციული ბიუროს მხარდაჭერა უმაგრებს ზურგს. მართალია, ბოლო პერიოდამდე ანტიკორუფციულ საბჭოს გოგიაშვილისადმი ღია მხარდაჭერა არ დაუფიქსირებია, მაგრამ ის ფაქტი, რომ საბჭოს გარკვეული პერიოდის მანძილზე სწორედ მირიან გოგიაშვილი ხელმძღვანელობდა და კახა უგულავაც მის მიერ რეკომენდებული კადრია, კანცელარიაში ამ ეჭვის დასტურად მიაჩნიათ.

აღნიშნულ მხარდაჭერაზე მინიშნებად იაზრებენ სამშაბათს სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხილვაზე მომხდარ ფაქტსაც, რომელზეც მედიის დიდ ნაწილს განსაკუთრებული ყურადღება არ გაუმახვილებია. კანცელარიაში, სადაც სიღარიბის დაძლევის პროგრამას განიხილავდნენ და, დონორების ჩათვლით, საზოგადოების საკმაოდ დიდი სპექტრი ჰყავდათ მიპატიჟებული, რატომღაც ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი არ მიიწვიეს. კახა უგულავა შეხვედრაზე დაუპატიჟებლად მივიდა და საქართველოს პრეზიდენტს წერილი მიაწოდა, რომელიც, როგორც ამბობენ, იქცა კიდეც ედუარდ შევარდნაძის მიერ პროგრამის ხელმოწერაზე უარის თქმის საფუძვლად. ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელმა ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზად ის დაასახელა, რომ ანტიკორუფციულ პროგრამაში უკვე გათვალისწინებულია რეფორმების ის გეგმა, რომელიც ახლა სიღარიბის დაძლევის პროგრამაში ჩაიდო და დავალებების დუბლირება მათი შესრულების გაჭიანურებას იწვევს.

თუ ზოგად განმარტებას თავს დავანებებთ და სიტუაციას პასუხისმგებლობის გადანაწილების თვალსაზრისით შევხედავთ, საინტერესო მომენტს აღმოვაჩენთ: სიღარიბის დაძლევის პროგრამის მიხედვით, სტრუქტურული რეფორმების (ანუ საქართველოს ხელისუფლების რეფორმირების) გეგმა 15 წელზე გაიწერა, ამ გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა კი, ცხადია, სიღარიბის პროგრამის მთავარ კოორდინატორს – თემურ ბასილიას დაეკისრა. ეს მარტივად იმას ნიშნავს, რომ სტრუქტურული რეფორმირების ის გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ანტიკორუფციულ პროგრამაში იყო გაწერილი და რომლის თანახმადაც კონკრეტული წინადადებების წარმოდგენის ვადა ხელისუფლებას, სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით, 30 აპრილს გაუვიდა, ისევ თაროზე შემოიდო. ანუ პასუხისმგებლობამ, შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში, თემურ ბასილიაზე გადაინაცვლა, შესაბამის ბერკეტებთან ერთად. ის რომ, პროგრამა სწორედ ამ პასუხისმგებლობის გადანაცვლებაზე იყო გათვლილი, ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის შეხვედრაზე მიუპატიჟებლობამაც დაადასტურა.

კახა უგულავა წერილის გადაცემასა და მირიან გოგიაშვილის მუქარას შორის კავშირს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ანტიკორუფციულ საბჭოს ჯერ კიდევ ამ მუქარამდე ჰქონდა დაწერილი დასკვნა. მასში საუბარი იყო სწორედ იმაზე, რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამამ ანტიკორუფციული პროგრამის დუბლირება არ უნდა მოახდინოს და ანტიკორუფციული პროგრამის შესრულებაზე პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც პასუხისმგებელია. კანცელარიის კარგად ინფორმირებული წყაროები ირწმუნებიან, რომ ანტიკორუფციულის განრისხების საბაბი სწორედ ავთანდილ ჯორბენაძისთვის პასუხისმგებლობის აცილების მცდელობა გახლდათ.

ამ სიტუაციაში განსაკუთრებით საინტერესოა ედუარდ შევარდნაძის რეაქცია. მან ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის წერილის საფუძველზე სიღარიბის დაძლევის პროგრამის ხელმოწერაზე უარი თქვა, რითიც დამსწრე საზოგადოებასაც და თავად ანტიკორუფციულ საბჭოსაც "დაუმტკიცა", რომ საბჭოს გავლენა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე დიდია, თუმცა ცხადია, რომ საქართველოს პრეზიდენტი პროგრამას ხელს კვირის ბოლომდე მოაწერს. სხვა თუ არაფერი, ამ 40-მილიონიანი პროგრამის განხორციელება ედუარდ შევარდნაძის, როგორც სახელისუფლებო ძალის ხელმძღვანელის, წინასაარჩევნო ინტერესებში შედის. საინტერესო ახლა ისაა, გაითვალისწინებს თუ არა იგი ანტიკორუფციულის შენიშვნას, სხვაგვარად – დააყენებს თუ არა სახელმწიფო მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს ანტიკორუფციული საბჭოს პროგრამის საფუძველზე.

# საბიუჯეტო პანიკა თუ აურზაური ყველაფრის გამო?

პირველი გვერდიდან

**"სახაზინო ვალდებულებების ემისიის არჩევნებთან დაკავშირება აბსოლუტური სისულელეა, წმინდა წყლის ცილისწამება და სიცრუე. ეტყობა, ასეთ ხერხებს თვითონ იყენებდნენ. ვერ წარმომიდგენია, რა მეთოდით შეიძლება, სახაზინო ვალდებულებებიდან ამოღებული თანხები საარჩევნოდ გამოვიყენოთ,"** - ასე შეაფასა სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით გავრცელებული ვერსია სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ აკაკი ზოიძემ. სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრის მონაწილეები კატეგორიულად აცხადებენ, რომ მსგავს საკითხებზე ჯორბენაძესთან საუბარი არ ყოფილა. ზოიძის თქმით, კანცელარიაში გამართული შეხვედრა მიზნად ისახავდა ბანკირების დარწმუნებას, რომ არჩევნების მოახლოების მიუხედავად, ქვეყნის ფისკალურ სფეროში არავითარი ექსტრაორდინალური არ ხდება, სტაბილური მდგომარეობაა და სახაზინო ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეიქმნება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ლევან ჩრდილელის თქმით, **"მოსალოდნელი დეფოლტის"** შესახებ ხმამაღალმა შეძახილებმა **"კაპიტალი დააფრთხო"**, რამაც ბუნებრივი ასახვა ჰპოვა საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და კომერციული ბანკების მხრიდან სახაზინო ვალდებულებებზე მოთხოვნის შემცირების სახით. მისი თქმით, შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან შეხვედრა და ფისკალურ სფეროში არსებულ პრობლემებზე მსჯელობა.

**"სახაზინო ვალდებულებების ემისიასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, სხვა საკითხებზე შეხვედრაზე არ გვისაუბრია,"** - ასეთია "თი-ბი-სი" ბანკის პრეზიდენტის ვახტანგ ბუცხრიკიძის და შეხვედრის სხვა მონაწილეების პოზიცია. ამ დროს კი, "გაერთიანებული დემოკრატები" დაჟინებით ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრა მიზნად ისახავდა კონკრეტულ პიროვნებებთან, კერძო მეწარმეებთან მოლაპარაკების საფუძველზე, უცხოეთიდან 40 მილიონი ლარის ოდენობის დამატებითი თანხების მოსაზიდად გზების ძიებას. "დემოკრატი" მიხეილ მაჭავარიანის თქმით, ამ თანხას შემდგომში მთავრობა დავალიანებების დასაფარავად და საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად გამოიყენებს. სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დასაფარად სახაზინო ვალდებულებების გამოყენება, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ჩვეულებრივი და კარგად აპრობირებული მეთოდია. ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას დამატებით 40 მილიონი ლარის ბრუნვაში გაშვების შესახებ, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლევან ჩრდილელმა განაცხადა: **"რაც ბუნებაში არ არსებობს, ამაზე საუბარი არ შემიძლია. მაგრამ ერთ რამეს დანამდვილებით გეტყვით - კანცელარიაში არანაირ 40 მილიონზე ლაპარაკი არ ყოფილა."**

ექსპერტების აზრით, სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვა, ყველაზე მეტად, კომერციული ბანკებისთვისაა მომგებიანი; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავრობა პანიკაშია და თანხების მობილიზებისთვის ნებისმიერ საპროცენტო განაკვეთზეც თანახმაა. **"თუ სახაზინო ვალდებულებების სახით, დამატებით კიდევ 40 მილიონი ლარის ოდენობის სესხი იქნება აღებული, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის დეფიციტის არსებულ მაჩვენებლებს, რაც არც ბიუჯეტით არის გათვალისწინებული და არც სავალუტო ფონდის პროგრამით. ეს ძალიან სერიოზულ პრობლემებს შექმნის და ლარის კურსის სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს,"** - განაცხადა ფინანსთა ექსმინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

დამატებით მილიონობით ლარის ბრუნვაში ჩაშვება კატეგორიულად უარყო შეხვედრის მონაწილე ექსპერტმა ლადო პაპავამ. მისი თქმით, ეს რომ სიმართლე იყოს, პირველ რიგში, ამას ეროვნული ბანკი შეეწინააღმდეგებოდა. **"არ მგონია, მთავრობა ასეთი სულელი იყოს, რომ დამატებით 40 მილიონი ლარი ჩაუშვას ბრუნვაში. მითუმეტეს, რომ დღედღეზე სავალუტო ფონდის მისია უნდა ჩამოვიდეს,"** - აცხადებს ლადო პაპავა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ბიუჯეტით მთელი წლის განმავლობაში ემისიის საერთო დაგეგმილი მოცულობა 22 მილიონ ლარს შეადგენს. ექვსი თვის განმავლობაში უკვე ათვისებულია 19 მილიონი ლარის ოდენობის სახაზინო ვალდებულებები. მიხეილ ჯიბუტისა და სხვა ექსპერტების მოსაზრებით, ამ სფეროში ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ამ პროცესის სპონტანურობაა, ამიტომ აუცილებელია, სახაზინო ვალდებულებების გაყიდვა-განაღდების პროცესის გეგმა წინასწარ და უფრო თანაბარზომიერად იყოს გაწერილი. ლევან ჩრდილელის განცხადებით, ძალიან ძნელია წინასწარ იმის განსაზღვრა, როდის და რამდენი თანხა დასჭირდება სახელმწიფოს.

## მოკლედ

**თბილისი.** "მრეწველები" საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას გულმოდგინედ ელოდებიან და მათთან შეხვედრას მოითხოვენ. მრეწველები" ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტში საინვესტიციო სააგენტოს კუთვნილი თანხის მოხვედრას აპროტესტებენ. "მრეწველების" ლიდერმა გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ სააგენტოს კუთვნილი თანხები, ფონდის მოთხოვნით, სეკვესტრში უკვე მეორედ მოხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ ქალაქის ბიუჯეტით არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის 90 ათასი ლარის გამოყოფის საკითხი განიხილა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილებით, უნდა შეიქმნას მიუკერძოებელი პირებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც არასამთავრობოებისთვის 90 ათასი ლარის გადაცემის საკითხს განიხილავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო რკინიგზების თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მინისტრთა თათბირის 31-ე სესიამ, რომელშიც ევროპისა და აზიის 22 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. დღეს ოფიციალურად გაიხსნება სესიის პლენარული სხდომა, რომელსაც მონაწილე ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრები და რკინიგზის ხელმძღვანელები დაესწრებიან. 20 ივნისს სესიის მონაწილენი სესიის დროს განხილულ დოკუმენტებს და შეთანხმებებს ხელს მოაწერენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზამთრობით ენერგოკრიზისის დაძლევაში საქართველოს, შესაძლოა, ირანი დაეხმაროს. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ ირანთან ელექტროენერგიის გაცვლის პროექტზე მუშაობა უკვე დაიწყო. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ განაცხადა, ირან-სომხეთს შორის ახალი ელექტროგადამცემი ხაზი შენდება. **"ეს ხაზი საქართველოს შესაძლებლობებს მისცემს, ქართული გენერაციის მიერ ზაფხულში გამომუშავებული ელექტროენერგია ირანში გაიტანოს, ზამთარში კი ირანიდან დენი სომხეთის გავლით მიიღოს,"** - განაცხადა მან. **ინტერ-პრესი**

## მონიტორინგი

# დაცული მუხლების დაფინანსება ვერ ხერხდება

წარმოგიდგენთ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლებს 1 ივნისისათვის.

მთავარი პრობლემა ისევ შემოსავლების მხოლოდ ქაღალდზე შესრულება და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა გადასახადის ამოღების დისპროპორციაა. დღგ-ს ექვსი თვის გეგმა შესრულებულია - 82 პროცენტით, აქციზი - 60,1 პროცენტით და მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი - 34,2 პროცენტით. შეგახსენებთ, რომ დღგ და აქციზი დაერიცხება, უპირველეს ყოვლისა, მსხვილ ბიზნესს, ხოლო მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადი კი დაერიცხება ნავთობპროდუქტების იმპორტს. ნათელია, რომ მსხვილი ბიზნესისაგან გადასახადების ამოღება არ ხდება და გრძელდება წინასწარ გადასახადების ამოღება, სხვა გადასახადების დღგ-ში გადაქაჩვა და აჭარაში შემოსავლების ქაღალდზე დაფიქსირება.

პრინციპში, მთავრობას არც ნაერთი ბიუჯეტის ექვსი თვის საგადასახადო შემოსავლების შესრულების ქაღალდზე დაფიქსირება უნდა გაუჭირდეს. სხვა საკითხია, რა ოდენობის შემოსავლებს მიიღებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები სინამდვილეში.

**ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ხშირად იყო ისეთი შემთხვევები, როცა ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლები სრულად ვერ სრულდებოდა, მაგრამ დაცული მუხლების – შემწეობები, ხელფასები, ჯანდაცვისა და განთლების პროგრამები, საპენსიო ტრანსფერი – დაფინანსება მაინც ხდებოდა.**

**ახლა კი, შეიქმნა ძალიან საინტერესო მდგომარეობა, თითქოს ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პარამეტრები სრულდება, მაგრამ დაცული მუხლების დაფინანსება ვერ ხერხდება ვერც სახელმწიფო და ვერც ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.**

უნდა აღინიშნოს, რომ მაისში ე.წ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარამეტრი ანუ ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მთავრობამ აჭარასთან დღგ-ს ჩათვლების ნავთობპროდუქტებზე აღდგენით შეასრულა.

**გაუგებარია, რატომ აღდგა დღგ-ს ჩათვლები აჭარასთან მხოლოდ ნავთობპროდუქტებზე?! თუ დღგ-ს ჩათვლები არ უნდა განხორციელდეს იმის გამო, რომ ცენტრალურ ბიუჯეტს კუთვნილი შემოსავლები არ მიუღია, მაშინ ეს მიდგომა უნდა იყოს უნივერსალური და ნავთობპროდუქტებსაც ეხებოდეს. თუ დღგ-ს ჩათვლა შეიძლება განხორციელდეს ნავთობპროდუქტებზე, მაშინ ეს მიდგომა უნდა იყოს უნივერსალური და ეხებოდეს ყველა სხვა საქონელსაც.**

**ჩვენთვის ნათელია, რომ მოხდა გარიგება ცენტრალურ და აჭარის მთავრობებს შორის ბიუჯეტის და საზოგადოების საზიანოდ.**

ჩვენი აზრით, შემოსავლების ის რაოდენობა, რომელიც დიდი წვალების შემდეგ დაფიქსირდა აჭარაში, დაფიქსირდა მხოლოდ ქაღალდზე და ის არც აჭარის რეგიონულ ბიუჯეტს არ მიუღია.

**საინტერესოა, ფინანსთა სამინისტრო და მისი შესაბამისი სტრუქტურები – საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები – ამ გარიგებაში მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, თუ შესაბამისი ინსტრუქციები პრეზიდენტისაგან ან სახელმწიფო მინისტრისაგან მიიღეს.**

**ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი მიდგომის შედეგად, ცენტრალური ბიუჯეტის რეალური შემოსავლები შემდგომ თვეებში კიდევ უფრო მოიკლებს.**

**ეს საკითხები პრეზიდენტის, პარლამენტის და პოლიტიკური ძალების სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. უფრო მეტიც, საზოგადოებამ უნდა მიიღოს ინფორმაცია ამ პროცესებში მონაწილეთა როლსა და პასუხისმგებლობაზე.**

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

| დასახელება | ექვსი თვე: გეგმა | ექვსი თვე: შესრულება 1 ივნისისათვის | ექვსი თვე: % |
|---|---|---|---|
| შემოსავლები და გრანტები | 712,676.3 | 533,938.0 | 74.9% |
| სულ შემოსავალი | 674,376.0 | 525,348.0 | 77.9% |
| საგადასახადო შემოსავალი | 488,117.3 | 384,471.0 | 78.8% |
| საშემოსავლო გადასახადი | 76,605.7 | 54,168.0 | 70.7% |
| მოგების გადასახადი | 45,186.1 | 42,798.0 | 94.7% |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 221,481.7 | 181,779.0 | 82.1% |
| აქციზი | 54,181.2 | 32,562.0 | 60.1% |
| საბაჟო გადასახადი | 33,179.5 | 26,545.0 | 80.0% |
| მიწის გადასახადი | 12,585.0 | 6,864.0 | 54.5% |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი | 4,801.5 | 3,148.0 | 65.6% |
| ქონების გადასახადი | 16,533.0 | 18,987.0 | 114.8% |
| მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი | 9,256.5 | 3,165.0 | 34.2% |
| ქონების გადაცემისთვის გადასახადი | 3,168.0 | 2,837.0 | 89.6% |
| ადგილობრივი გადასახადები | 8,217.0 | 8,718.0 | 106.1% |
| ფიქსირებული გადასახადი [illegible] | 2,922.1 | 2,900.0 | 99.2% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 45,738.5 | 35,862.0 | 78.4% |
| გრანტები | 38,300.3 | 8,590.0 | 22.4% |
| სოციალური ფონდი | 120,662.4 | 89,944.0 | 74.5% |
| საგზაო ფონდი | 24,047.8 | 17,160.0 | 71.4% |

| | | | |
|---|---|---|---|
| საგადასახადო დეპარტამენტი | 306,365.4 | 251,625.0 | 82.1% |
| საბაჟო დეპარტამენტი | 181,751.9 | 132,846.0 | 73.1% |

## სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 18.06.03

| აუქციონის N | 24 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 126 დღე |
| ემისიის ოდენობა | 4,500,000 |
| მოთხოვნა | 4,672,900 |
| დისკონტის პროცენტი | 38.00%-68.00% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 53.16% |
| დასაფარი თანხა | 3,802,268 |
| ბალანსი | 5,999,900 |

## სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 18 ივნისისთვის

მილიონ ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 17 ივნისი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 529.80 | 390.10 | 74% | 2.16 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 385.09 | 278.64 | 72% | 1.38 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 239.96 | 77% | 1.35 |
| სოციალური ფონდი | 116.81 | 95.16 | 81% | 0.58 |
| საგზაო ფონდი | 24.05 | 16.53 | 69% | 0.21 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 118.66 | 90.39 | 76% | 0.00 |

# გენპროკურორი ენერგოსექტორში სერიოზული დანაშაულის გამოაშკარავებას აპირებს

სოფო კვინტრაძე

*სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა ითვალისწინებს ენერგოსექტორში ამოღების მაჩვენებლის 70 პროცენტამდე გაზრდას. მისიის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მთავრობა აქტიურად ალაპარაკდა ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო კომპანიებში კომერციული დანაკარგების ხელოვნურად გაზრდაზე. გენერალური პროკურორი ენერგოსექტორში სკანდალური საქმეების გახსნით იმუქრება, ფინანსთა მინისტრი კი დღეს ყველა იმ უწყების პირველ პირს დაასახელებს, ვინც ბიუჯეტის შესრულებაში სერიოზულ პრობლემებს უქმნის.*


გოგიტა ბახსიძის ფოტო

*ნუგზარ გაბრიჩიძე კორუმპირებულებს მორიგ მუქარას უთვლის.*

სახელმწიფო მინისტრთან გუშინ საგანგებო და დახურული თათბირი გაიმართა, რომელსაც ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა და გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე ესწრებოდნენ. თათბირზე ენერგეტიკულ სექტორში გასატარებელი ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს. კერძოდ, განიხილეს გაზისა და ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებში კომერციული დანაკარგების საკითხი. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა განაცხადა, კომერციულმა დანაკარგებმა “ეი-ი-ეს თელასსა” და “თბილგაზში” იმდენად იმატა, რომ აუცილებელია ეს საკითხები პროკურატურამ შეისწავლოს. ამას გარდა, ფინანსთა სამინისტრომ ენერგოსექტორში არსებული ზოგიერთი საეჭვო ვალების დაგროვების საკითხიც შეისწავლა და მასალები გენერალურ პროკურატურას გადასცა. თუმცა, გოგიაშვილმა ფაქტების ჩამოთვლისაგან თავი შეიკავა. რაც შეეხება კომერციულ დანაკარგებს, ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, “ეი-ი-ეს თელასში” ზამთრის პერიოდში დანაკარგებმა 50 პროცენტს გადააჭარბა, “თბილგაზში” კი ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია.

გენერალური პროკურორი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში ძალიან სერიოზულ კრიმინალს გამოააშკარავებენ ორივე ზემოაღნიშნულ კომპანიაში. გაბრიჩიძის თქმით, “თბილგაზში” ადგილი აქვს კომერციული დანაკარგების თითქმის 70 პროცენტის ხელოვნურად გაზრდას. გენერალური პროკურორის ინფორმაციით, დღეისათვის პროკურატურაში "თბილგაზთან" დაკავშირებით რამდენიმე საქმეა აღძრული, რომლებიც, ძირითადად, კომერციული დანაკარგების ხელოვნურ გაზრდას უკავშირდება. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გენერალურმა პროკურორმა არ დაასახელა პირები, რომელთა მიმართ აღიძრა საქმეები, თუმცა, "თბილგაზის" ზოგიერთი მაღალჩინოსნის თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობაც არ გამორიცხა. ამას გარდა, დღეს საოლქო სასამართლო განიხილავს გენერალური პროკურატურის საკასაციო სარჩელს “ეი-ი-ეს თელასის” ფინანსური მენეჯერის გიორგი გვიჩიანის საქმეზე. პროკურატურა უკმაყოფილოა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც გვიჩიანი თავდებით გაათავისუფლა.

“თბილგაზსა” და “ეი-ი-ეს თელასში” გენერალური პროკურორის ბრალდებებს უარყოფენ. როგორც “თბილგაზის” გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განაცხადა, გაბრიჩიძის მუქარა მისკენ არ არის მიმართული. ცაავას აზრით, გენერალური პროკურორი "თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორის გია გოზალიშვილის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს გულისხმობს. თუმცა, ცაავა არ მალავს, რომ "თბილგაზი" მოხმარებული ბუნებრივი აირის მხოლოდ 43 პროცენტიდან იღებს საფასურს, ხოლო დანარჩენი ტექნიკურ და კომერციულ დანაკარგებად ითვლება.

“ეი-ი-ეს თელასის” ლობისტის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, "თელასს" საქართველოს დანარჩენ ენერგოკომპანიებთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს კომერციულ დანაკარგებში. **“გაბრიჩიძეს ურჩევნია მაღალი ძაბვის ქსელში და სხვა სადისტრიბუციო კომპანიებში არსებული კომერციული დანაკარგები გამოიკვლიოს. მაგრამ ამას ვერ გააკეთებს, რადგან ის ადამიანები არიან ამ ენერგოკომპანიების პროტეჟეები, რომლებმაც გაბრიჩიძე დანიშნეს,”** – აცხადებს ირაკლი მელაშვილი.

# "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უმუშევრობა ელით

მაია ურუშაძე

*დღეს თბილისის საკრებულომ "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა განიხილოს. საკრებულო საბჭოს საქმიანობით უკმაყოფილოა. "რამდენი ხანია, რაც "თბილგაზში" კატასტროფული მდგომარეობაა, სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან კი არავითარი ნაბიჯი არ არის გადადგმული მენეჯმენტის გაუმჯობესებისკენ. გაკოტრებული "თბილგაზის" გადარჩენა მხოლოდ ნორმალური მენეჯმენტის პირობებში შეიძლება," – აცხადებს "დემოკრატი" დავით ხუციშვილი. საკრებულოს მძაფრი რეაქცია "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: "მე დაბნეული ვარ. ტელევიზიით გავიგე იმ განცხადებების შესახებ, რაც "თბილგაზის" ხელმძღვანელთა მისამართით კეთდება."*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ლევან ჩრდილელი: არ შეიძლება, ერთს ვახრჩობდე და მეორეს შეღავათებს ვაძლევდე*

"თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხი მას შემდეგ გამწვავდა, რაც ფინანსთა სამინისტრომ თბილისის გაზგამანაწილებელ ქსელს ეკოლოგიის გადასახადის – 5 მილიონი ლარის სასწრაფოდ გადახდა მოსთხოვა და, ამ მიზნით, მორიგი კრედიტის აღება ურჩია. თანხმობის შემთხვევაში, ამ "პროცენტიანი ვალის" გასტუმრებას საგარანტიო წერილით შეჰპირდა, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი - სალაროს დაყადაღებით დაემუქრა. **"თბილგაზი" გადასახადებს საერთოდ უგულებელყოფს და ბიუჯეტში ერთ თეთრსაც არ იხდის. გადასახადები კი ყველა ორგანიზაციამ ერთნაირად უნდა გადაიხადოს. არ შეიძლება, ერთს ვახრჩობდე და მეორეს შეღავათებს ვაძლევდე,"** – პრინციპული იყო გუშინ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი და საკრებულოსგან საკითხის სასწრაფოდ დარეგულირება მოითხოვა.

**"თბილისის საკრებულო "თბილგაზისთვის" კრედიტს აღარ აიღებს,"** – აცხადებდნენ გუშინ საკრებულოს დეპუტატები და ფინანსთა სამინისტროს სიმკაცრეს ცენტრალური ბიუჯეტის გარღვევას უკავშირებდნენ. **"სესხის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან გაუთავებლად ხდება სესხის აღება, იმაზე კი არავინ ფიქრობს, თუ რატომ უგროვდება "თბილგაზს" ამდენი ვალები. ვიხდით ვალს და ხმას არ ვიღებთ. რეალურად კი, კრედიტის აღება იმისათვის ხდება, რომ ცენტრალურმა ბიუჯეტმა "თბილგაზს" მისი დავალიანება "ჩამოაწეროს". ეს თანხა ცენტრალურ ბიუჯეტში შემოსავლებად დაფიქსირდება და ბიუჯეტის გარღვევა, ფიქტიურად, ხუთი მილიონით შემცირდება,"** – ასე ახსნა ფინანსთა სამინისტროს ჩანაფიქრი ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ. მას პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრი რომან გოცირიძეც დაეთანხმა.

მიუხედავად ამისა, "თბილგაზის" ხელმძღვანელობის მიმართ უკმაყოფილება საკრებულოში არ დაუმალავთ. **"ამ ორგანიზაციაში გამეფებული კორუფციის გამო ქალაქის ბიუჯეტი ზარალდება,"** – აცხადებდნენ საკრებულოს დეპუტატები და "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიმართ საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს აკეთებდნენ. "ლეიბორისტმა" კახა ძაგანიამ მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა, **"თუ, რასაკვირველია, "თბილგაზის" კორუფციულ სქემებში მათი მონაწილეობა დადასტურდება."**

სხვათა შორის, "თბილგაზის" გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი იმ დროს დაემთხვა, როცა ამხანაგობა "ახალ მენეჯმენტს" დედაქალაქის მთავრობაში თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის მართვის უფლებაში ასაღებად მომზადებული ხელშეკრულების საკუთარი ვარიანტი უნდა შეეტანა. ეს ხელშეკრულება საკრებულოს კომიტეტებმა უნდა განიხილონ, შემდეგ კი საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას "თბილგაზის" "ახალი მენეჯმენტისათვის" მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე. საკრებულოში ეჭვობენ, რომ გაზგამანაწილებელი ქსელის გასხვისების წინ, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის შერჩევა საკმაოდ დიდ ხმაურს გამოიწვევს.

# სავაჭრო ომი ამერიკასა და ევროპას შორის

მსოფლიოს უდიდესმა გარემოსდაცვითმა ქსელმა "დედამიწის მეგობრები", ევროკავშირს მოუწოდა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს აშშ-ის აგრესიულ მცდელობებს - ძალისმიერი მეთოდებით შეიტანოს ევროპის ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტები. ევროკავშირისა და აშშ-ს მხარეები ხუთშაბათს შეხვდებიან ერთმანეთს ჟენევაში, ოფიციალური საკონსულტაციო პროცესის ფარგლებში.

როგორც ცნობილია, აშშ-მა 2003 წლის 13 მაისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) წამოიწყო პროცედურა ევროკავშირში გენმოდიფიცირებულ პროდუქტებთან დაკავშირებით მოქმედი დე ფაქტო მორატორიუმის წინააღმდეგ. აშშ-ს მხარს უჭერენ: არგენტინა, კანადა, ეგვიპტე და კიდევ ცხრა ქვეყანა. თუმცა, ამ სავაჭრო ომის პირველივე ეტაპზე ორგანიზაცია "დედამიწის მეგობრებმა" გამოააშკარავა, რომ აღნიშნული კოალიცია და მისი არგუმენტები ძალიან "სუსტია და საფუძველსაა მოკლებული", რაც რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: ამჯერად ეგვიპტე, ელ სალვადორი და ჰონდურასი WTO-ს ოფიციალურ კონსულტაციებში მონაწილეობას არ მიიღებენ; კანადამ თავი შორს დაიჭირა აშშ-ისაგან და მოითხოვა ევროკავშირთან ცალკე კონსულტაცია; გენმოდიფიცირებული ორგანიზმების აკრძალვები ან მორატორიუმები იმ ქვეყნებშიც მოქმედებს, რომლებიც თავდაპირველად აშშ-ს უჭერდნენ მხარს; მათ შორის, ახალ ზელანდიაში (მორატორიუმი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კულტივირებაზე), ავსტრალიაში (რეგიონული აკრძალვა), პერუში (გენმოდიფიცირებული ორგანიზმების აკრძალვა) და ელ სალვადორში (გენმოდიფიცირებული სათესლე მასალის აკრძალვა).

როგორც საქართველოს მწვანეთა მოძრაობის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საწინააღმდეგო კამპანიის კოორდინატორმა გიორგი მაღრაძემ განაცხადა, **"WTO-ში აშშ-ის მიერ ევროკავშირის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი სინამდვილეში წარმოადგენს მუქარასა და გაფრთხილებას ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა. ჩვენთან, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ჯერ არ არსებობს კანონმდებლობა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტისა და კულტივაციის რეგულირებისათვის. თუმცა, მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება წინააღმდეგობა ასეთი პროდუქტებისადმი და მრავალი ქვეყანა აწესებს აკრძალვებსა თუ მორატორიუმებს."**

გენმოდიფიცირებულ კულტურებზე მორატორიუმი, მაგალითად, ავსტრალიის ოთხ შტატში მოქმედებს: აღმოსავლეთ ავსტრალიასა და ტასმანიაში 5 წლით, ახალ სამხრეთ უელსში 3 წლით და ვიქტორიაში 1 წლით. სამხრეთ ავსტრალიამ 2003 წელს კულტივაცია არ დაუშვა, თუმცა აქ მორატორიუმი ჯერ არ მოქმედებს. 2001 წელს ახალი ზელანდიის პარლამენტმა შესწორებები შეიტანა HSNO აქტში და დროებით აკრძალა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კულტივაცია, ასევე დააწესა სპეციალური კონტროლი საველე ცდებზე. ევროკომისიისადმი გაგზავნილ წერილში პერუს ვაჭრობის სამინისტრო იუწყება, რომ აკრძალულია გენმოდიფიცირებული საკვების ან ორგანიზმების იმპორტი, წარმოება, ყიდვა-გაყიდვა ანდა კომერციალიზაცია, ასევე ცხოველთა საკვების კულტივაცია. ელ სალვადორში 2001 წლის 30 სექტემბერს მიღებული სათესლე მასალის კანონი კრძალავს გენმოდიფიცირებული სათესლე მასალის კულტივაციას.

**"ეს მოძრაობა სულ უფრო მეტ გულისწყრომას იწვევს ამერიკის ბიზნეს- წრეებში, რადგან აშშ-ის პროდუქციის 90 პროცენტზე მეტი გენმოდიფიცირებულია. ამიტომ აშშ ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე შეაჩეროს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების აკრძალვის მოძრაობა,"** - განმარტა გიორგი მაღრაძემ.

"დედამიწის მეგობრების" სავაჭრო ომის კამპანიის კოორდინატორმა ადრიან ბებმა კი განაცხადა **"ჩვენ მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილებები ევროპისა და სხვა ქვეყნების სასურსათო პოლიტიკის შესახებ ამავე ქვეყნებში უნდა მიიღებოდეს და არა WTO-ში; მით უმეტეს - არა თეთრ სახლში ან ბიოტექნოლოგიური კორპორაციის მონსანტოს შტაბ-ბინაში"**.

*24 საათი*

# ავღანეთი ოპიუმის რეკორდულ რაოდენობას აწარმოებს

გაერო-ს ცნობით, ოპიუმის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანა – ავღანეთი წელსაც ყაყაჩოს რეკორდულ მოსავალს აიღებს.

ვენაში არსებული გაერო-ს დანაშაულისა და ნარკოტიკების ოფისის აღმასრულებელმა დირექტორმა ანტონიო მარია კოსტამ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ გასულ წელს ავღანეთში ყაყაჩო მოყვანილ იქნა 74 000 ჰექტარზე, რისგანაც დამზადდა 3400 ტონა ოპიუმი. მისივე ინფორმაციით, ეს მაჩვენებლი, პრაქტიკულად, ამ წელსაც უცვლელი დარჩება.

"ავღანეთი კვლავ მსოფლიოს ყველაზე დიდი ოპიუმის მწარმოებელი იქნება", - აღნიშნა კოსტამ. "ბირმა და ლაოსი მეორე და მესამე ადგილებს იყოფენ. ისინი წელს წარმოების მოცულობას შეამცირებენ".

წლების განმავლობაში გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ავღანელი გლეხების დარწმუნებას ცდილობდნენ, რათა მათ სხვა მცენარეები დაეთესათ. კოსტას მტკიცებით, ეს დღითი დღე ძნელდება, რადგან ოპიუმზე მსოფლიო ფასები მატულობს.

ოპიუმი, რომლისგანაც შემდეგ ჰეროინი მზადდება, ძირითადად, ევროპასა და რუსეთში იგზავნება, თუმცა, ანტონიო კოსტას თქმით, ნარკოტიკებზე მოთხოვნა ავღანეთის მეზობელ სახელმწიფოებშიც მატულობს.

ბრიტანეთი ავღანეთის მთავრობას ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება; გერმანია ნარკოტიკების ტრანსპორტირების გასაკონტროლებლად ავღანეთის პოლიციას წვრთნის, ხოლო საფრანგეთმა ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების კოორდინირების უზრუნველსაყოფად 50 სახელმწიფოს მონაწილეობით დიდი კონფერენცია მოაწყო.


REUTERS

*მათთვის ეს სამსახურიცაა და "დასვენებაც".*

შეერთებულმა შტატებმა ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი პოლიციის ძალების მომზადებაში 60 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი დახარჯა.

აშშ-ის ელჩმა გაერო-ში ჯონ ნეგროპონტემ კოსტას მოხსენებას "შემაშფოთებელი ტენდენცია" უწოდა.

ერთდღიანი შეხვედრის შემდეგ, ავღანეთის უსაფრთხოებისა და ნარკოტიკების წარმოების შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭომ ვრცელი განცხადება გაავრცელა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრები მხარს უჭერენ ავღანეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების წარმოება 2013 წლისთვის მთლიანად უნდა შეწყდეს.

"ავღანეთში წარმოებული ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული ყველა ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ ეს ღონისძიებები ქვეყნის განვითარებისა და აღდგენის კონტექსტში იქნება გატარებული", - ნათქვამია განცხადებაში.

2000 წელს ავღანეთის ფუნდამენტალისტურმა რეჟიმმა (თალიბებმა) ოპიუმის წარმოება შეამცირა, მაგრამ 2001 წელს, მისი დამხობის შემდეგ, ნარკოტიკების წარმოება მკვეთრად გაიზარდა.

***როიტერი***

# დემონსტრაციების მერვე ღამე თეირანის ქუჩებში

ასეულობით ირანელი თეირანის ქუჩებში კვლავ გამოვიდა პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნით. არაფორმალური პოლიციური დაჯგუფების შესაძლო ჩარევით შეშინებული დემონსტრანტები მანქანებში ისხდნენ და ასიგნალებდნენ.

რვა დღის წინ დაწყებულ დემონსტრაციებს ვაშინგტონი მხარს უჭერს. თეირანის ხელისუფლებამ ერთხმად დაგმო ამერიკის პოლიტიკური ზეწოლა, რომელიც თეირანს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში, ტერორისტების დასპონსორებასა და ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის ბოიკოტირებაში ადანაშაულებს.

აღსანიშნავია, რომ რეფორმატორებად წოდებული პარლამენტარების უმრავლესობამ შეერთებული შტატების პოლიტიკა დაგმო და მას ირანის შიდა საქმეებში უხეშად ჩარევაში დასდო ბრალი.


REUTERS

*დაპირისპირება თეირანის ქუჩებში.*

თავად დემონსტრანტები ამბობენ, რომ ისინი ქუჩებში ვაშინგტონის გამო არ გამოსულან. "თუ ქუჩებში გამოსვლა მეტ თავისუფლებას მომიტანს, მე აქ მოვალ. მნიშვნელობა არა აქვს, იმავეს ვინ მოითხოვს", - განუცხადა დასავლელ ჟურნალისტს ქუჩაში მყოფმა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

წინა ღამის მსგავსად, პოლიცია გარს შემოერტყა თეირანის უნივერსიტეტს, რათა არ დაეშვა არაფორმალური პოლიციური დაჯგუფების ძალადობა სტუდენტებზე.

უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ფანჯრიდან კი ზოგიერთები გაჰყვიროდნენ: "ჩვენ ვაიძულებთ მათ, რომ მოგვისმინონ!"

# ჩრდილოეთ კორეა "უსაზღვრო" შურისძიებით იმუქრება

რევაზ ბახტაძე

გუშინ აზიურ ტურნეში მყოფმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ "მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თვალსაზრისით... ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამებზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი შეერთებული შტატებისათვის არ არსებობს", - იუწყება საინფორმაციო სააგენტო "როიტერი".

"ჩვენ ვერ დავეხმარებით ჩრდილოეთ კორეას, თუ ბირთვული შეიარაღების პროგრამებს არ გააუქმებს", - დასძინა მან.

პაუელმა გადაჭრით უარყო ფხენიანის განცხადებები, თითქოს, ვაშინგტონი ჩრდილოეთ კორეას ემუქრება. "ჩვენ არ ვემუქრებით ჩრდილოეთ კორეას და არც მას მივცემთ იმის უფლებას, რომ ამერიკას ან რეგიონში მის მოკავშირეებს თავდასხმით დაემუქროს", - ხაზგასმით აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

პაუელის მკაცრი განცხადებების პარალელურად, ავსტრალიაში მყოფმა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯეფ ჰუნმა გუშინ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა საერთაშორისო თანამეგობრობიდან იზოლირებული უნდა იყოს, ხოლო მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება - შეჩერებული.

"ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ჩრდილოეთ კორეას, რომ არ შევურიგდებით მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას", - აღნიშნა ჰუნმა ავსტრალიის ეროვნული პრესკლუბში.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფალთა მიერ გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ ჩრდილოეთ კორეა დაიმუქრა, რომ მისი შურისძიება "უსაზღვრო" იქნება. ფხენიანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ აშშ ფხენიანს ეკონომიკურ ბლოკადას დაუწესებს ან ომს დაიწყებს, ჩრდილოეთ კორეის ატომური ბომბების პირველი სამიზნე იაპონია იქნება.


REUTERS

*კიმ ჩენ ირი იაპონიას არ დაინდობს.*

ჩრდილოეთ კორეის ეს განცხადება შეერთებული შტატების, იაპონიისა და სხვა ქვეყნების უკანასკნელ ინიციატივას მოჰყვა, რომ აღიკვეთოს ჩრდილოეთ კორეის მიერ შეიარაღებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა.

ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა აღნიშნულ ინიციატივას არსებული წესების განმტკიცება უწოდეს. თუმცა, ანალიტიკოსების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ამ ზომების გამოყენებით ვაშინგტონი ცდილობს, ფხენიანი ეკონომიკურად კიდევ უფრო დაასუსტოს, რათა ჩრდილოეთ კორეას ბირთვული შეიარაღების პროგრამაზე ხელი აალებინოს.

"ჩრდილოეთ კორეა შეერთებული შტატების წინააღმდეგ მყისვე იძიებს შურს, თუ ფხენიანი ჩათვლის, რომ მისი სუვერენიტეტი ამერიკის ბლოკადის გამო იზღუდება", - ნათქვამია ფხენიანის მმართველი პარტიის გაზეთში.

"თუ ომი კორეის ნახევარკუნძულზე დაიწყება, ის დაუყოვნებლივ გავრცელდება იაპონიაშიც, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები იქ არის განლაგებული და ამერიკის მიერ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაში იაპონია მთლიანად არის ჩართული".

ჩრდილოეთ კორეის მიერ პრევენტიული დარტყმის განხორციელება იაპონიაზე ან სამხრეთ კორეაზე ნაკლებადაა სავარაუდო, რადგან ეს გამოიწვევს ჩრდილოეთ კორეის მმართველი რეჟიმის გარდაუვალ განადგურებას. თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, თუ ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკა სრული კოლაფსის წინაშე აღმოჩნდება, შესაძლოა, ფხენიანი ყველაფერზე წავიდეს.

სულ მცირე 11 სახელმწიფო (მათ შორის - იაპონია და სამხრეთ კორეა) შეთანხმდა, რომ მხარს დაუჭერს ამერიკის მთავრობის მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავს ჩრდილოეთ კორეიდან მომავალი არალეგალური ტვირთების გაკონტროლებასა და დაკავებას. იაპონიამ ჩრდილოეთ კორეული გემების შესამოწმებლად საგანგებო რეჟიმი შემოიღო.

გამკაცრებული ზომების მიუხედავად, დიპლომატები ცდილობენ, ფხენიანის ბირთვული შეიარაღების შესახებ მეორე მრავალმხრივი შეხვედრა მოაწყონ. პირველად ამგვარი შეხვედრა აპრილში შედგა ამერიკის, ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის მონაწილეობით. ამჯერად, ფხენიანი წინააღმდეგი არ არის, რომ მოლაპარაკებების ფორმატი გაფართოვდეს და პრობლემის განხილვაში იაპონია და სამხრეთ კორეაც ჩაერთოს.

"მთავარია, რომ მრავალმხრივ მოლაპარაკებებში იაპონია და სამხრეთ კორეა ჩაერთოს, რადგან ამ საკითხით ჩვენ ყველაზე მეტად ვართ დაინტერესებული", - გუშინ განაცხადა ჰაცუჰისა ტაკაშიმამ, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

# რუსეთის მთავრობა უნდობლობის ვოტუმს გადაურჩა

პირველი გვერდიდან

ამჯერად ლიბერალები და კომუნისტები მთავრობას ადანაშაულებენ საცხოვრებელი სტანდარტების დაქვეითებაში, მწვავე სოციალურ პრობლემებსა და ენერგეტიკული მონოპოლიების უსაზღვრო გავლენაში.

სახალხო უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი გაზისა და ელექტროენერგიის გადასახადების ზრდაა.

თავად მთავრობა აცხადებს, რომ მან ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მყარი საფუძველი შექმნა. "იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკური ზრდა 7,1 პროცენტია, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება სრული უაზრობაა," – ამბობენ კასიანოვის მხარდამჭერები.

ამჯერად მეხამრიდის როლი დუმაში პრეზიდენტის მომხრე უმრავლესობამ შეასრულა. პუტინის მომხრე ოთხივე ბლოკმა ("ედინსტვო", "ოტეჩესტვოვსია როსია", "რეგიონი როსიი" და "ნაროდნი დეპუტატ") მთავრობის სასარგებლოდ მისცა ხმა, თუმცა ისინი მას ხშირად აკრიტიკებდნენ. ასეთი შედეგი არავისთვის ყოფილა მოულოდნელი. თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, პუტინს პარლამენტი "ჯიბეში უზის".

როგორც ერთმა ცნობილმა რუსმა პოლიტიკურმა მიმომხილველმა განაცხადა, "რუსეთში საშინაო პოლიტიკა აღარ არსებობს".

# ომი დამთავრდა, მსხვერპლის რაოდენობა იზრდება

გუშინ ამერიკელმა ჯარისკაცმა ცეცხლი გაუხსნა ერაყელ მომიტინგეებს და ორი მათგანი მოკლა. მიტინგი ბაღდადში ამერიკული ადმინისტრაციის შენობის (სადამ ჰუსეინის ყოფილი სასახლე) წინ მიმდინარეობდა.

საპროტესტო აქციაში 200-მდე ერაყელი ყოფილი ჯარისკაცი მონაწილეობდა, რომლებიც, ამერიკელების მიერ ერაყის ჯარის დაშლისა და მათი უხელფასოდ დატოვების გამო, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

"არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა. ამერიკა კი ალაჰის მტერია. ძირს ამერიკა!" – სკანდირებდნენ მომიტინგეები.

ამერიკელი სამხედროების განცხადებით, მათმა ჯარისკაცმა ცეცხლი თავდაცვის მიზნით მას შემდეგ გახსნა, რაც ერაყელებმა ქვების სროლა დაიწყეს.

ერაყელები ამბობენ, რომ დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო და ცეცხლი ამერიკელებმა უმიზეზოდ გახსნეს. "ჩვენ მათ არაფერს ვუშავებდით, მათ კი სროლა დაგვიწყეს," – განუცხადა "როიტერს" ერაყელმა მომიტინგემ.

ერაყის ახალი მმართველის პოლ ბრემერის გადაწყვეტილებამ ერაყის არმიის, თავდაცვისა და ინფორმაციის სამინისტროების, სადაზვერვო სამსახურის დათხოვნის შესახებ, 400 ათასი კაცი უმუშევრად დატოვა.

კაპიტანმა ნაუმანმა, რომლის ჯარისკაცებიც იცავდნენ შენობას, განაცხადა, რომ ერაყელები ერთი საათის განმავლობაში ისროდნენ ქვებს, თუმცა არავინ დაშავებულა მანამ, სანამ ამერიკელების ახალი კოლონა არ მოვიდა.

ერაყელები გარს შემოერტყნენ ამერიკელების მანქანებს და მათი ნჯღრევა და ფანჯრების დამტვრევა დაიწყეს, თანაც ქვებს ისროდნენ. ჯარისკაცებმა საპასუხოდ ცეცხლი გახსნეს, – ამბობს კაპიტანი. იგი ადასტურებს, რომ ერაყელების მხრიდან სროლა არ ყოფილა.

ბრემერის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ არმიის დათხოვნამ წარმოშვა შეიარაღებულ და უკმაყოფილო ადამიანთა უზარმაზარი ჯგუფი, რომელიც ამერიკული ადმინისტრაციისათვის, პოტენციურად, ძალზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ბოლო დღეების განმავლობაში, ყოფილმა ჯარისკაცებმა უკვე მეოთხე დემონსტრაცია მოაწყვეს.

ომის დასრულების შემდეგ, ერაყში 41 ამერიკელი სამხედრო მოკლეს

***როიტერი***

# სომხეთში "იტერა" "გაზპრომმა" შეცვალა

"გაზპრომმა" სომხეთში გაზის ექსპორტი დაიწყო. კომპანიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, რუსული გაზის მონოპოლისტი მიმდინარე წელს სომხეთისათვის 660 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიწოდებას გეგმავს. ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიის გავლით განხორციელდება.

აქამდე სომხეთს ბუნებრივი აირით "იტერა" ამარაგებდა. "იტერა" სომხეთში ივლისამდე დარჩება, შემდეგ კი ამ ქვეყნიდან წასვლა მოუწევს.

ხელშეკრულებას "გაზპრომსა" და სომხეთს შორის ხელი მოეწერა იანვარში, მოსკოვში, პრეზიდენტ კოჩარიანისა და გაზპრომის ხელმძღვანელს ალექსეი მილერს შორის შეხვედრაზე.

გაზის ტრანსპორტირებას სომხეთის საზღვრამდე გაზპრომის შვილობილი კომპანია "გაზექსპორტი" განახორციელებს, საზღვარზე ბუნებრივ აირს ერთობლივი სომხურ-რუსული კომპანია "არმროსგაზპრომი" შეიძენს.

"არმროსგაზპრომი" 1998 წელს შეიქმნა. მისი აქციების 45-45 პროცენტს სომხეთის მთავრობა და "გაზპრომი" ფლობენ, 10 პროცენტი კი იტერას საკუთრებაა.

ამ ნაბიჯით "გაზპრომი" აგრძელებს "იტერას" გამოძევებას დსთ-ის ქვეყნების ბაზრებიდან.

სომხეთის თითქმის მთელი ენერგეტიკა რუსეთის კონტროლქვეშ იმყოფება. რუსები ფლობენ გენერაციისა და დისტრიბუციის ობიექტების უდიდეს ნაწილს და ამავე დროს არიან ბუნებრივი გაზისა და ატომური ელექტროსადგურისათვის ბირთვული საწვავის ერთადერთი მიმწოდებლები. სომხეთში "გაზპრომის" შესვლის შემდეგ რუსები პოზიციებს კიდევ უფრო განიმტკიცებენ.

მიმომხილველთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ერევნის ენერგეტიკული დამოკიდებულება მოსკოვზე გრძელვადიანი პოლიტიკური დამოკიდებულების საწინდარი იქნება.

# კერძო მართლმსაჯულება

მეითამ ჯასემი
*IWPR, ბასრა*

მკვლელობიდან ერთი საათის შემდეგ გვამი ისევ ქუჩაში ეგდო. ბრიტანელი ჯარისკაცები იარაღმომარჯვებულები უყურებდნენ, როგორ აწარმოებდა მოწმეების დაკითხვას ერაყის პოლიცია. მოკლულის აღელვებული სიძე ქუჩის მეორე მხარეს იდგა და ყვიროდა "როდესაც მას კლავდნენ, ხალხი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა. ხელის შეშლა აზრადაც არ მოსვლიათ, რადგან მათ იგი სძულდათ".

30 წლის ჰაშიმ ჰასანი ბასრას ქუჩაში დილით მანქანიდან ჩაცხრილეს. ადრე იგი სადამის ფედაინების წევრი იყო. ამ გასამხედროებულმა ფორმირებამ, რომელიც თავისი სისასტიკით იყო ცნობილი, ამერიკელებსა და ბრიტანელებს ომის დროს საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწია. როგორც კი ბრიტანელებმა ბასრა დაიკავეს, ფედაინების ხელმძღვანელებმა ქალაქი დატოვეს. მაგრამ ზოგიერთმა რიგითმა სამოქალაქო ტანსაცმელი გადაიცვა და შეეცადა, სამოქალაქო მოსახლეობას შერეოდა.

"მის გამო ბევრი ადამიანი დაიტანჯა," – ამბობს ჰასანის მეზობელი – "მან ერთი თავისი მეგობარიც კი დაიჭირა, შემდეგ ავეჯი მოჰპარა და სახლი დაუწვა. ახლა ხალხს სურს, საკუთარი ხელით აღადგინოს სამართლიანობა. ისინი ისე ექცევიან ბაასისტებს, როგორც ადრე მათ სადამი ექცეოდა".

მკვლელობის ადგილას მოსულმა პოლიციელმა, ლეიტენანტმა მოჰსენმა ფაქტობრივად მოიწონა მკვლელობა. "მან ბევრი ხალხი დახოცა და სიკვდილი დაიმსახურა," – ამბობს მოჰსენი.

ბასრაში, ერთი საათის განმავლობაში, ეს უკვე ფედაინის მეორე მკვლელობა იყო. ცოტა ხნით ადრე დაცხრილეს ყოფილი პოლკოვნიკი აბდულა რეზაკი, შვიდი შვილის მამა, რომელმაც ბრიტანელების შემოსვლის შემდეგ ფორმა გაიხადა და საგზაო ინსპექტორი გახდა. იგი სამსახურისაკენ მიმავალი მოკლეს, სროლის დროს ორი გამვლელი დაიჭრა, ერთი მათგანი - სერიოზულად.

მას შემდეგ, რაც სადამის 35-წლიანი რეჟიმი დაემხო, მისი ყველაზე ერთგული მებრძოლები: ბაასის მაღალჩინოსნები, სადაზვერვო სამსახურის ოფიცრები, ფედაინები და რესპუბლიკური გვარდიის ჯარისკაცები უკვალოდ გაქრნენ. ორი თვეა, რაც ერაყი მთავრობის გარეშეა, ამერიკელი მმართველები კი ჯერ სიტყვას არ ძრავენ სადამის მსხვერპლთა მოთხოვნაზე – აღდგეს სამართლიანობა და დაისაჯონ ტირანის მსახურნი.

ბევრ ქალაქებში საოკუპაციო ადმინისტრაციამ მაღალ თანამდებობებზე ბაასისტები დანიშნა. მოსახლეობამ ჩათვალა, რომ საოკუპაციო ხელისუფლება არ აპირებს ბაასისტების დასჯას. როდესაც ბრიტანელებმა ბასრა დაიკავეს, ქალაქის მთავრობაში მათ ორი ბაასისტი მაღალჩინოსანი დანიშნეს, მათ შორის - ჰუსეინის რეჟიმის ცნობილი ჯალათი. მასობრივი პროტესტების შემდეგ ბრიტანელებმა ორივე მათგანი გაათავისუფლეს.

ამის გამო ერაყელების ნაწილმა (განსაკუთრებით - შიიტებითა და ქურთებით დასახლებულ რეგიონებში) გადაწყვიტა, თვითონ იქცეს მართლმსაჯულების იარაღად. რეჟიმის დამხობასთან ერთად დაემხო მისი ინსტიტუტებიც. ბასრაში ახალი პოლიცია და სასამართლო მხოლოდ ახლა იქმნება, თანაც, ერაყელი პოლიციელები აცხადებენ, რომ ბრიტანელების მიერ შემოღებული წესები მათ მუშაობაში ხელს უშლის.

"ბრიტანელები ყველაფერს არ აკეთებენ წესრიგის აღსადგენად," – აცხადებს ადგილობრივი მოსახლეობა, – "კომენდანტის საათის დროს ისინი გამოძახებებზე არ მიდიან. ყველა ბანდიტმა იცის, რომ ამ დროს შეუძლია დაუსჯელად იმოქმედოს. ჩვენი პოლიცია იჭერს მკვლელებს, ადამიანის გამტაცებლებსა და გამაუპატიურებლებს, მაგრამ თუ 12 საათის განმავლობაში მათ დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთები ვერ წარმოადგინეს, ინგლისელები დაკავებულებს სახლში უშვებენ".

იყო შემთხვევები, როდესაც ბრიტანელების მიერ გაშვებულმა ეჭვმიტანილებმა გათავისუფლებისთანავე ჩაიდინეს მკვლელობები. ზოგიერთმა მათგანმა ის პოლიციელები დაცხრილა, რომლებმაც ადრე ისინი დააკავეს.

"ჩვენ გვეშინია ქუჩაში ფორმით სიარული, რადგან შეიძლება ვინმეს ბაასისტებში ავერიოთ. ასეთი მკვლელობები ყოველდღე ხდება," – ამბობს ერაყელი პოლიციელი.

ფოსტა

# ღია წერილი

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

**ბატონო პრეზიდენტო,**

გამოვხატავთ რა დიდ კმაყოფილებას თქვენი იმ დაუვიწყარი სიტყვის გამო, რომელიც ა.წ. 12 მარტს საყოველთაო ქრისტიანული მსახურებისას წარმოთქვით, ამავე დროს არ შეგვიძლია არ გაუწყოთ ჩვენი გულისტკივილი იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური შეუწყნარებლობის განელებისაკენ მიმართული თქვენი ძალისხმევა ვერ პოულობს სათანადო გამოძახილს, რაც თქვენი წარმოთქმული სიტყვის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა; ქვეყანაში სულ უფრო მზარდი რელიგიური ისტერიის ფონზე აღარავის გაკვირვებია, როცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მკალავიშვილისა და ივანიძის საქმის უკანასკნელ მოსმენაზე მოსარჩელე მხარის - "იეღოვას მოწმეების" - წარმომადგენლები და მათი ადვოკატები ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყვეს. რელიგიური ექსტრემისტები ისევ აბსოლუტურად დაუსჯელად პარპაშებენ, რასაც კიდევ არაერთი უმსგავსო ფაქტი ადასტურებს. გვსურს, თქვენი ყურადღება მათ მივაპყროთ.

4 მაისს მართლმადიდებლობისათვის მებრძოლმა ჩვენმა წრეგადასულმა მოშურნეებმა ისევ ჩაშალეს ერთ-ერთი რელიგიური დაჯგუფების - იმავე მრავალტანჯული "იეღოვას მოწმეების" შეკრება, ამჯერად ორთაშენში. 1 და 15 ივნისს (სულთმოფენობის დღეს) თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში ჩაშალეს ორმოცდაათიანელთა შეკრებები. იქ მყოფ ადგილობრივი პოლიციის მუშაკებს თითიც არ გაუნძრევიათ უწესრიგობის ასალაგმად. 15 ივნისს ღამით ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში გადაწვეს ბაპტისტური ეკლესია.

ხელისუფლება კვლავინდებურად უმოქმედოა და ფარულად თუ აშკარად აქეზებს გალაღებულ ექსტრემისტებს.

ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ თხოვნით, გააკეთოთ ყველაფერი, რაც თქვენზეა დამოკიდებული, რათა ბოლო მოეღოს ამ თვითნებობას და შევძლოთ სიამაყით წარმოვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში არავინ უშლის ადამიანს ისე იწამოს ღმერთი, როგორც მისი სინდისი უკარნახებს.

*ღრმა პატივისცემით*
**სამოქალაქო მოძრაობა რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ საქართველოში:**
***გია ნოდია*** - *მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი;*
***ვახუშტი კოტეტიშვილი*** - *პროფესორი, კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტი;*
***ლევან რამიშვილი*** - *თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი;*
***გიგა ბოკერია*** - *თავისუფლების ინსტიტუტის გამგეობის წევრი;*
***რამაზ საყვარელიძე*** - *თსუ და თსსუ დოცენტი;*
***გაგა ნიჟარაძე*** - *ICCN;*
***მამუკა არეშიძე*** - *კავკასიის საკითხთა ექსპერტი;*
***მიხეილ ჩაჩხუნაშვილი*** - *ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო";*
***მზექალა შანიძე*** - *პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;*
***ივლიანე ხაინდრავა*** - *განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი;*
***თამაზ ჯოლოგუა*** - *თსუ პროფესორი;*
***ზურაბ კიკნაძე*** - *თსუ პროფესორი;*
***პეტრე მამრაძე*** - *სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი;*
*დეკანოზი* ***ბასილ კობახიძე*** - *მართლმადიდებელი ეკლესია;*
***ნაირა გელაშვილი*** - *მწერალი, "კავკასიური სახლის" დირექტორი;*
***დავით უსუფაშვილი*** - *იურისტი;*
***ლევან ბერძენიშვილი*** - *ეროვნული ბიბლიოთეკა;*
***ელენე თევდორაძე*** - *საქართველოს პარლამენტი;*
***მიხეილ ნანეიშვილი*** - *საქართველოს პარლამენტი;*
***ნანა კაკაბაძე*** - *"ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის";*
*მღვდელი* ***ზაზა თევზაძე*** - *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია*
*და სხვები.*

***თბილისი. 18.06.2003***




მისაღები გამოცდები - 2003

# სდასუ - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ნინო ცინცაძე

*მალე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დაიწყება. იყო დრო, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებს შორის არჩევანის გაკეთება ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა. თუ "გეპეი", უნივერსიტეტი, უცხო ენები ან სამედიცინო არ გინდოდა, მაშინ "პუშკინს" "ზოოვეტს" ან "სასოფლოს" ვერ აცდებოდი. არც იმის გარკვევა იყო ძნელი, უნივერსიტეტში აბარებდი თუ ინსტიტუტში - სულ ერთი უნივერსიტეტი და რამოდენიმე ინსტიტუტი გვქონდა. დღეს საქართველოში 33 უნივერსიტეტი, 22 აკადემია და 167 სხვადასხვა ინსტიტუტი თუ სკოლა არსებობს, თანაც, თითქმის, ყველა ფასიანია. როგორც ვხედავთ, რეგისტრირებულ უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი ძალიან დიდია, მაგრამ რეალურად და ეფექტურად მხოლოდ მათი მცირე ნაწილი თუ ფუნქციონირებს. ჩვენ შევეცდებით, რომ ამგვარი უმაღლესების შესახებ, შეძლებისდაგვარად, ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდოთ, რათა არჩევანი გაგიადვილდეთ. დავიწყებთ სდასუ-ს სახელით ცნობილი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტით.*

ზოგადად, თბილისში არსებული კერძო უმაღლესი სასწავლებლები ორი პრინციპით იყოფა: ერთნი ორიენტაციას საზღვარგარეთ ნასწავლ, ტრეინინგგავლილ, ან საერთაშორისო სერთიფიკატების მქონე ახალგაზრდა კადრებზე იღებენ, მეორენი კი თავიანთ სასწავლებლებს მაღალი სამეცნიერო ცენზის მქონე პედაგოგების ყოლით უწევენ რეკლამირებას. ერთნი თვლიან, რომ განათლების თანამედროვე სტანდარტებს სწავლების ახალი მეთოდები სჭირდება და რომ მათი დანერგვისათვის ოცი-ოცდაათი წლის, ან უფრო დიდი ხნის წინ მინიჭებული სამეცნიერო ხარისხი არაფერს ნიშნავს. სხვები კი ფიქრობენ, რომ იქ, სადაც პედაგოგთა უმრავლესობა აკადემიკოს-პროფესორია, სწავლების ხარისხი თავისთავად მაღალია. ამ ორ პრინციპს შორის არჩევანის გაკეთება მკითხველისთვის მიმინდვია, მაგრამ თუ უპირატესობას მეორე ხედვას მიანიჭებთ, მაშინ სდასუ-თიც უნდა დაინტერესდეთ. სხვათა შორის, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი პრინციპის მომხრენი განათლების სამინისტროშიც არიან - მათ მიერ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის 1997 წელს ჩატარებული ატესტაციით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პედაგოგთა ცენზის მიხედვით, პირველი ადგილი სდასუ-მ დაიკავა.



ზაურ ბულაშვილის ფოტო

*სდასუ აბიტურიენტებს ელის.*

როგორც ტრადიციების ერთგულ უმაღლეს სასწავლებელს შეეფერება, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში სწავლება ხუთწლიანია, ბაკალავრიატ-მაგისტრატურის სისტემაზე ჯერ არ გადასულან და, როგორც ჩანს, არც ჩქარობენ. მართალია, სდასუ ტრადიციების მოყვარული უმაღლესია, მაგრამ ეს მას ხელს სულაც არ უშლის, კომერციული თვალსაზრისით, მიღება მომგებიან დარგებზე გამოაცხადოს: სამედიცინო ფაკულტეტი (სამკურნალო 700, პედიატრიული 600, სტომატოლოგიური 900, ფარმაცია 400 აშშ დოლარი), იურიდიული ფაკულტეტი (სამართალმცოდნეობა 500 აშშ დოლარი), უცხო ენების ფაკულტეტი (ინგლისური 500, გერმანული კი 400 აშშ დოლარი), ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (პრესა, ტელე 400 აშშ დოლარი) და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საფინანსო-საბანკო, საგადასახადო-საბაჟო საქმიანობის, საკურორტო, სამკურნალო და ტურიზმის მენეჯმენტი 400 აშშ დოლარი).

სდასუ-ს ყოველ სტუდენტს, თუ მას არა აქვს გაცდენილი ოცდაათ აკადემიურ საათზე მეტი და გამოცდები სასესიო ვადებში აქვს ჩაბარებული, ენიშნება სტიპენდია, რომელიც 15-იდან 50 ლარამდე მერყეობს, ფაკულტეტისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით.

როგორც წესი, მისაღები გამოცდები სდასუ-ში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ადრე, 10-20 ივლისის ფარგლებში ტარდება, რათა უნივერსიტეტში ხელმოცარულთა ნაკადი მათკენ არ დაიძრას. თუმცა, ალბათ, სწორედ ასეთებისთვის სდასუ მისაღები გამოცდების მეორე ტურს აგვისტოს ბოლოს მაინც ატარებს ხოლმე. მაგრამ, როგორც ამბობენ, დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს უნივერსიტეტში, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ფული შემოიტანონ, არ აჩერებენ. სიმკაცრეა ლექციების გაცდენის თვალსაზრისითაც. ლექტორი ვალდებულია აუდიტორიაში იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტუდენტები არ არიან, რათა ლექციის გაცდენის პრეცედენტი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტებს ლექციების კალენდარული გეგმა წლის დასაწყისშივე ურიგდებათ და ამ გეგმის შესრულება სასწავლო წლის განმავლობაში მკაცრად კონტროლდება.

კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა სდასუ-ს სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში შესაბამისი პრაქტიკაც გაიარონ. საბურთალოზე მდებარე ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური კლინიკა სწორედ ამ უნივერსიტეტის ბაზაზეა გახსნილი. სხვათა შორის, სტომატოლოგიური განყოფილების სტუდენტებს დიპლომისშემდგომი განათლების მიღება სდასუ-შივე შეუძლიათ. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები თანამშრომლობენ "დილის გაზეთთან", "ახალ ეპოქასთან" და ტელეარხ "ევრიკასთან". გარდა ამისა, ისინი საკუთარ გაზეთსაც უშვებენ. თუ ადრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე პრესისა და ტელევიზიის სპეციალობებზე მესამე კურსიდან იყოფოდნენ, წელს უნივერსიტეტში ახალი ტელე-ლაბორატორია გაიხსნა და ტელე-ჟურნალისტიკაზე სტუდენტების მიღება პირველივე კურსიდან მოხდება.

მისაღები გამოცდები დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, ძირითადად, ტესტირებულია. ყოველ აბიტურიენტს სამი გამოცდის ჩაბარება უწევს: მშობლიური ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და კომბინირებული ტესტი სპეციალობის მიხედვით. სხვათა შორის, სდასუს ბაზაზე არსებობს ორწლიანი ლიცეუმი (წელიწადი 200 აშშ დოლარი), რომელიც საშუალო განათლების ატესტატს იძლევა და სამწლიანი მრავალპროფილიანი კოლეჯი (წელიწადი 250-300 აშშ დოლარი), სადაც სწავლა შემდეგი სპეციალობების მიხედვით მიმდინარეობს: ბიზნესი და მარკეტინგი; საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ანალიზი და კონტროლი; სოცუზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია; უცხო ენები დაწყებით კლასებში; ორთოპედიული სტომატოლოგია; მედდის საქმე. ამ კოლეჯის დასრულების შემდეგ აბიტურიენტს შეუძლია სწავლა უგამოცდოდ განაგრძოს სდასუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის მეორე კურსზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები ძალიან ამაყობენ იმით, რომ მათმა კურსდამთავრებულებმა სწავლის ამერიკაში გაგრძელების უფლება მოიპოვეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სდასუ-ს ნებისმიერ სტუდენტს ამერიკის ნებისმიერი უმაღლესი ხელგაშლილი მიიღებს. უბრალოდ, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტიც ჩაეწერა იმ რამოდენიმე ქართული უმაღლესი სასწავლებლის რიგში, რომელთა დიპლომსაც, სწავლის გაგრძელების სურვილისა და შესაბამისი ფინანსების ქონის შემთხვევაში, უცხოელი პარტნიორები აღიარებენ.

# მუზეუმის სატყუარა - გასართობი ტიპის კომპლექსი

## თითქმის დამთავრებულ მშენებლობაზე ამ დღეებში ნებართვას გასცემენ

*საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, გუშინ, ზუგდიდში დადიანების სახლმუზეუმის ეზოში მიმდინარე უკანონო მშენებლობის დაკანონების გადაწყვეტილება მიიღო. საბჭომ მშენებელს კომპანია "უშბას" გენერალურ დირექტორს გოჩა ფიფიას თითქმის დამთვარებული დასასვენებელ-გასართობი კომპლექსის პროექტის წარმოდგენა და უახლოეს დღეებში მისი ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან შეთანხმება დაავალა.*

კულტურის მინისტრის ბრძანებით შექმნილი საგანგებო კომისია, რომელსაც დადიანების სახლმუზეუმის ეზოში მიმდინარე მშენებლობის შესწავლა დაევალა, ზუგდიდიდან ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა.

აღმოჩნდა, რომ ზუგდიდში დადიანების სახლმუზეუმის ეზოში ერთი წლის წინათ დაწყებული მშენებლობა, არცერთ შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული არ ყოფილა. ერთადერთი იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზე გოჩა ფიფია, მშენებლობას აწარმოებდა, მუზეუმის დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულება იყო.

მშენებლობის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი უკვე დიდი ხანია გრძელდება. პრეზიდენტთან არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, ანუ იგივე "თორმეტკაცამ", გუშინ ამ საკითხის განსახილველად მოიცალა.

შეხვედრაზე კულტურის სამინისტროში, მათ გარდა, ზუგდიდის რაიონის გამგებელი, მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე წარმომადგენელი და თავად გოჩა ფიფია ესწრებოდნენ.

საბჭოს წევრები და რაიონის გამგებელი, თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ გასართობ-დასასვენებელი კომპლექსი, რომელსაც გარკვეულწილად კულტურული დანიშნულებაც აკისრია, აბსოლუტურად მისაღები და მოსაწონიაო. გამგებელი ნუგზარ ანთელავა ირწმუნებოდა, რომ ზუგდიდელები ჯერ კიდევ დაუმთავრებელი კომპლექსით უზომოდ კმაყოფილები და გახარებულები არიანო. **"შეიძლება ითქვას, რომ დღეს მუზეუმს დამთვალიერებელი საერთოდ არ ჰყავს. დარწმუნებული ვარ მუზეუმის ტერიტორიაზე ასეთი გასართობი ტიპის კომპლექსი, მნახველებს მუზეუმში შესვლასაც აიძულებს",** - გვითხრა ზუგდიდის გამგებელმა.

შეხვედრის ბოლოს საბჭოს წევრებმა მშენებელ გოჩა ფიფიას მადლობაც გადაუხადეს და თითქმის დამთავრებული კომპლექსის პროექტის ამ დღეებში ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან შეთანხმება დაავალეს.

# ხათუნა გოგორიშვილს გიო ხუციშვილთან სიმღერა უნდა

ზურა ჯამასპიშვილი

გუშინ კლუბ სარდაფში გაიმართა მორიგი აპოლიტიკური ოთხშაბათი, რომლის სტუმარი იყო პარლამენტის აპარატის უფროსი და გაერთიანებული დემოკრატების წევრი ხათუნა გოგორიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ სტუმარმა განაცხადა, "ძალიან მიჭირს საკუთარ თავზე საუბარიო", ბევრი ისაუბრა საკუთარი ბავშვობის შესახებ. გაიხსენა, თუ როგორი ცელქი და აუტანელი ბავშვი იყო სკოლაში. არც თუ სანიმუშო ყოფაქცევის მიუხედავად, სკოლა მაინც ფრიადებზე დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აღმოჩნდა, რომ ხათუნა გოგორიშვილს ძალიან ჰყვარებია სიმღერა და სურვილი აქვს, იმღეროს გიო ხუციშვილთან ერთად.

თავისუფალ დროს სპექტაკლებს, კონცერტებსა და პრემიერებს ესწრება. თანამედროვე ქართველი რეჟისორებიდან უპირატესობას რობერტ სტურუას ანიჭებს, რაც შეეხება საყვარელ მწერალსა და პერსონაჟს, განაცხადა, რომ მიუხედავად ასაკისა, უყვარს ასტრიდ ლინდგრენი და "კარლსონი".

პროგნოზი, თუ რა იქნება ერთი წლის შემდეგ, ოპტიმისტური აქვს და ქვეყანაში სიტუაციის გამოსწორების სჯერა.

# ხელისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ ასრულებს

ეთერ მამულაშვილი

*პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებას, საკონსტიტუციო სასამართლოს 30 დეკემბრის ყბადაღებული გადაწყვეტილების მეექვსე პუნქტი ითვალისწინებდა. ხსენებულ პუნქტში ცალსახად არის ნათქვამი, რომ მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობის პირობებში, საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტმა უნდა შეიმუშაონ გონივრული და სტაბილური საკომპენსაციო ღონისძიებები.*

დღემდე ამ საკითხზე მუშაობა არც ერთს არ დაუწყია. ერთადერთი რაც ამ ექვსი თვის განმავლობაში "მოესწრო", ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროს დავალებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ელექტროენერგიაზე შეღავათების მქონე შესაძლო პირთა ახალი სია შეადგინა.

პარლამენტმაც გამოთქვა მზადყოფნა, შეასრულოს სასამართლოს დავალება და მიმდინარე წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები უპირობოდ დაამტკიცოს, იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი საკანონმდებლო ხელისუფლებას ამ ინიციატივით მიმართავს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ წელს რეალურად უფრო მეტის გაკეთება იქნება შესაძლებელი, რადგან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით, ფინანსთა სამინისტრომ ფონდის მისიის საქართველოში ჩამოსვლამდე 113 მილიონი ლარით უნდა მოახდინოს ბიუჯეტის კორექტირება - ხარჯები 70 მილიონი ლარით უნდა შემცირდეს. თბილისში სავალუტო ფონდის მორიგ ვიზიტამდე კი რამდენიმე დღეა დარჩენილი.

როგორც პარლამენტში გვითხრეს, საკომპენსაციო ღონისძიებების გასატარებლად საჭირო მილიონების გამოყოფა მხოლოდ მომავალი წლის ბიუჯეტში თუ იქნება შესაძლებელი.

საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების ერთ-ერთმა ავტორმა, მოსამართლე ავთანდილ აბაშიძემ ჩვენთან საუბარში განმარტა, რომ ამ დავალების შესასრულებლად ხელისუფლებისთვის ერთი თვის ვადა სრულიად საკმარისი იყო. სასამართლო კოლეგიის მომავალ პლენუმამდე თუკი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებაც არ შეასრულებენ სასამართლოს დავალებას, მოსამართლე აბაშიძე გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრით იმუქრება.

სხვათა შორის, იმავე გადაწყვეტილებაში არსად არ არის ნახსენები, თუ რა ვადებში უნდა აღასრულოს პრეზიდენტმა და პარლამენტმა მეექვსე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ბესარიონ ზოიძე მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ სასამართლოს დავალება გონივრულ ვადებში უნდა აღასრულოს. თუ რამდენია გონივრული ვადა, ეს თავად ხელისუფლების გადასაწყვეტია. ასე რომ, თუკი ხელისუფლება ჩათვლის, რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად ათი ან, თუნდაც, ასი წელია საჭირო, მოსახლეობას კიდევ ამდენ ხანს მოუწევს მოცდა.

თუმცა, რა იქნება ხვალ ან ზეგ, დღეს ამის დაზუსტებით თქმა ძალიან რთულია. არ არის გამორიცხული, ელექტროენერგიის ტარიფმა კვლავ მოიმატოს, რადგან ტარიფის გაიაფების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი თვის წინათ "ენგურჰესის" ხელმძღვანელობამ უზენაეს სასამართლოში გააპროტესტა. "ენგურჰესი" სასამართლოსგან ელექტროენერგიის ტარიფში საკუთარი 30-პროცენტიანი წილის აღდგენას მოითხოვს. სხვათა შორის, ძველი ტარიფის აღდგენას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მემორანდუმიც მოითხოვს; მისი შეუსრულებლობა კი ჩვენს ქვეყანას, ალბათ, ძალიან ძვირად დაუჯდება.

"ენგურჰესის" სარჩელის არსებითი განხილვა უზენაეს სასამართლოში მომავალი კვირისთვის არის დანიშნული. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას კი თბილისში 22 ივნისს ელოდებიან.

მოკლედ

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერიის შენობის წინ აქცია გამართეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მცხოვრებლებმა, რომლებიც მიწისძვრით დაზარალებულები არიან და მათ სახლებს მე-3 კატეგორია აქვთ მინიჭებული. ისინი კომპენსაციებს ითხოვდნენ. აქციას შეუერთდნენ ფოცხვერაშვილის ქუჩის მცხოვრებნი, რომლებიც დედაქალაქის მთავრობისგან მათ ქუჩაზე ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის შეწყვეტას ითხოვენ. მათი თქმით, ტრანსპორტი ნგრევის პირას მისულ შენობებს საფრთხეს უქმნის. ხალხი ისე დაიშალა, არავინ გამოხმაურებია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ ქალაქის ბიუჯეტით არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის 90 ათასი ლარის გამოყოფის საკითხი განიხილა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული საქმისთვის მიუკერძოებელი პირებით დაკომპლექტებული კომისია უნდა შეიქმნას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს განათლების ქვეკომისია დედაქალაქის განათლების რაიონულ განყოფილებებთან ერთად ახალი სასწავლო წლისთვის ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველკლასელთა სავარაუდო რიცხვს, რათა შემდეგ მოსწავლეები „დედაენის" სახელმძღვანელოებით დაასაჩუქრონ. **მედია-ნიუსი**

# გამტაცებელთა ბრალეულობა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს

ხათუნა ჯანგირაშვილი



ცემა-ტყეპით საქმის გარჩევა ომბუდსმენის ოფისში.

გუშინ, სახალხო დამცველის ოფისი ორსაათნახევრის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლის, გაწევ-გამოწევისა და ცემა-ტყეპის არენად იქცა. ომბუდსმენისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი პრესკონფერენცია დიდი შეხლა-შემოხლის, ლანძღვა-გინებისა და წივილ-კივილის გამო ჩაიშალა. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის სურვილი, გაერკვიათ, კანონიერად არიან თუ არა დაპატიმრებულნი 19 წლის გიორგი ჩხეიძის გატაცების საქმეში ბრალდებულები, უშედეგოდ დასრულდა.

საქმე ისაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ომბუდსმენის აპარატს გიორგი ჩხეიძის გატაცების საქმეზე დაპატიმრებული ბრალდებულების ნათესავებმა და ოჯახის წევრებმა მიმართეს, თავი დაზარალებულად გამოაცხადეს და განაცხადეს, რომ დაკავებულებს გიორგი ჩხეიძის გატაცება ტყუილად ბრალდებათ და უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან. უფრო მეტიც, გატაცებაში ბრალდებულთა ახლობლებმა საქმეში დაზარალებულად ცნობილი გატაცებული გოგა ჩხეიძის ოჯახი დანაშაულში ამხილეს. დაკავებულთა ახლობლები ჩხეიძეების ოჯახს, თავიანთი ორი ნათესავის გატაცებაში სდებენ ბრალს. მათი მტკიცებით, ბიზნესმენ მამუკა ჩხეიძის ოჯახის გასამართლებლად და საკუთარი დანაშაულის დასაფარად გაწირეს უდანაშაულო ადამიანები. "გოგა ჩხეიძის გატაცება მისივე ოჯახის მიერ მოწყობილი სპექტაკლია", - ასეთია მომჩივანთა პოზიცია, რასაც ბიზნესმენი მამუკა ჩხეიძე და მისი სანათესაო კატეგორიულად უარყოფს.

**"გოგა რომ გაიტაცეს, ყველა შეწუხებული იყო, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, რა გზით გამოგვეხსნა გატაცებული ბავშვი. ამირან ჩაკვეტაძემ - გოგას სიმამრმა გვთხოვა, ჩვენს ახლობელს ავთო კერვალიშვილს (ავთო კერვალიშვილი, მეტსახელად "ნიკელა" ე.წ. ავტორიტეტთა სიაში ითვლება) დავკავშირებოდით, რათა გოგას გამოხსნაში დაგვხმარებოდა. ამ დროს ჩვენს ოჯახში ისრაელიდან ჩამოსული სტუმარი ილია სეფიაშვილი იმყოფებოდა (სხვათა შორის, მამუკა ჩხეიძე მასთან ბიზნესში პარტნიორობას აპირებდა), რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა "ნიკელასთან". "ნიკელა" გატაცებულის მამას დავაკავშირეთ და კონტაქტზე გამოსულ გამტაცებლებს მამუკა ჩხეიძემ ავტორიტეტად "ნიკელას" სახელი დაუსახელა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გატაცების ორგანიზატორობის ბრალდებით დაკავებული იაკობ ხიტიბაშვილის მეუღლემ მარინა ხიტიბაშვილმა. მისივე ინფორმაციით, სწორედ "ნიკელას" დამსახურება იყო გამოსასყიდად თავდაპირველად დასახელებული თანხის საგრძნობლად შემცირება. 200 ათასი დოლარის ნაცვლად, მამუკა ჩხეიძემ გამტაცებლებს საკუთარი ხელით მიუტანა 30 ათასი დოლარი და ამის შემდეგ მოხდა გოგას გათავისუფლება", - ამბობს მარინა ხიტიბაშვილი. მისივე მონათხრობის მიხედვით, გატაცებულის გათავისუფლების შემდეგ, ჩხეიძეებმა მისი მეუღლე და მათ ოჯახში ისრაელიდან ჩამოსული სტუმარი მადლობის ნიშნად სახლში მიიპატიჟეს. **"ჩემი მეუღლეც და ჩვენი სტუმარიც ორი დღის განმავლობაში დაიკარგნენ, მათზე ვერაფერს ვიგებდით. თურმე, სტუმრად მისულები ჩხეიძეებმა ჯერ ავტოფარეხში, შემდეგ კი სარდაფში გამოამწყვდიეს და აწამეს. ჩემს მეუღლეს გოგას გათავისუფლებაში გადახდილ თანხას – 30 ათას დოლარს სთხოვდნენ, ჩვენს სტუმარს კი - 100 ათასს",** - ამბობს მარინა ხიტიბაშვილი.

მარინა ხიტიბაშვილის მეუღლეს, რომელიც ამჟამად ქუთაისის საპყრობილეში იმყოფება, ექიმებმა მართლაც დაუდგინეს მძიმე ზემოქმედებით მიღებული საშიში ტრავმები. რაც შეეხება ხიტიბაშვილების სტუმარს ილია სეფიაშვილს, ის მომხდარის შემდეგ სასწრაფოდ გაემგზავრა ისრაელში და, რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, უახლოეს მომავალში, ისრაელის საელჩოს მეშვეობით, დამნაშავეების დასჯას მოითხოვს.

მარინა ხიტიბაშვილის მიერ გაცემული ინფორმაცია, გუშინ სახალხო დამცველის ოფისში მყოფმა ჩხეიძეებმა და მათმა ნათესავებმა კატეგორიულად უარყვეს. დაზარალებულის ოჯახმა წაყენებული ბრალდებები გააპროტესტა. გატაცებულის მამამ განმარტა, რომ მისი შვილის გატაცებაში ეჭვმიტანილმა ხიტიბაშვილმა ჩხეიძეებს თავად დაურეკა და მძევლის გასათავისუფლებლად ვინმე "ნიკელასთან" დაკავშირება შესთავაზა. დაზარებულმა გოგა ჩხეიძემ, მამამისმა და ბიძამ, ხიტიბაშვილს და მის ახლობლებს გუშინ მუშტი-კრივი გაუმართეს, რომელიც ყოველი ათი წუთის შემდეგ ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე.

ერთი სიტყვით, არც ერთი მხარე უკან დახევას არ აპირებს. ბიზნესმენი ჩხეიძე, რომელიც ქუთაისის პროკურატურის საქმიანობით კმაყოფილებას ვერ მალავს, აცხადებს, რომ : "თუ ასე გაგრძელდება და ჩვენს მიმართ კიდევ ექნება ბრალდებებს ადგილი, სახალხოდ დავიწვავ თავს. შვილი გამტაცეს და აქეთ მედავებიან. რასაც მეორე მხარე ამბობს, სრული სიცრუეა".

რაც შეეხება დაკავებულის მეუღლეს, არც ის აპირებს ბრძოლის შეწყვეტას და ირწმუნება, რომ - რა მოხდა სინამდვილეში და რა უნდოდათ ჩხეიძეებს მისი ოჯახისა და სტუმრისგან, მალე მოეფინება ნათელი.

მოკლედ, ურთიერთბრალდებებით დაწყებულ და დამთავრებულ პრესკონფერენციაზე, ბევრი რამ გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩა. ამ ეტაპზე კი ცნობილი მხოლოდ ის გახლავთ, რომ გოგა ჩხეიძის გატაცების ბრალდებით დაკავებულია სამი ადამიანი - ე. წ. ავტორიტეტი "ნიკელა", იაკობ ხიტიბაშვილი და სამი შვილის დედა იამზე კირკიტაძე. საქმეში ფიგურირებენ გოგა ჩხეიძის სიდედრი და სიმამრი, რომლებსაც სამართალდამცველები ეძებენ. ჩხეიძეები შვილის გატაცებაში რძლის მშობლებს ადანაშაულებენ.

ჩხეიძეებისა და სამართალდამცველთა მტკიცებით, სწორედ დაკავებული იამზე კირკიტაძის სახლში მალავდნენ გამტაცებლები გოგა ჩხეიძეს. ამ ფაქტს თავად გატაცებული გუშინ ადასტურებდა. გამოძიებას კი კირკიტაძის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მხოლოდ მისი ბინიდან ამოღებული მჭადის ნაჭერი გააჩნია. როგორც გოგა ჩხეიძის ჩვენებებიდან ირკვევა, მას გამტაცებლებმა ორჯერ აჭამეს მჭადი.

შეგახსენებთ, რომ გოგა ჩხეიძის გატაცების დღეებში მისი ოჯახი გატაცების ფაქტს კატეგორიულად უარყოფდა. უფრო მეტიც, ბიზნესმენ მამუკა ჩხეიძის ახლობლები გატაცების საქმეში ჩართვისთვის სამართალდამცველებს ემდურებოდნენ. დღეს ისინი გამოძიებით კმაყოფილები არიან.

სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა გენერალურ პროკურორს უკვე მიმართა თხოვნით, საქმის გამოძიება ქუთაისის პროკურატურას ააცილოს და სათაო უწყების კონტროლს დაუქვემდებაროს.

გუშინ მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ომბუდსმენის ოფისში მყოფებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ ჩხეიძეებისა და მათი ახლობლების ხმაურიანი გამოჩენა გუშინდელ პრესკონფერენციაზე სწორედ ქუთაისელი სამართალდამცველების მიერ იყო ორგანიზებული.

ჩვენი ინფორმაციით კი, ქუთაისის პროკურატურის "წარმატებულ" ნამუშევარში გენპროკურატურას უკვე ეპარება ეჭვი. გენერალურ პროკურატურაში ვარაუდობენ, რომ, თუ ორ დღეში ქვემდგომმა ორგანომ დამატებითი მტკიცებულებების შეგროვება ვერ შეძლო, შეიძლება სამივე ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლონ.

# პირველი შემთხვევა - გამოძიებამ მკვლელობის შემკვეთი დაასახელა

პირველი გვერდიდან

სამართალდამცველები დრაკონის გამოსახულებიანი სვირინგებით სხეულდაფარული რუსეთის მოქალაქის დაკავებასას. იური ფურმანოვი, რომელიც თავდაპირველად პოლიციელებს სერგეი ნიკოლაევის სახელით გაეცნო, წარსულში აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებში მსახურობდა. იგი წელს, 18 იანვარს, დიღმის მასივში, დავით შენგელიას სახლის მახლობლად შემთხვევით დააკავეს საღამოს შემოვლაზე გასულმა პოლიციის ინსპექტორებმა. დაკავებულს "ტსმ"-ის სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი აღმოაჩნდა. სწორედ ეს პისტოლეტი გახდა მისი დაკავების მიზეზი. მაგრამ მანქანაში ჩაჯდომისას რუსულ ენაზე მოსაუბრე ახალგაზრდა კაცმა მოულოდნელად ხელყუმბარა გახსნა და პოლიციელთა მიმართულებით ისროლა, რის შედეგადაც პოლიციის ინსპექტორები დაიჭრნენ. საეჭვოდ მიჩნეულმა პირმა ინციდენტის დროს პოლიციელთა განაიარაღებაც მოახერხა, კანონდამცველთა იარაღი გაიტაცა და გაიქცა. საგანგებო სიტუაციის გამო შს მინისტრის ზედამხედველობით შეიქმნა პოლიციელთა სპეცჯგუფი და ოპერატიული გეგმა "ცხელი კვალის" სახელწოდებით. პოლიციამ მოგვიანებით ჯერ გატაცებულ იარაღს მიაგნო, ხოლო შემდეგ შემთხვევის ადგილიდან გაქცეულ საეჭვო პირს. დიღმის მასივში ჩატარებული ოპერაცია რამდენიმე საათში გლდანის მასივის მე-3 მიკრორაიონში გაგრძელდა, სადაც დათო შენგელიაზე თავდასხმის მცდელობაში მეორე ეჭვმიტანილი დააკავეს - გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრები ბაჩუკი ყოლბაია.

სამართალადამცველებმა ამ წყვილის დაკავებისთანავე დაადგინეს, რომ მათ დავით შენგელიას მკვლელობა ჰქონდათ შეკვეთილი და მაშინვე ივარაუდეს, რომ სხვა დანაშაულიც ექნებოდათ ჩადენილი. ვარაუდი გაუმართლდათ და დაკავებიდან მეორე დღესვე მიიღეს აღიარებითი ჩვენება 2002 წლის 11 ნოემბერს ტაქსის მძღოლის სოლომონ ლაშაურის მკვლელობის შესახებ. მას შემდეგ გამოძიება წინ დიდად არ წაწეულა. ერთადერთი მათი მიღწევა ის გახლავთ, რაც თავად ქილერების სამიზნემ - დავით შენგელიამ ეჭვმიტანილების დაკავებისთანავე ივარაუდა – ჩემს მოკვლას ვალმერ ბუთბა დაავალებდათო. დღეს გამოძიება უკვე ოფიციალურად აცხადებს, რომ პარტიზანთა ლიდერისა და გალის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილის მკვლელობა ფურმანოვსა და ყოლბაიას შეუკვეთა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან დაახლოებულმა კრიმინალმა ვალმერ ბუთბამ. დაკავებულთაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დათო შენგელიას მოკვლისთვის ყოლბაიას ( შუამავალს) 5 ათასი დოლარი, ფურმანოვს (უშუალო შემსრულებელს) კი ათასი დოლარი გადაუხადეს. ბრალდებულთა განმარტებითვე, ბუთბამ შენგელიას მოკვლა იმიტომ შეუკვეთა, რომ "ტყის ძმების" მეთაურის საქმიანობა მიუღებელი იყო სეპარატისტული ხელისუფლებისათვის.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ვალმერ ბუთბა აფხაზეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ცნობილი კაცია. აფხაზეთის უნივერსიტეტის ყოფილ ფიზკულტურის ლექტორს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული. ამჟამად კი გალის ტერიტორიაზე მოზრდილ შეიარაღებულ დაჯგუფებას უდგას სათავეში. ბუთბასა და სხვა მსგავსი დაჯგუფებების მხრიდან ტერორს გალის მოსახლეობა მუდმივად განიცდის. ხშირია მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმები და ცალკეულ ადამიანთა გატაცებები. მისი საქმიანობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძირითადად, თხილის ბიზნესს უკავშირდება.

ცხადია, ქართველ სამართალდამცველთა შორის არავის აქვს იმის ილუზია, რომ უახლოეს მომავალში მაინც, ქართული მართლმსაჯულების წინაშე ბუთბას წარდგენას შეძლებენ. სამაგიეროდ, ფურმანოვი და ყოლბაია უკვე ასრულებენ მათ წინააღმდეგ გამოძიებული საქმის მასალების გაცნობას და საქმე რამდენიმე დღეში სასამართლოს გადაეცემა.

წაყენებული ბრალდებების მიხედვითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული მაქსიმალურ სასჯელს - უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

# უმუშევრობა ტრეფიკინგის მასაზრდოებელი წყარო

თამარ კაციტაძე

*ტრეფიკინგი საქართველოსთვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა გახდა. ამერიკის კონგრესის მუქარით შეშინებული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები პრესკონფერენციას-პრესკონფერენციაზე მართავენ და პრობლემის დაძლევის გზებზე საუბრობენ.*

აჭარის წარმომადგენლობაში შემდგარი გუშინდელი შეხვედრა, მართალია, ისევ და ისევ პრობლემის გადაჭრის ხერხებს მიეძღვნა, მაგრამ საბოლოოდ თეორიულ-საგანმანათლებლო საუბრებში გადაიზარდა. როგორც დისკუსიის მონაწილენი ამტკიცებდნენ, საქართველოში ტრეფიკინგის "გავრცელების" ერთ-ერთი მიზეზი პრობლემის გარშემო შექმნილი ცოდნის დეფიციტიც ყოფილა.

მართლაც, საქართველოში, ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ ტეფიკინგის ანუ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი მსოფლიოში წელიწადში ოთხ მილიონზე მეტი ადამიანი ხდება, ხოლო ტრეფიკინგიდან მიღებული შემოსავალი დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის დაახლოებით, 12 მილიარდ დოლარს აღწევს. როგორც კომპეტენტური პირები ამტკიცებენ, ტრეფიკინგმა, საშიშროების მიხედვით, იარაღის და ნარკოდანაშაულის გვერდით დაიკავა ადგილი. კონკრეტულად, რამდენი ქართველი გახდა ბოლო წლებში ტერფიკინგის მსხვერპლი - ამის სტატისტიკა საქართველოში არც არაოფიციალურად და, მით უმეტეს, არც ოფიციალურად არ არსებობს.

აჭარის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, საქართველოდან არალეგალურ მიგრანტთა 80 პროცენტი სწორედ ტრაფიკინგის მსხვერპლი გახდა. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია დისკუსიაზე მიწვეულმა შრომის, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს წარმომადგენელმა გია კაკაჩიამ არ დაადასტურა. **"საქართველოდან არაოფიციალურ მიგრანტთა რაოდენობა, დაახლოებით, 700 ათასი ადამიანია. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, 500 ათასი ქართველი მონებით ვაჭრობის მსხვერპლია, რაც აშკარად არარეალურია",** – ამბობს კაკაჩია. და მაინც, სად იღებს სათავეს ტრეფიკინგი? დისკუსიის მონაწილეთა განმარტებით, ადამიანთა ვაჭრობის საფუძველი, ძირითადად, უკანონო მიგრაციაა. უკანონოდ ქვეყნიდან გამგზავრების მსურველი კი უმუშევარი ადამიანია, რომელთა დეფიციტსაც საქართველო ნამდვილად არ განიცდის.

**"საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ მასიურად გადინების მიზეზი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაა.",** - აღინიშნა გუშინდელ შეხვედრაზე.

ვინაიდან, საქართველოს ამერიკის კონგრესმა სიტუაციის გამოსასწორებლად მხოლოდ 90-დღიანი ვადა მისცა, რა დროშიც დასაქმების და, აქედან გამომდინარე, უკანონო მიგრაციის პრობლემის მოგვარება, ფაქტობრივად შეუძლებელია, ამიტომ დღეს მთელი აქცენტი საკანონმდებლო ბაზის დარეგულირებაზე კეთდება. როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში – დაემატა მუხლები ტრეფიკინგის და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის შესახებ, მაგრამ, როგორც დისკუსიის მონაწილენი აღნიშნავდნენ, საჭიროა ძალაში შევიდეს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, რომელიც, ორ წელზე მეტია, კანცელარიის ვიზას ელოდება, მაგრამ...

შრომის, ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს წარმომადგენლის კაკაჩიას ინფორმაციით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართა სხვადასხვა სახელმწიფოებს, რათა მათ ქვეყნებში საქართველოდან ლეგალურად მოხდეს ჩასვლა. კაკაჩიას თქმით, ჩვენი ქვეყნის თხოვნას უკვე გამოეხმაურა იტალია, ბელგია და ნორვეგია.

**"უკანონო მიგრაციის პრობლემის დარეგულირება პირდაპირ უკავშირდება ტრეფიკინგის პრობლემის მოწესრიგებას,"** – აღნიშნავს საქართველოს პარლამენტის წევრი ჰამლეტ ჭიპაშვილი, რომელიც კოლეგებს და ხელისუფლებას მოუწოდებს - ქართველთა დასაქმების პრობლემა კანონმდებლობით დარეგულირდეს. ჭიპაშვილის ინფორმაციით, საქართველოში დაწყებული ნებისმიერი მშენებლობისთვის მუშა-ხელი უცხოეთიდან ჩამოჰყავთ, მაშინ როცა ქართველი მამაკაცები სხვადასხვა ქვეყნებში მონურ შრომას ეწევიან.

გუშინდელ შეხვედრაზე ყველაზე ოპტიმისტური "AOM კვლევისა და ტრეფიკინგის პროგრამის" ხელმძღვანელის, მარკ ჰულსტის გამოსვლა იყო. **"ტრეფიკინგის წინააღმდეგ საქართველოში რამდენიმე დადებითი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. რამდენიმე დღეში საქართველოს უშიშროების საბჭო, ომბუდსმენის აპარატი და ჩვენი ორგანიზაცია შეიკრიბება, სადაც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ გეგმას შევიმუშავებთ. ესეც დადებითი ნაბიჯია, რადგან აქამდე სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინაცია არ ხდებოდა. დამერწმუნეთ, საქართველოს არ გაუჭირდება დღევანდელი იმიჯის თავიდან მოშორება და მას არც ფინანსური პრობლემა შეექმნება,"** – ოპტიმისტურად არის განწყობილი უცხოელი ექსპერტი.

## გელაევის რაზმის წევრმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარა

ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლეს სასამართლოში მიმდინარე პროცესზე განსასჯელმა ჯამალ ალიევმა აღიარა ბრალი მის მიმართ წაყენებული ბრალდებების ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მისი საბრალდებო დასკვნა საკმაოდ შთამბეჭდავ დანაშაულთა ჩამონათვალს მოიცავს, რომელთა შორისაა შარშან, სექტემბერში, საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმის შემადგენლობაში საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრა, ოსურ სოფელ თარსკოესთან რუსი სამხედროების მანქანისთვის ცეცხლის გახსნა და ორი სამხედრო მოსამსახურის მკვლელობა, ამასთან - ოთხი ადგილობრივი მცხოვრების მძევლად აყვანა. განსასჯელი ალიევი 22 სექტემბერს ტყვედ აიყვანეს ოსურ სოფელ კამგარონთან. მას ბრალი წარდგენილი აქვს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის ხუთი მუხლის თანახმად, მათ შორის - სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადალახვა, უკანონო შეირაღებულ ფორმირებებში მონაწილეობა რუსეთის კონსტიტუციური წყობის ძალისმიერი შეცვლის მიზნით, ტერაქტების განხორციელება.

საგამოძიებო მასალების თანახმად, ალიევი მონაწილეობდა რუსლან გელაევის ბანდის შემადგენლობაში რამდენიმე ტერაქტის განხორციელებაში, რომლებიც მათ 2000 წელს ინგუშეთსა და ჩეჩნეთში განახორციელეს. ამ მუხლების მიხედვით, ალიევს ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 10-15 წლის ვადით. სავარაუდოდ, სასამართლო ივლისამდე გაგრძელდება.

## გუბერნატორის მკვლელთა ვინაობა დადგენილია

რუსეთისა და სომხეთის სამართალდამცველმა ორგანოებმა დაადგინეს მაგადანის გუბერნატორის ვალენტინ ცვეტკოვის მკვლელობაში მონაწილე პირთა წრე. რუსეთის შს სამინისტროსა და სომხეთის პოლიციის ერთობლივი კოლეგიის შემდეგ განაცხადა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბორის გრიზლოვმა. მისი თქმით: "მკვლელობაში მონაწილეთა შორის რამდენიმე სომეხი ეროვნებისაა".

გრიზლოვის განცხადებითვე, რუსმა და სომეხმა სამართალდამცველებმა ამ საქმის ირგვლივ ერთობლივი მუშაობა დაიწყეს და დაადგინეს კიდეც დამნაშავეთა რუსეთიდან გასვლის სავარაუდო მარშრუტი.

"ისინი რუსეთიდან სომხეთში გადავიდნენ, იქიდან კი არაბეთის ემირატებში", - აზუსტებს გრიზლოვი. მანვე დაამატა, რომ ერთი ადამიანი მკვლელთა ჯგუფიდან უკვე დაკავებულია და მას ცვეტკოვის მკვლელობის ორგანიზებაში აქვს ბრალი წარდგენილი.

მაგადანის ოლქის გუბერნატორი ვალენტინ ცვეტკოვი 2002 წლის 18 ოქტომბერს, მოსკოვში, ახალ არბატზე მოკლეს. უცნობმა მას რამდენჯერმე ესროლა პისტოლეტიდან. მიღებული ჭრილობების შედეგად გუბერნატორი ადგილზე გარდაიცვალა.

## ნარკოტიკი დამნაშავეთა სამსახურში

კოლუმბიის დედაქალაქში შემაშფოთებელ მასშტაბებს იძენს დანაშაულები, რომლებიც სკოპოლამინის ზემოქმედების შედეგად არის ჩადენილი. სკოპოლამინი ნარკოტიკის ნაირსახეობაა, რომელიც ადამიანის ზომბირებას ახდენს.

უკანასკნელი მსგავსი შემთხვევა ახლახანს მოხდა – ანდრეა ფერნანდესს ავტობუსში ახალდაბადებული შვილი გასტაცეს, თუმცა, მას ეს არ ახსოვს. მომხდარიდან სამი დღის შემდეგ ქალი ნახევრად შიშველი და ნაცემი პოლიციამ მაშინ იპოვა, როდესაც უმისამართოდ დაბოდიალობდა გზაზე. ბავშვი კი გაქრა. პოლიცია დარწმუნებულია, რომ ახალშობილი ბავშვებით მოვაჭრეთა ბანდამ გაიტაცა.

სკოპოლამინი კუსტარული წარმოების ნარკოტიკია, თუმცა მას მედიცინაშიც იყენებენ – ზოგიერთი სახის ფსიქიური გადახრის სამკურნალოდ. ეს გახლავთ წყლის მსგავსი სითხე გემოსა და სუნის გარეშე, რომელსაც საჭმელში ან სასმელში ურევენ. ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ იგი ადამიანს, ფაქტობრივად, ზომბად აქცევს, თანაც იმდენად მართვადად, რომ ის თავად ეხმარება ბოროტმოქმედებს საკუთარი სახლის გაქურდვასა თუ საბანკო ანგარიშიდან თანხის მოხსნაში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქალები ამ პრეპარატის მიღების შემდეგ ნებაყოფლობით გამხდარან მოძალადეთა მონები, მეტიც, მეძავებად უმუშავიათ ისე, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რას აკეთებდნენ. ანდრეა ფერნანდესმა კი ბოროტმოქმედებს საკუთარი შვილი ნებით ჩააბარა.

ტვინზე სკოპოლამინის ზემოქმედების შედეგები პოლიციას მნიშვნელოვანწილად ურთულებს მუშაობას. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ნივთიერება მეხსიერებას აკარგვინებს და მსხვერპლს დამნაშავის ამოცნობა არ ძალუძს.

სკოპოლამინის ისტორია კოლუმბიაში ესპანელი კონკისტადორების პერიოდიდან იღებს სათავეს. ლეგენდის თანახმად, უძველესი ტომები ამ ნარკოტიკს გარდაცვლილი ბელადების მონებისა და მათი ცოლების ცოცხლად დამარხვისთვის იყენებდნენ. დაკითხვებისას სკოპოლამინს ხმარობდა ნაცისტი დამნაშავე იოზეფ მენგელეც, მეტსახელად - "სიკვდილის ანგელოზი".

კოლუმბიაში სკოპოლამინის შოვნა არც ისე ძნელია. მისი შემცველი ხეები დედაქალაქის მახლობლად მრავლად იზრდება. ის იმდენად ცნობილია, რომ დედები შვილებს აფრთხილებენ კიდეც, არასოდეს დაეძინოთ მოყვითალომოთეთრო ყვავილების მქონე ხის ქვეშ, რადგან მათი მტვერი უცნაურ სიზმრებს ჰგვრის ადამიანს. სკოპოლამინის პრობლემა ძალზე სერიოზულად მიაჩნია კოლუმბიაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, რომელიც რჩევებსაც კი აქვეყნებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. უმთავრესი ამ რჩევათაგან ის გახლავთ, რომ ბოგოტის ღამის კლუბებსა და ბარებში ყოფნისას მხედველობიდან არ უნდა დაკარგო ჭიქა, რომლიდანაც სვამ.

## მოკლედ

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკის გასაღებაში ეჭვმიტანილი, მრავალჯერ ნასამართლევი 36 წლის კახაბერ ჯიბუტი დააკავეს, რომლისგანაც 7000 ლარამდე საერთო ღირებულების 25 გრამამდე ჰეროინია ამოღებული. კახაბერ ჯიბუტი გლდანში, ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელთან დააკავეს. მას სარეალიზაციოდ გამზადებული, 5 პაკეტად დაფასოებული ჰეროინი, 570 დოლარი და 2000 ლარზე მეტი აღმოაჩნდა. გარდა ამისა, ჯიბუტის ბინიდან პოლიციამ სარეალიზაციოდ გამზადებული 29 პაკეტად დაფასოებული ჰეროინი, 185 ლარი და სამედიცინო სასწორი ამოიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა თბილისში ავტომანქანების გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის ორი წევრი დააკავეს. როგორც პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, 24 წლის ნასამართლევ დავით კინწურაშვილს და 26 წლის გიორგი გოგრაშვილს 17 ივნისს ზედიზედ ორი დანაშაულის ჩადენა ედებათ ბრალად. პოლიციის მონაცემებით, 17 ივნისს 09.00 საათზე ბოროტმოქმედებმა დიღმის მასივის მე-3 კვარტალში მცხოვრებ კახა მაღლაკელიძეს ავტომანქანა "პეჟო" და ფული წაართვეს. ღამის 02.00 საათზე კი, ამჟამად ძებნილ ზაზა სიხარულიძესთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილ თემურ ხრიკიას, ფიზიკური ძალის გამოყენებით, ავტომანქანა "სუზუკი" გასტაცეს. რამდენიმე წუთში ბოროტმოქმედები ამ მანქანით მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ავტოავარიაში მოყვნენ, დაზიანებული ავტომანქანა მიატოვეს და მიიმალნენ.

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინება" შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგეგმილი ატესტაციის არჩევნებამდე ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ ტესტირების ჩატარების შემთხვევაში, სამინისტროს კორუმპირებული ჩინოვნიკები არასასურველი კადრებისგან გათავისუფლდებიან. "შს სამინისტროს კორუმპირებულ მაღალჩინოსნებს არა აქვთ მორალური უფლება, ატესტაცია ჩაუტარონ ხალხს, ვისაც საარსებო მინიმუმის ტოლ ხელფასებს და პენსიებს დაგვიანებით აძლევენ", - აცხადებს ჯემალ გოგიტიძე. მისი განმარტებით, ატესტაციის ჩატარება არჩევნებამდე დაუშვებელია, რადგან ტესტირებაში მონაწილე რიგითი თანამშრომლები "შევარდნაძის სისტემის მორიგი მსხვერპლნი გახდებიან". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გაიმართება სახელმწიფო უწყებებში — გენერალურ პროკურატურაში, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში მოქმედი გენერალური ინსპექციების ხელმძღვანელთა პირველი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტის საბოლოო ვარიანტს განიხილავენ. ამ მემორანდუმს ხელს, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მოაწერენ. აღნიშნული სახელმწიფო უწყებები მემორანდუმის პროექტს უკვე გაეცნენ და ხვალ თავიანთი წინადადებები უნდა წარმოადგინონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო დამცველის ნანა დევდარიანისა და მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას დავის განხილვას თბილისის საოლქო სასამართლო 3 ივლისს დაიწყებს. დევდარიანის ადვოკატმა თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ომბუდსმენმა მთავარ სამხედრო პროკურორ გია ჯიქიას ბოდიში უნდა მოუხადოს. გია ჯიქია სასამართლოში შელახული პატივისა და ღირსების აღდგენისათვის იბრძვის. მან მართლმსაჯულებას ნანა დევდარიანის მხრიდან მისი მისამართით გამოთქმული ბრალდებების უარყოფის მოთხოვნით მიმართა. სახალხო დამცველი ჯიქიას თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვს და მას სამსახურებრივ სიყალბეში, დოკუმენტების გაყალბებასა და კორუმპირებულობაში ადანაშაულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 52 წლის გრიგოლ ქვათაძემ პოლიციელებს ნებაყოფლობით ჩააბარა „AKC“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. იარაღის წარმომავლობის გარკვევასთან დაკავშირებით, მოკვლევა დაიწყო. ქვათაძეს, როგორც იარაღის ნებაყოფლობით ჩამბარებელს, პასუხისგებაში არ მისცემენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორში საგანგებო ლეგიონმა „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა დააკავა, რომელსაც ზაზა ქართლოსიშვილი მართავდა. ამ ავტომანქანით მოქალაქე როზა ცერცვაძეს 20.000 ლიტრი დიზელის საწვავი უკანონოდ გადაჰქონდა. როზა ცერცვაძეს თან სათანადო დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდა. დაკავებულს ლეგიონის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინეს და მასალები გორის რაიონულ სასამართლოს გადასცეს. **მედია-ნიუსი**

## პაპების „ტყვეობა" ავინიონში



პაპთა სასახლე ავინიონში

XIV საუკუნის დასაწყისი მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა წმიდა საყდრისათვის. ჯერ, 1303 წელს **ბონიფაციუს VIII** დამარცხდა საფრანგეთის მეფესთან პოლიტიკურ დუელში. ფრანგების გამოისობით დილეგშიც კი ამოჰყო თავი და თუმცა ერთგული ხალხის ბრბომ მალევე გაათავისუფლა, შეურაცხყოფა ვერ გადაიტანა და ერთ თვის თავზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ **ბენედიქტე XI** ცდილობდა პაპთა ავტორიტეტის შენარჩუნებას ძველ სიმაღლეზე, მაგრამ მისი პონტიფიკატი ხანმოკლე აღმოჩნდა, თანაც საფრანგეთის მეფის, **ფილიპე მშვენიერის** მხრიდან წამოსული მრავალი ბრალდებითა და ცილისწამებით დაბრკოლებული.

ახალი პაპის ასარჩევად იტალიის ქალაქ პერუჯაში მოწვეული კარდინალთა კონკლავი თერთმეტი თვე გაგრძელდა. ბოლოს და ბოლოს კომპრომისული გადაწყვეტილება აირჩიეს, თუმცა კი მცირედი დარღვევით: ბორდოს მთავარეპისკოპოსი **ბერტრან დე გო** კარდინალი არ ყოფილა, სამაგიეროდ, მეფესა და პაპს შორის კონფლიქტში ყოველთვის ნეიტრალიტეტს იცავდა. ამ იერარქმა **კლიმენტი V**-ის სახელი მიიღო, იტალიაში არ ჩასულა და საბოლოოდ საფრანგეთის ქალაქ ავინიონში დამკვიდრდა.

1309-1376 წლებში დასავლეთ საქრისტიანოს დედაქალაქი რომი კი არა, ავინიონი იყო. აქ **ბენედიქტე XII**-მ პაპების უზარმაზარი და მდიდრულად მორთული სასახლე ააგო, ხოლო **კლიმენტი VI**-მ ავინიონის ტერიტორია დედოფალ **ჟანა ნეაპოლელისაგან** შეიძინა, რათა ფორმალურად მაინც პაპების რეზიდენცია მათ კუთვნილ მიწაზე ყოფილიყო განლაგებული. ეს "ტყვეობა" სამი წლით დაირღვა 1367-1370 წლებში, როცა **ურბან V** რომს დაუბრუნდა, მაგრამ პოლიტიკური არასტაბილურობის გამო კვლავ იძულებული გახდა, ავინიონში გადასახლებულიყო. ქრისტიანობის ისტორიულ ცენტრში საბოლოო დაბრუნება მხოლოდ **გრიგოლ XI**-ის დროს მოხდა, როცა **წმ. კატერინა სიენელის** ვედრებით შთაგონებული და კიდევ უფრო მეტად საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაწყებული ომით შეშინებული პაპი საბოლოოდ გადავიდა რომში.



ქალაქ ავინიონის საერთო ხედი

ავინიონის "ტყვეობის" პერიოდი სამი ძირითადი ასპექტით გამოირჩევა.

პაპები, თუმცა კი ფორმალურად თავისუფალნი არიან, მაინც განიცდიან საფრანგეთის მონარქიის ძლიერ გავლენას. თუმც კი გადაჭარბებით იყო ნათქვამი, მაგრამ არცთუ უსაფუძვლოდ, რომ პაპის წოდება საფრანგეთის მეფის კაპელანამდე იქნა დაყვანილი. ამ პერიოდის შვიდივე პონტიფიკი და კარდინალთა უმრავლესობა ეთნიკური ფრანგი იყო. სწორედ საფრანგეთის მეფის თვითნებობასა და სიხარბეს შესწირა პაპმა **კლიმენტი VI**-მ ტაძრის რაინდთა, ანუ ტამპლიერთა ორდენი, რომლის წევრები ერესში დაადანაშაულეს, მათი ქონება მეფის სასარგებლოდ კონფისკაციაში მოაყოლეს და ორდენის ხელმძღვანელობა ფიზიკურად გაანადგურეს. ამ დროს კათოლიკური ეკლესია განიცდიდა ყველა იმ უბედურებას, რაც სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოქცევას მოჰყვება ხოლმე.

მეორე შეცდომა **იოანე XII**-ის მიერ გერმანიის იმპერატორის, **ლუდვიგ ბავარიელის** წინააღმდეგ დაწყებული გაუთავებელი და უპერსპექტივო ბრძოლა იყო. იოანე 72 წლის ასაკში აირჩიეს და 90 წლისა გარდაიცვალა. მისმა ახირებამ აშკარად დაანახა ყველას, რომ საეკლესიო ძალაუფლება ვერასოდეს გაუმკლავდება საეროს. იოანემ ეკლესიისაგან განკვეთა გერმანია და ეს განკვეთა 20 წელი იყო ძალაში. ამან ვერაფერი დაუშავა სამეფოს, სამაგიეროდ საშინლად დააზარალა პაპების ავტორიტეტი. 20 წლის განმავლობაში ლუდვიგი მთელი ევროპის მასშტაბით მხარს უჭერდა პაპის მტრებსა და მეტოქეებს. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ფრანცისკანელთა თეორიული დისკუსია ეკლესიის სიღარიბის შესახებ, რომელიც აღწერილია იტალიელი მწერლის, **უმბერტო ეკოს** ცნობილ რომანში "ვარდის სახელი". ლუდვიგი, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდა მათ, ვინც ეკლესიის უზომო სიმდიდრეს კიცხავდა, რითაც თანდათანობით მზადდებოდა პროტესტანტული რეფორმაციის საფუძველი და მუშავდებოდა მისი თეორიული ენა.

მშვიდობა მხოლოდ 1347 წელს დამყარდა, როცა ლუდვიგ ბავარიელი გარდაიცვალა, ხოლო მისი მემკვიდრე, **კარლოს IV** ყველამ აღიარა.

პაპთა ავტორიტეტის დაცემის მესამე ფაქტორი იყო ავინიონის კურიის (პაპის აპარატის) ოდიოზურობა, რომელიც სიხარბესა და კორუფციას ეფუძნებოდა. ეს სისტემა სრულყოფამდე სწორედ იოანე XXII-მ მიიყვანა. კურიის შემოსავლები, ძირითადად, სამი წყაროდან მოდიოდა: გადასახადები (ევროპაში პაპის ვასალი სახელმწიფოებისა და ტერიტორიებისაგან, პრელატების, ეპისკოპოსებისა და მონასტრებისაგან), გარდაცვლილ პრელატთა და ეპისკოპოსთა ქონება, რომელიც პაპის საკუთრებაში გადადიოდა, პაპთან კანონიკური ვიზიტებიდან მომდინარე თანხები, ეპისკოპოსთა დანიშვნიდან პირველი წლის შემოსავლები, რომლებიც მთლიანად პაპს ეკუთვნოდა. ამ დროიდან იწყებს შემოსვლას ეპისკოპოსთა პაპის მიერ დანიშვნის ტრადიცია. მანამდე ეპისკოპოსებს თვით ეპარქიების სამრევლო თემები ირჩევდნენ, ან ძველი ეპისკოპოსი ასახელებდა თავის მემკვიდრეს.

ამგვარი ფინანსური და პოლიტიკური ცენტრალიზაცია, ანუ პაპთა ხელისუფლების მუდმივი ჩარევა ადგილობრივ საეკლესიო საქმეებში ძალიან გამაღიზიანებელი იყო ყველასათვის. მეორე მხრივ, ავინიონში არ წყდებოდა ადვილი შემოსავლისა და თანამდებობის მსურველთა ნაკადი. მთელი ევროპის ყალთაბანდები და თაღლითები მეწველ ძროხად მიიჩნევდნენ ავინიონის კურიას. სამაგიეროდ, მრავალი ნიჭიერმა და ღირსეულმა ადამიანმა ვერ მიიღო საკადრისი დაფასება (მათ შორის დიდი პოეტი, ფრანჩესკო პეტრარკაც იყო), რის გამოც იზრდებოდა კრიტიკული თხზულებებისა და წიგნების რიცხვი.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო ახალ მოწოდებას: ეკლესიას რეფორმაცია სჭირდება!



ავინიონის ცნობილი ხიდი (მშენებლობა დაიწყო 1184 წელს)

# XIV საუკუნის ბიზნესმენი

ცენტრალურ იტალიაში, ფლორენციასა და ბოლონიას შორის არის ქალაქი პრატო, რომლის ცენტრალურ მოედანზე დგას მოსასხამიანი და მრგვალბერეტიანი კაცის ქანდაკება ხელში ჩაბღუჯული ფურცლებით. ამ კაცს **ფრანჩესკო დატინი** ჰქვია: ტოსკანელმა ვაჭარმა არა მხოლოდ დიდძალი ფული იშოვა, არამედ ქალაქის არქივს ასორმოცდაათი ათასი წერილი, ხუთასი დავთარი და სხვა მრავალი დოკუმენტი დაუტოვა. სწორედ საბუთების ამ უზარმაზარი რაოდენობის საფუძველზე შეიქნა შესაძლებელი, რომ ისტორიკოსებს შუა საუკუნეების ფინანსისტი ტიპიური ფიგურა აღედგინათ და ეპასუხათ კითხვებზე: როგორ მდიდრდებოდნენ იმ დროს? რა მდგომარეობაში იყო მრეწველობა და ვაჭრობა? რა სოციალური სტატუსი ჰქონდა კომერსანტს? დატინის წერისა და ნაწერების შენახვის მანია ჰქონდა, ამიტომაც გახდა თავისი საუკუნის სოციალური ისტორიის მთავარი გმირი.

დატინი 1335 წელს დაიბადა. ღარიბი მეფუნდუკის ვაჟი იყო. ოჯახის უმეტესი ნაწილი, ცოლ-ქმარი და ორი შვილი, 1348 წლის შავმა ჭირმა იმსხვერპლა და მარტო ფრანჩესკო გადარჩა თავის პატარა ძმასთან, სტეფანოსთან ერთად. ერთადერთი, რაც ებადათ, მიწური სახლი და 46 ფლორინი იყო. ერთმა კეთილმა ქალმა, **პიერა ბოსკეტიმ**, ბავშვები შეიფარა და ისინიც სიცოცხლის ბოლომდე დედად მოიხსენიებდნენ მას.

1349 წელს ფრანჩესკო მოსამსახურე ბიჭად მოეწყო ფლორენციის ერთ სავაჭროში და იქ ყურადღებით უსმენდა საფრანგეთის ქალაქ ავინიონიდან ჩამოსულ ვაჭართა საუბრებს. ავინიონი, მას შემდეგ რაც პაპის საყდარი იქ გადავიდა, ფლორენციული კომერციის ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტად იქცა. 15 წლის ფრანჩესკოც, რომელმაც ამ ხნისთვის 150 ფლორინი შეაგროვა, ავინიონისკენ გაეშურა.

ვაჭართა აღწერები გამართლდა: აქ ხვდებოდა ერთმანეთს იმ დროის ორი "სამრეწველო გიგანტი" იტალია და ფლანდრია (ახლანდელი ბენილუქსი). მხოლოდ ტანსაცმელზე პაპი, **იოანე XII** წელიწადში 1300 ფლორინს ხარჯავდა, მისი ლაქიების ლივრეების წლიური ხარჯი კი 8000 ფლორინს აღწევდა. მთელი ჭურჭელი ფლორენციელი ოქრომჭედლების ნამუშევარი იყო: კარდინალები არასოდეს მოიყუდებდნენ თასს, თუ იგი კეთილშობილი ლითონისა არ იყო და ზვირფასი ქვებითა და გამოსახულებებით შემკული. განსაკუთრებით ფასობდა ოქროს გველებით დამშვენებული ჭურჭელი, რადგან სწამდათ, რომ შხამს უვნებელჰყოფდა. ის კი არა, ცხენის ლაგამსაც ოქროსგან ამზადებდნენ. დიდი პოეტი, პეტრარკა ჩიოდა, რომ მალე ცხენებიც ოქროს ჩლიქებით დაიბადებოდნენ.

მაგრამ როცა პაპობა **კლიმენტი VI**-მ მიიღო ფლანგვის საზღვარი ნამდვილად მოიშალა. და რადგანაც პაპებს ყოველთვის ჰქონდათ თანამემამულეთა შემოკრების ჩვევა, ავინიონიც მალე ტოსკანურ ქალაქად იქცა. დატინიმ ისე იგრძნო თავი ახალ ადგილას, როგორც საკუთარ სამშობლოში. ახალი სავაჭრო კომპანიის დაარსებაშიც ხელი შეუწყვეს. პრატოელმა ბიზნესმენმა იარაღით ვაჭრობა დაიწყო.

შავი ჭირითა და ინგლისთან ომით გაწამებული საფრანგეთი ყაჩაღების სათარეშოდ გამხდარიყო. პაპებიც კი იძულებულნი იყვნენ, თავდაცვის ზომები მიეღოთ. დატინიმ მშვენივრად გამოიყენა ვითარება და არა მარტო წესრიგის დამცველებს ამარაგებდა, არამედ მათ მოწინააღმდეგეებსაც — ერთ-ერთ დავთარში ვნახულობთ ასეთ ჩანაწერს: "50 ჯაჭვის პერანგი ყაჩაღებისთვის". იმპორტი მილანიდან და ლიონიდან ხდებოდა. მალე ავინიონში ოთხი და ბარსელონაშიც ერთი სავაჭრო ცენტრი გახსნა.

და მაინც, დატინი მოერიდა დიდი საერთაშორისო კომპანიის მოწყობას. მაშინ ხომ კონკურენცია მოუწევდა ისეთ დიდ ტოსკანელებთან, როგორებიც იყვნენ **სოდერინი** და **გვინიჯი**. დატინი ნამდვილი პრატოელი იყო და ამიტომ დიდ საქმეებში მცირე და მცირე საქმეებში დიდ მოგებას არჩევდა. როცა მთელი ბიზნესი მრავალ პატარა და სხარტად მართვად წამოწყებას აერთიანებს, რისკიც დანაწევრებული და შეზღუდულია. მაგალითად, მარილით ვაჭრობამ არ გაუმართლა, სამაგიეროდ ფლორენციაში წარმატებულად შეიტანა ფრანგული მომინანქრებული ოქროს ნაკეთობები, ღვინო და ზაფრანა. დატინის საწყობების რიცხვი მრავლდებოდა, მაგრამ თითოეული მათგანი მაინც მეძველმანის დახლისოდენა იყო.

საქონელიც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ტყავის ქამრები, სამკაულები, გენუის სელი, კრემონას შალი, საპატარძლო კაბები, სამგზავრო სკივრები და განსაკუთრებით საეკლესიო დანიშნულების საგნები. საქონლის ხარისხსა და წარმოშობას არ დაგიდევდათ, მთავარი მოგების პერსპექტივა იყო. ერთ დავთარში ვპოულობთ 3500 ფლორინად ღირებული საკურთხევლის გადასაფარებელის ბნელ ისტორიას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნაქურდალით ვაჭრობასაც არ თაკილობდა. სურათებითაც ვაჭრობდა, მაგრამ გემოვნებისა კი რა მოგახსენოთ: ერთგან ითხოვს დიდი ზომის სურათს, სადაც გამოსახული იქნებოდა "ჯვარცმული ქრისტე, ლამაზი პირისახის ღვთისმშობელი და შეფოთლილი ხეები". თუმცა საბანკო ანგარიში ელვის სისწრაფით იზრდებოდა, დატინის ბიზნესი მაინც პირვანდელ იერსახეს ინარჩუნებდა.

საერთოდ, მეტად საინტერესო კაცი იყო: გამბედაობისა და სიფრთხილის, დიდსულოვნებისა და მეწვრილმანეობის ნარევი. ამგვარი ბიზნესის მართვას მრავალი წერილობითი განკარგულება სჭირდებოდა. თანდათანობით დატინის არსება გამუდმებულმა შიშმა მოიცვა, ყოველი უმცირესი ექსპედიციის რისკს დაჰკანკალებდა. და ექსპედიციათა სიმრავლის გამო, უამრავი ფაქტორის ერთდროული გათვალისწინება სჭირდებოდა: სახმელეთო და საზღვაო მგზავრობის საშიშროება, საბაჟო ხარჯები, ორგული და ხელმრუდე აგენტები. ამ უკანასკნელებს რომ დიდი გასაქანი არ ჰქონოდა, დატინი თვითონ ძარცვავდა ანგარიშსწორებისას. მაგრამ წლები მხოლოდ ზრდიდნენ გულზე შემოწოლილ ნაღველს, რომელსაც თვითონ დატინი "მელანქოლიად" იხსენიებს. სიბერეში ამას საიქიოს შესახებ ფიქრები დაემატა: როკფელერისა არ იყოს, მანაც ჯოჯოხეთის შიშში გაატარა ცხოვრების ბოლო წლები. ამიტომ მარხულობდა, წმინდა ადგილების მოსალოცად მოგზაურობდა და დიდძალი თანხებიც კი დაახარჯა ქველმოქმედების სახით ეკლესია-მონასტრებს.



ფრანჩესკო დატინის სასახლე პრატოში

40 წლის ასაკში ფრანჩესკო დატინიმ ცოლად შეირთო 16 წლის ფლორენციელი ქალი, **მარგერიტა ბანდინი**. აქაც გაუმართლა: ცოლი არა მარტო ერთგული გამოდგა, ქმრის მრავალრიცხოვან სასიყვარულო თავგადასავლებსაც მოთმინებით იტანდა. და რადგანაც კანონიერი მემკვიდრე ვერ გაუჩინა მეუღლეს, მისი უკანონო შვილების გაზრდას მიუძღვნა თავი. საქორწილო სუფრა მდიდარი იყო: 406 დიდი პური, 250 კვერცხი, 50 კგ ყველი, ნახევარი ხარი, ორი ცხვარი, 37 ვარია, 11 დედალი, გარდა ამისა, მრავალი სხვადასხვა ნუგბარი.

1375 წელს ფლორენცია აუჯანყდა პაპის ფრანგ ლეგატებს, რომელთაც ცენტრალურ იტალიაში ეკლესიის მართვა ჰქონდათ დავალებული, მაგრამ მხოლოდ მოსახლეობას ყვლეფდნენ. **გრიგოლ XI**-მ ეკლესიისაგან განკვეთა ამბოხებული ქალაქი. ეს კი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ყველა ევროპული მთავრობა ვალდებული იყო მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფლორენციელთა ქონების კონფისკაცია მოეხდინა. ავინიონში ფლორენციელები, რომელთა ხელში კომერცია და საბანკო საქმე იყო, იძულებულნი გახდნენ, სასწრაფოდ დაეტოვებინათ თავიანთი "ოფისები". ზევრმა მათგანმა საკუთარი ქონება დატინის ჩააბარა, რადგანაც ეს უკანასკნელი პრატოდან იყო და პაპის განჩინება მასზე არ ვრცელდებოდა. ამ დროიდან დატინის კაპიტალის მკვეთრი ზრდა იწყება.

მაგრამ მალე პაპი ტრადიციულ დედაქალაქს, რომს დაუბრუნდა და დატინიც მიხვდა, რომ ავინიონის ბაზარი სულ მალე დაცარიელდებოდა. იქ მხოლოდ ერთი სავაჭრო დახლი დატოვა, რომელიც თავის მეგობარს, **ბონინსენიას** ჩააბარა, მთელი ქონება ზღვით გაამგზავრა იტალიაში, თვითონ კი ოჯახთან ერთად ცხენებით გაუყვა ალპების გზას. ერთი თვის შემდეგ პრატოში ჩავიდა და ჯერ კიდევ ცოცხალს მიუსწრო თავის გამზრდელს, პიერას. ეს ქალი ერთადერთი არსება იყო, რომლის მიმართ დატინი ნამდვილ გულუხვობას იჩენდა.

პრატოში მაშინ 12 000 მოსახლე ცხოვრობდა. მეურნეობის მთავარი დარგი შალის წარმოება იყო, რის გამოც საუკუნეების შემდეგაც კი, ინდუსტრიული ეპოქის დასაწყისში პრატოს იტალიის მანჩესტერი შეარქვეს. ფეიქრები, მრთველები, მღებავები და ვაჭრები ერთ დიდ კორპორაციაში ერთიანდებოდნენ. ამ კორპორაციის მეპატრონე კაპიტალისტებს მონოპოლია ეჭირათ. არავის შეეძლო მათი ნებართვის გარეშე ყიდვა ან გაყიდვა, არავის ჰქონდა დამოუკიდებელი ასოციაციის დაარსების უფლება. მთავარი კორპორაცია ადგენდა ფასებს, მუშაობის განრიგს, ჯამაგირს და მთელს ქალაქში საკონცენტრაციო ბანაკის ან შრომითი კომუნის ჩახუთული ატმოსფერო სუფევდა. ერთი უცნობი პრატოელის დღიურში ვკითხულობთ: "მგონი, ვინც აქ ცხოვრობს, სიცოცხლისა უნდა რცხვენოდეს".

მდიდარი, ფერადოვანი, ხმაურითა და ხალისით სავსე ავინიონიდან ჩამოსულ დატინის მშობლიურმა ქალაქმა თავზარი დასცა. იგი აქ არავის ახსოვდა და ახალჩამოსულსაც არავისთვის შეუხსენებია თავი. გადასახადების შიშით მხოლოდ 3000 ფლორინის ქონება შეიტანა დეკლარაციაში, მაგრამ 600 ფლორინად ღირებული სახლის აგების ცდუნებას ვერ გაუძლო. ამ სახლში დაამკვიდრა მან თავისი საქმეები და კარზეც თავისი კომპანიის დევიზი დააწერა: "Cho 'l nome di Dio e di Ghuadagno" — "**ღვთისა და შოვნის სახელით**". პრატოს სახლი იყო ის კვანძი, სადაც ერთდებოდა ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და ახლო აღმოსავლეთის ფილიალებში გაბნეული კომერციული ძაფები.

დატინი ერთ სამარე პატივსაცემ კაცად ჩაეწერა პრატოს მთავარ კორპორაციაში, მთელი შინაგანი საქმეები ამ თავის ამხანაგს მიანდო, თვითონ კი ნედლეულის საკითხზე იწყო ზრუნვა. ადგილობრივი მატყლი დაბალხარისხოვანი იყო, ამიტომ დატინიმ მსოფლიოში საუკეთესო ინგლისური მატყლის შემოტანას მიჰყო ხელი. ამგვარად, მისი ბიზნესი ყოველგვარ კონკურენციაზე მაღლა დადგა.

ცოტა ხანში პრატოს ბაზარი ეცოტავა და ფლორენციაში გადავიდა, სადაც აბრეშუმის კომპანია დააარსა. თავისი სახლებიდან ფლორენციელი ვაჭრები მილიარდიან საქმეებს ატრიალებდნენ. დატინიმ მალე კიდევ უფრო გააფართოვა თავისი ბიზნესი მონებით ვაჭრობის ხარჯზე. მუსლიმი და ებრაელი მონები ბალეარების კუნძულებიდან მოჰყავდათ და რადგანაც საქმე სხვა სარწმუნოების ადამიანებს ეხებოდა, ფლორენციაშიც კი დაშვებული იყო მონების იმპორტი. აი, რას ვკითხულობთ დატინის ერთ-ერთ წერილში ორსული მონა ქალის შესახებ: "ამის გამო კაპელანს ველაპარაკეთ, მან კი გვითხრა, ზღვაში ისროლეთ თვით ქალიც და ის, რაც მის სხეულშია, რადგანაც ეს ბავშვი მისგან არაა".

ფრანჩესკო დატინის ბიზნესის მთავარი ინსტრუმენტი ე. წ. კომპანიები იყო: ოდესღაც ეს სიტყვა აღნიშნავდა საოჯახო ბიზნესს, რომელშიც ერთიანდებოდნენ ოჯახის წევრები, ანუ ისინი ვინც ერთად ჭამდა პურს. აქედანაა თვით ტერმინი "კომპანია" (con — ერთად და pane — პური). მაგრამ დროთა განმავლობაში კომპანიები იზრდებოდა, ერთმანეთს უკავშირდებოდა და ფილიალების საშუალებით ქსელივით ედებოდა მთელს იმდროინდელ მსოფლიოს.

კომპანიონების არჩევაში დატინი მეტად დახელოვნებული იყო. ამიტომაც უმრავლესობა უმართლებდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვინმე **ლაპო მაცეი**. ეს ერთადერთი კაცი, იყო, რომლისაც დატინის ეშინოდა და რომლისაგანაც საყვედურს იტანდა.

მიუხედავად მოწეული სიბერისა, დატინი არათუ საქმეებს არ დაშორდა, არამედ თავისი ერთადერთი მანკიერების — ქალებისთვისაც ნახულობდა დროს. უშვილო ცოლთან მხოლოდ წერილები აკავშირებდა, მაგრამ დღეში ერთს აუცილებლად უგზავნიდა ფლორენციიდან პრატოში. დატინის რელიგიურობა, სავაჭრო წოდების წარმომადგენელთა მსგავსად, მეტად თავისებური იყო : ღმერთი სწამდა და მღვდლები სძულდა. ალბათ, სწორედ ამგვარი სულიერების საფუძველზე წარმოიქმნა მომდევნო საუკუნეებში ევროპული რეფორმაცია. თავისი სიმართლის უტყუარ ნიშნად დატინის საქმეებში წარმატება მიაჩნდა და სინანულსაც მხოლოდ ამ წარმატების შესანარჩუნებლად მიმართავდა. მაგრამ სიკვდილის შიშმა მაინც თავისი გაიტანა.

1399 წელს პრატოსა და ფლორენციას შავი ჭირი კვლავ ესტუმრა. დატინი ოჯახითურთ ბოლონიაში გაიხიზნა — ფეხშიშველი და ჯორზე ამხედრებული. მაცეი, რომელსაც ეპიდემიამ ორი ვაჟი წაართვა, შინიდან საშინელ ამბებს ატყობინებდა. როცა საშიშროებამ გადაიარა, დატინიმ ანდერძი შეადგინა და ნოტარიუსს გაუმხილა, რომ მისი წლიური მონაგები 70 000 ფლორინს შეადგენდა. ამ თანხის შეგროვება ერთი წლის განმავლობაში საფრანგეთის მეფესაც არ შეეძლო მთელი თავისი სამეფოდან. ანდერძის მიხედვით, დატინიმ პრატოში ღარიბთა შემწეობის სახლი დააარსა.



ფრანჩესკო დატინის ძეგლი პრატოს მთავარ მოედანზე

სამოთხეში მოსახვედრად გამიზნული ამ ინვესტიციის შემდეგ ფრანჩესკო დატინიმ კიდევ ათი წელი იცოცხლა. არასოდეს მიუტოვებია თავისი მუდამ წარმატებული ბიზნესი და მშვიდობით აღესრულა 1410 წელს მშობლიურ პრატოში.

მანამდე ყველა ცნობილი იტალიელი ვაჭარი თავიდანვე რომელიმე კორპორაციის, ან კლანის წევრი იყო. XIV საუკუნეში პიროვნება დასცილდა საძმოს, გათავისუფლდა ნათესაობის ბორკილებისაგან. ამან გზა გაუხსნა ახალ, რენესანსულ მენტალობას. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ფრანჩესკო დატინის არასოდეს უსურვია არისტოკრატის ტიტული და არასოდეს გადასულა პოლიტიკაში, როგორც ამას ხშირად ესწრაფვიან, თუნდაც დღევანდელი ქართველი ბიზნესმენები. პროფესიის თვითკმარობა პრესტიჟისათვის ახალი დროის ერთ-ერთი პირველი ნიშანი იყო ევროპაში.

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი

www.24hours.ge
24 B

ნომრის პერსონა

# ნიკა ცისკარიძე ღვინოზე, ბალეტზე და დიდ თეატრზე

*21 ივნისს ნიკა ცისკარიძე და ირმა ნიორაძე თბილისის ოპერის სცენაზე ადანის "ჟიზელში" ერთად წარსდგებიან ქართველი მაყურებლის წინაშე. ნიკა ცისკარიძე, რომელიც დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთის სახალხო არტისტი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, გუშინ ჩვენი გაზეთის სტუმარი იყო. თავს აღარ შეგაწყენთ მის საბალეტო მონაცემებზე საუბრით, მხოლოდ იმ მცირე ჩამონათვალს შეგახსენებთ, რითიც სრულიად ახალგაზრდა ბალეტის მოცეკვავემ დიდი თეატრის და სხვა პრესტიჟული დარბაზების სცენები დაიპყრო: "სილფიდა", "ჟიზელი", "გედების ტბა", "ბაიადერა", "მაკნატუნა", ლეგენდა სიყვარულზე", "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" და სხვა.*
*ჩვენთან სტუმრობისას ნიკას ჩაი და ყავა შევთავაზეთ, რაზეც მან სასტიკი უარი გვითხრა, ჩამოსვლის პირველივე დღეს ქართველებმა იმდენი ჩაი, ყავა და ღვინო მასვეს, აღარ შემიძლიაო.*

ნათია ვადაჭკორია

**- გიყვართ ღვინო ან ლუდი, როგორც ვიცი, ნინო ანანიაშვილს ღვინო უყვარს და ირმა ნიორაძეს – ლუდი?**

- ლუდი ყველა ბალეტის მოცეკვავეს უყვარს, რადგან კუნთებს ადუნებს და ფეხებისთვის კარგია. თუმცა წითელი ღვინო და კონიაკიც მიყვარს.

**- რამდენადაც ვიცი, 3 წლის იყავით, როცა პირველად მოხვდით საბალეტო სპექტაკლზე, რომელიც "ჟიზელი" იყო, საიდანაც დაიწყო ყველაფერი?**

- ბავშვობიდან მატარებდნენ საბალეტო სპექტაკლებზეც, დედა ფართო კულტურულ განათლებას მინერგავდა, კონსერვატორიაშიც დავყავდი, ოპერაშიც. მერე ბალეტზეც მოვხვდი და მაშინვე ვთქვი, რომ ბალეტის მოცეკვავე მინდოდა, გავმხდარიყავი. აბა სამი წლის ბავშვის ნათქვამს ვინ დაიჯერებდა, მაგრამ სიმართლე აღმოჩნდა და აქედან დაიწყო ყველაფერი. ნელ-ნელა დავიწყე თხოვნა, რომ ბალეტზე შევეყვანეთ. ასე მიმიყვანეს თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, სადაც მაშინვე შემნიშნეს, რადგან მოცეკვავისთვის ძალიან კარგი, შესაშური მონაცემები მქონდა. და მალევე ურჩიეს დედაჩემს, რომ მოსკოვში წავეყვანე.

**- სანამ მოსკოვში მოხვდებოდით, მანამდე ვახტანგ ჭაბუკიანს შეხვდით...**

- ვახტანგ ჭაბუკიანი ქორეოგრაფიულში უფროს კლასებს ასწავლიდა, ის უფროსების პედაგოგი იყო, მე კი პატარა ვიყავი, 13 წლის, მაგრამ რეპეტიციებს გვიტარებდა და ყურადღება მომაქცია, რადგან ჩემში მანაც საბალეტო მონაცემები დაინახა. მას იმედი ჰქონდა, რომ მაღალ კლასებში მასწავლიდა, მაგრამ მე მოსკოვში გავემგზავრე.

**- მოსკოვში როგორ განვითარდა თქვენი მოღვაწეობა?**

- უნდა გითხრათ, რომ რთულად, მე ხომ სრულიად ბავშვი ჩავედი მოსკოვში. არავითარი ნაცნობები არ მყავდა, მართალი რომ გითხრათ, სამი წელი ვაბარებდი მოსკოვის ქორეოგრაფიულში და ვერაფრით ვერ ვხვდებოდი იმ მოტივით, თითქოს საბალეტო ფიზიკური მონაცემები არ მქონდა. სინამდვილეში სხვა მონაცემებზე იყო საუბარი (ფულზე). სანამ დედაჩემი ამას მიხვდა, გაოცებული იყო, რადგან თბილისში უხსნიდნენ, რომ ბავშვი საბალეტოდ ფენომენალურია, ვუნდერკინდიაო და მოსკოვში ეუბნებოდნენ, არავითარი ფიზიკური მონაცემები არა აქვსო. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი ქართული გვარი ყოველთვის ხელს მიშლიდა, რადგან ყოველთვის სხვა მონაცემებს (ფულს) ითხოვდნენ ჩემგან. ბოლოს და ბოლოს, როდესაც მოსკოვის ქორეოგრაფიულში მოვხვდი, სკოლის სიამაყე და პირველი მოსწავლე გავხდი; ყოველთვის წინა პლანზე მაყენებდნენ და როდესაც ქორეოგრაფიულს ვამთავრებდი, დიდ თეატრში მიმიწვიეს.

**- მაინც როგორ თვლით, ბალეტის მოცეკვავისთვის რა არის მთავარი - დიდი ნაბიჯი, უბადლო ფიზიკური მონაცემები თუ ნიჭი, ჭკუა და გონიერება?**

- მართალი რომ გითხრათ, ყველაფერი ერთად აღებული. იმ შემთხვევაში, როდესაც თავი კარგად მუშაობს, მაგრამ ფიზიკური მონაცემები არა გაქვს, ბალეტის მოცეკვავე ვერ გამოხვალ. მაგრამ როცა ყველაფერი ერთად აღებული სახეზეა, ამ შემთხვევაში ვახტანგ ჭაბუკიანის მსგავსი ფენომენი გამოდის. სხეულის იმ პროპორციების ქონა, რომელსაც ვახტანგ ჭაბუკიანი ფლობდა და მისი უდიდესი ნიჭი... ასე რომ, ტვინი და ფიზიკური მონაცემები ურთიერთკავშირშია. თუმცა ფიზიკური მონაცემების გარეშე სჯობს, ბალეტს საერთოდ არ გაეკაროთ.

**- როგორია დიდი თეატრი, თქვენ როგორ დაახასიათებდით მას?**

- როგორც ერთმა მსახიობმა დაახასიათა – ეს არის დახვეული გველების გორგალი.

**- ანუ, ვის წინააღმდეგ მეგობრობთ?**

- დიახ, დიდი თეატრია და დიდი პრობლემებია, პატარა თეატრია და შესაბამისად პატარა პრობლემებია, ინტრიგებიც ნაკლებია. უბრალოდ, ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოიჩინო, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდე, რა გინდა და საკუთარი თავის ფასი იცოდე. დედა ყოველთვის მასწავლიდა – არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეს, ვინ ხარო.

**- სულ რამდენიმე თვის წინ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ცნობილმა ფრანგმა ქორეოგრაფმა როლან პეტიმ დადგა "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", სადაც თქვენ კვაზიმოდოს პარტია შეასრულეთ. რამდენიმე სიტყვით როლან პეტის შესახებ...**

- იგი მეოცე საუკუნის კლასიკოსებს მიეკუთვნება. ის რომ, იგი საერთოდ რუსეთში სპექტაკლის დასადგმელად ჩამოვიდა, უკვე დიდი მოვლენა გახლდათ. თავდაპირველად როლან პეტი "პიკის ქალის" დასადგმელად ჩამოვიდა და მოცეკვავეების არჩევის დროს გერმანის პარტიის შემსრულებელს თუ ვერ შეარჩევდა, რაც, მართალი რომ გითხრათ, საკმაოდ რთული იყო, უკან გაემგზავრებოდა, რადგან თავის დროზე ეს სპექტაკლი მან პარიზში მიხეილ ბარიშნიკოვისთვის დადგა ჩაიკოვსკის საოპერო მუსიკაზე, მაგრამ ახლა მან თავის შეხედულებებს გადახედა და "პიკის ქალი" ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიაზე დადგა. ისე მოხდა, რომ მისთვის შეთავაზებული მსახიობებიდან არჩევანი მხოლოდ ჩემზე შეაჩერა. რაც ჩემთვის დიდი შანსი და დიდი პასუხისმგებლობაც იყო, რადგან, პუშკინის "პიკის ქალი", ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონია, დიდებული პეტი, სახიფათოც იყო და საშიშიც. როლან პეტიმ იმდენად ირწმუნა ჩემი, რომ სპექტაკლის დადგმა გადავწყვიტეთ. სპექტაკლმა ყველა სახის პრიზი დაიმსახურა, შემდეგ როლან პეტიმ და მე სახელმწიფო პრემია მივიღეთ. მართალი რომ გითხრათ, დიდ თეატრს დიდი ხანია, მსგავსი წარმატება არ უნახავს, არამარტო კრიტიკამ აღიარა, არამედ სახელმწიფომაც. "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" თავის დროზე, ორმოცდაათიან წლებში, როლან პეტიმ პარიზის ოპერაში დადგა. მართალი რომ გითხრათ, ვფიქრობდით, კიდევ რაზე გვემუშავა ერთად და მე გამოვთქვი სურვილი კვაზიმოდოს პარტიის შესრულებისა, რასაც პეტი მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანებით არ შეხვდა, ის თვლიდა, რომ ეს ჩემთვის არ იყო.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ მე კლასიკური მოცეკვავე ვარ, კვაზიმოდო კი სახასიათო როლია. ჩემი არგუმენტი იყო, რომ მეტი აღარ შემიძლია დადებითი პერსონაჟების როლების შესრულება და რაიმე საინტერესო მინდოდა. მართალი გითხრათ, როლან პეტი არ მოელოდა ჩემგან ასეთ კარგ შესრულებას. სპექტაკლი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ხელოვანთა მთელი თანავარსკვლავედია თავმოყრილი მის შესაქმნელად – როლან პეტის ქორეოგრაფია, ახალგაზრდა ივ სენ ლორანის კოსტიუმები, მორის ჟარის მუსიკა. საოცარია, რომ ამდენი წელი გავიდა და სპექტაკლს თავისი ესთეტიკა და ხიბლი არ დაუკარგავს.

**- თანამედროვე ცეკვას ანუ მოდერნს როგორ უყურებთ?**

- გააჩნია, რას ეძახით მოდერნს. თუ ეს მხოლოდ იატაკზე ხოხიალია, მაშინ მოდერნი არ არის, თუ სათანადო პროფესიონალურ დონეზეა, მაშინ ძალიან საინტერესოა. უკვე იმდენი მოდერნი დაიდგა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ქორეოგრაფი იმასღა ცდილობს, რა გაახდევინოს მოცეკვავეს, არადა უკვე ყველაფერი გაიხადეს...

**- იური გრიგოროვიჩზე რას იტყვით?**

- გრიგოროვიჩმა ამიყვანა დიდ თეატრში, როდესაც 18 წლის ვიყავი. როგორც თვითონ ამბობდა, თეატრში მსახიობების აყვანის სფეროში მე მისი "გედის სიმღერა" ვიყავი. ჩემი პირველი მთავარი პარტიები მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში ვიცეკვე.

**- რამდენადაც ვიცი, ილზე ლიეპა უნდა ჩამოსულიყო თქვენთან ერთად და რატომ ვერ მოხერხდა მისი ჩამოსვლა?**

- მართალი რომ გითხრათ, სულ სხვა პროგრამა უნდა ყოფილიყო, საკონცერტო. ჩვენ ხშირად ერთად ვცეკვავთ სხვადასხვა კონცერტებში. ილზე საერთოდ ძალიან აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა. თბილისში ჩამოსვლაც ძალიან უნდოდა, მე ძალიან იშვიათად მივემგზავრები ხოლმე სხვაგან, მაგრამ თბილისში ჩამოსვლა მინდოდა, ვაპირებდით "პიკის ქალის" ჩვენებას, ასევე საკონცერტო პროგრამის შესრულებას, რაც ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო იქნებოდა. მაგრამ მარტო ჩემზე და ილზე ლიეპაზე არ არის ეს დამოკიდებული. ჩვენთან ერთად მსახიობთა მთელი კოლექტივი უნდა ჩამოსულიყო. მოგეხსენებათ, ეს ჩვენ ვიცეკვებთ უფასოდ, მაგრამ დიდი თეატრის სხვა მსახიობები ამით ცხოვრობენ და გასაგებია, რომ უფასოდ არავინ ჩამოვიდოდა. ფინანსების უქონლობამ შეგვიშალა ხელი. ძალიან საწყენია, მაგრამ რა ვქნათ. ისე მოხდა, რომ ირმას ტელეფონით დავუკავშირდი. აღმოჩნდა, რომ მასაც უნდოდა თბილისში ჩამოსვლა და ტელეფონითვე შევთანხმდით. მართალი რომ გითხრათ, ბევრი რეპეტიციების გავლა არც მინდოდა, ირმას, როგორც პარტნიორს, კარგად ვიცნობ.

**- ახლა რაც შეეხება თბილისს, რას წარმოადგენს თქვენთვის თბილისი?**

- თბილისთან რთული დამოკიდებულება მაქვს. ახლა სწორედ იმ უბანში ვართ, სადაც მე გავიზარდე და არ შემიძლია ახლანდელი თბილისის აღქმა. როდესაც აქედან გავემგზავრე, 13 წლის ვიყავი, მაშინ 1987 წელი იდგა, ყველას ფანჯრები ღია ჰქონდა, საიდანაც მუსიკის და სადღეგრძელოების ხმა ისმოდა, საშიშიც არაფერი იყო, მზე და მხიარულება იყო, ყვავილებით სავსე იყო შემოგარენი. საწყენი კიდევ ის გახლავთ, რომ ბევრი მათგანი, ვისთან ერთადაც მე ვიზრდებოდი, ან გარდაცვლილია, ან საზღვარგარეთ გაემგზავრა, ამიტომ რაღაც სიცარიელის გრძნობა მიპყრობს. თუმცა, ნოსტალგია, რასაკვირველია, მაქვს.

*ნიკა ცისკარიძის უახლოესი გეგმები კი დიდ თეატრში სეზონის დახურვა და შემდეგ შვებულებაში გასვლაა...*


ნიკოლოზ ცისკარიძე







## - ანა კორძაია-სამადაშვილის სვეტი -



# მშვენიერ ჯენისს

*ფოტოსურათზე ჯენის ჯოპლინია გამოსახული. არა იმიტომ, რომ მე საკუთარი სახე არა მაქვს. უბრალოდ, ეს პორტრეტი ძალიან მომწონს და მინდოდა, მკითხველსაც ენახა. თუ ვინმეს არ მოსწონს - თვალი აარიდოს..*

ვინაიდან ერთობ არეულ დროში მომიწია ცხოვრება და მეტისმეტად ბევრ მატყუარა მოძღვარს, ზნედაცემულ გურუსა და ყეყეჩ ბრძენს გადავყრივარ, იოლად მართვად მასას აღარ მივეკუთვნები. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ამპარტავანი გახლავართ და ჩემზე ჭკვიანად მაინცდამაინც ბევრი ადამიანი არ მიმაჩნია. საბედნიეროდ, იმდენად ამპარტავანიც არა ვარ, რომ ჩემი ხმა ხალხის ხმად ჩავთვალო და საკუთარი აზრი ამქვეყნად ყველაზე ბრძნულად მიმაჩნდეს. უბრალოდ, საგაზეთო რუბრიკას "სვეტი" ერთი არაჩვეულებრივი თვისება აქვს – ის ავტორისაა, ამიტომ იმას დაწერს, რაც გაეხარდება, და მერე უკვე მკითხველის გადასაწყვეტი იქნება, მოსწონს თუ არა. თუ არ მოეწონება, თამამად შეუძლია, მეც და ჩემს სვეტსაც თვალი აგვარიდოს.

მე მინდა, ჯენის ჯოპლინის შესახებ გიამბოთ. ის არც სექს-სიმბოლო ყოფილა და არც ფემინისტების ლიდერი. ის ერთი ძალიან კარგი გოგო იყო, გოგონა-მარგალიტი. გრაციოზულობაზე თავს არ დებდა, უზარმაზარი ქუდებით დადიოდა და თმაში ვარდისფერ ბუმბულებს იბნევდა. მას გულზე უამრავი მძივი ეკიდა, სამაჯურები ეკეთა და კოჭებზე ზანზალაკები უჟღარუნებდა. მას სრული თავისუფლება უნდოდა, სიცოცხლე უყვარდა, და მისი ყოველი გამოსვლა სცენაზე სიყვარულის აქტი იყო. ჯენისიც ყველას უყვარდა, ყველას უნდოდა. დღეს კი ის მხოლოდ იმ ნიშნითაა სასურველი, რომ შესანიშნავი მუსიკოსია, და მის "არმონდომებასაც" მხოლოდ მისი მუსიკა განაპირობებს – ზოგი გლისანდოებს თუ ვერ იტანს, ეს ნამდვილად არაა ჯენისის ბრალი.

თუმცა სცენაზე უსაზღვროდ თავდაჯერებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა, ჯენისსაც სწყინდა რაღაც-რაღაცეები, მაგალითად, ის, რომ მზეთუნახავი არ იყო. მაგრამ ამის გამო არ გადარეულა – ის მაინც ყველას ურიგებდა თავის სიყვარულს, რომელიც იმდენი ჰქონდა, რომ უზარმაზარ სტადიონებს ჰყოფნიდა. დიახ, სხეულსაც ურიგებდა – რა იყო, შეგშურდათ? ურიგებდა, ხომ არართმევდა...

მე იმხანად არ მიცხოვრია, მაგრამ ის, რასაც 60-იანი წლების კულტურას უწოდებენ, ჩემთვის ძალიან ახლობელი, გასაგები და ძვირფასია. მე მომწონს მინი-კაბები, თუმცა ტვიგი არა ვარ და დიდადაც არ მიხდება; მე მომწონს როკ-ენ-როლი, თუმცა მისი ცეკვა არ ვიცი; მე მომწონს იმ წლების დევიზი: ახლა და აქ. შესაძლოა, ამგვარი განწყობა იმის გამოც მაქვს, რომ "იმ თაობის" მრავალი წარმომადგენელთან ვმეგობრობ, და ვეჭვობ, რომ სილაღე და სიცოცხლით ტკბობის უნარი, რომელიც მათში ასე მიზიდავს, სწორედ იმ წლების დამსახურებაა.

ვინაიდან მეგობრების ხსენება ცუდი ტონი ყოფილა, ავტორიტეტს დავიმოწმებ, რაც ალბათ სნობიზმში ჩამომერთმევა: ნიდერლანდელი მწერალი, მრავალი პრემიის ლაურეატი და ბესტსელერების, მათ შორის "რიტუალების" ავტორი, ცეეს ნოოტებუმი, მიყვებოდა, რომ ყველაფერი, რაც კი ოდესმე დაუწერია, იმ წლების წყალობით აქვს დაწერილი, როცა კერუაკს კითხულობდა, ხელაწეული გზაზე იდგა და ჯენის ჯოპლინს უსმენდა: "კენტუკიდან კალიფორნიის მზემდე – ბობიმ იცოდა ყველაფერი, რაც ჩემს სულში ხდება; დარსა თუ ავდარში ბობი მათბობდა..." და ცეესმავე მითხრა, რომ მოგზაურობა არასოდეს უნდა შევწყვიტო, რადგან სიცოცხლე მოძრაობაა, უძრაობა კი – სიკვდილი: "მაგრამ, ღმერთო, ის გამექცა, ის სახლს ეძებს და ჰგონია, რომ იპოვნის; მე კი ყოველ ხვალინდელ დღეს ერთ გუშინდელში გავცვლიდი, რომ ბობს მოვხვეოდი და გზაზე მევლო!"

ბატონ ნოოტებუმის "რიტუალებითა" და პიროვნებით მოხიბლულმა მეორე დღესვე გეზი მეზობელი სახელმწიფოსკენ ავიღე. ჩემი თანამგზავრი უთვალავნაწნავიანი, თვალუწვდენელგავიანი აფროგერმანელი გოგო იყო. მთელი გზა ვჭორაობდით და ბოლო ხმაზე ვუსმენდით ჯენის ჯოპლინს. გზად შესანიშნავი ანეკდოტიც მიამბო: "შენნაირმა ჩემნაირს უთხრა: Du schwarz! Ich weiss! - მიუგო ჩემნაირმა". ოღონდ თუ გერმანული არ იცით, არ გაგეცინებათ.

ძალიან კარგია გზაში. სწორედ გზა არის "ახლა და აქ". გზაში არაფერი მადარდებს, არც იმას მეკითხებიან, თუ რამდენი საათია დღე-ღამეში, არც კლასობრივი მტრები მყავს და არც ისეთი წვრილმანები მწყინს, როგორიც ჩემი მეგობრების წყენინებაა... მაგრამ ბოლო დროს აშკარად უძრაობაში გადავვარდი და ალბათ ისევ ჯენისი თუ მიშველის. ახლა ის უკვე ჩემზე ბევრად უმცროსია – 27 წლისა გარდაიცვალა და მისი ფერფლი ქარმა წაიღო. მაგრამ ჯენისი მაინც ჩემზე ჭკვიანია, მან იცის, რომ "თავისუფლება ისაა, რომ დასაკარგი არაფერია, და ბობიმ მე არაფერი დამიტოვა. მაგრამ, ღმერთო, რა კარგად ვიყავი, როცა ის ბლუზს მღეროდა! რა კარგად ვიყავი! ორივეს გვყოფნიდა – მეც და ჩემს ბობი მაკჯისაც".

**P.S.** რასაკვირველია, სინამდვილეში არავინ იცის, როგორი გოგო იყო ჯენის ჯოპლინი, ისევე, როგორც არავინ იცის, უყვარდა თუ არა თემურ ლენგს პატარა მხევალი ზულფია და მოსწონდა თუ არა ალბრეხტ დიურერს ბიჭები. ან რა მნიშვნელობა აქვს? ჩემთვის მთავარია, რომ ყველაზე მაგარი მომღერალი და ყველაზე მხიარული გოგო, ჯენის ჯოპლინი, მეგობრად მეგულება. ის ჩემიანია. ესაა და ეს.

# საზაფხულო დავალება ქართველი ხელოვანებისათვის

### დაიბადა ახალი კონკურსი - "ქართული დიზაინი"

თამარ სუხიშვილი



*ეთნოგრაფიული მუზეუმი - ჟიურის წევრები კონკურსის დეტალებს განიხილავენ*

რა ხდება დღეს აქ? - ამ შეკითხვით დაიწყო გუშინდელი შეხვედრა ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ახალციხის დარბაზში, ძველებურ მესხურ სახლში. შეხვედრის ორგანიზატორებმა ლამაზ, ქართულ ჩუქურთმებიან გარემოში ერთი კარგი ჩანაფიქრი გაგვანდეს და გვამცნეს, რომ დაიბადა ახალი კონკურსი, სახელწოდებით "ქართული დიზაინი".

ეს კონკურსი ნამდვილად დააინტერესებს ქართველ არქიტექტორებსა და დიზაინერებს. მასში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შექმნან საყოფაცხოვრებო ნივთი ქართული ტრადიციული ელემენტების გამოყენებით. მონაწილეებს წინ რთული სამუშაო ელით - ახალი მხატვრული ძიების პროცესი, რომელიც ერთგვარად გააცოცხლებს წარსულს, წინაპართა გამოცდილებას და ამ გამოცდილების საფუძველზე, თანამედროვე მხატვრული შესაძლებლობების გამოყენებით, ახალ, ორიგინალურ ნამუშევრებს შემოგვთავაზებს.

კონკურსანტებმა თავად უნდა მოიძიონ მასალა, რომელიც მათ მიერ შექმნილ ექსპონატს დაედება საფუძვლად. ასეთი მასალა ქართულ ხელოვნებაში უხვად მოიპოვება და, სამწუხაროდ, ხშირად შეუმჩნეველიცაა, თუ მივიწყებული არა. მასალად გამოდგება ყველაფერი: ქართული ჩუქურთმა თუ ორნამენტი, მოხატულობა, სამკაული, თითისტარი, სკივრი, დოქი, ფიალა და ბევრი სხვა. მთავარია, როგორ გამოიყენებს ავტორი პირველწყაროს და როგორ მოარგებს ტრადიციულ ელემენტს საკუთარ მხატვრულ ჩანაფიქრს, ანუ როგორ მიიღებს ტრადიციული დეტალებიდან თანამედროვე ფორმას. აქ, რა თქმა უნდა, მთავარი არ არის ადეკვატური ასლის შექმნა ან კონკრეტული ისტორიული დეტალის მექანიკური გადმოტანა ახალ სივრცეში. მთავარი სწორედ შემოქმედებითი ძიებაა - ძველის გადმოტანა ახალში.

კონკურსი "ქართული დიზაინი" პროექტ "ქართული სახლის" ეგიდით ტარდება (შეგახსენებთ, რომ ამ პროექტის პრეზენტაცია 30 აპრილს ქარვასლაში გაიმართა). მისი ინიციატორები არიან არქიტექტურული და სამშენებლო კომპანია "არსი" და სტუდია "ორი". კონკურსის მხარდამჭერები არიან: კულტურის სამინისტრო, მუზეუმი ღია ცისქვეშ, მერიის არქიტექტურის სამსახური, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტი, "რუსთავი-2", "24 საათი"...

ჟიურიში 11 წევრია: არქიტექტორები - გივი მეტრეველი (ჟიურის თავმჯდომარე), ლევან მუშკუდიანი, ნანა მეფარიშვილი, გია აბულაძე, გიორგი ინასარიძე, დიზაინერი მაკა ასათიანი, მხატვარი ეკა ჯაფარიძე, მოქანდაკე ოთარ ვეფხვაძე, გამომცემელი ოთარ ყარალაშვილი, არტ-მენეჯერი ნინო სუხიშვილი და პროდუსერი ლევან ხეთაგური.

"ქართული დიზაინი" ხელოვნების განვითარების თემაზე სერიოზული დიალოგის დასაწყისია, - ამბობენ ორგანიზატორები, - რა თქმა უნდა, პირველი კონკურსი იდეალურ შედეგს არ მოგვიტანს, მაგრამ, მთავარია, პირველი ნაბიჯი გადავდგათ და მერე, წლიდან წლამდე, ფულადი პრიზებიც გაიზრდება და კონკურსი შემოქმედებითი თვალსაზრისითაც უფრო მრავალფეროვანი გახდება.

კითხვაზე - რას უნდა ველოდეთ ახალი კონკურსისგან? - ჟიურის წევრები პასუხობენ: ხომ არის, რომ ადამიანი კარგად წერს და ლაპარაკობს, ოღონდ მშობლიურ ენაზე კი არა, რომელიმე სხვა ენაზე, მშობლიური კი დავიწყებული აქვს. ჩვენს სფეროში დღეს, დაახლოებით, ასეთი მდგომარეობაა. მაგალითად, არის გარკვეული არქიტექტურული ფორმები, რაც ქართულ გარემოს არ შეეფერება, არ უხდება. "ქართული დიზაინის" კონკურსის მიზანი კი სწორედ ესაა - ხელი შეუწყონ ქართველ არქიტექტორებსა და დიზაინერებს ხელოვნების მშობლიური ენის დაბრუნებაში.

პრიზებიც საკმაოდ სოლიდურია. პირველი პრემია 4 ათასი, მეორე – 2 ათასი, მესამე – 1000 ლარი, წამახალისებელი პრემია – 200 ლარი. ამასთან, გუშინდელ პრესკონფერენციაზე პროექტის მეგობარი ჟურნალისტების ჟიურის შექმნისა და მათი სპეციალური პრიზის დაწესების იდეაც წამოაყენეს. ამ პრიზის ოდენობა, ალბათ, 500 ლარი იქნება და ჟურნალისტების სიმპათიას გადაეცემა. ახალი პრიზის იდეას ჟიურის წევრები, რაღა თქმა უნდა, სიხარულით შეეგებნენ, - რაც მეტი, მით უკეთესიო.

მოკლედ, კონკურსი უკვე გამოცხადდა. მონაწილეობის მსურველებს გაცნობებთ, რომ დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიაკითხოთ პროექტ "ქართული სახლის" კოორდინატორს, ნანა მეფარიშვილს, მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. №74, I სართული, ტელ: 25 19 04 ან (877) 49 71 03. საკონკურსო მასალები 15 სექტემბრამდე მიიღება. გამარჯვებულები კი 24 სექტემბერს გამოვლინდებიან.

დაინტერესებული არქიტექტორები და დიზაინერები კი უკვე გამოჩნდნენ. როცა რამდენიმე ცნობილ პირს ორგანიზატორებმა კონკურსის ჟიურის წევრობა შესთავაზეს, უარი მიიღეს, - არა, ჩვენ მონაწილეობა გვირჩევნიაო. ასე რომ, კონკურენცია, ალბათ, სერიოზული იქნება.

დაბოლოს, იმასაც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ეს აქცია ეთნოგრაფიული მუზეუმის გადარჩენასაც ისახავს მიზნად (სხვათა შორის, საკონკურსო მასალის მოძიებაში მონაწილეებს ღია ცის ქვეშ მუზეუმი ძალიან დაეხმარებათ). მუზეუმი უკვე დიდი ხანია სავალალო მდგომარეობაშია.

# ახალი ფესტივალები

ვერა ნეფარიძე

*19 ივნისს დაგეგმილი მაიაკოვსკის სახელობის პოეზიის საერთაშორისო სამდღიანი ფესტივალი ჩაიშალა. პოეზიის დღეების ორგანიზატორს, კოტე ყუბანეიშვილს იმედი აქვს, რომ ღონისძიება ერთი თვის შემდეგ მაინც გაიმართება; ისევ ფესტივალი, მაგრამ ამჯერად პოპ-მუსიკის შემსრულებელთა მონაწილეობით, სექტემბერშიც გველის. თუმცა, მისი სტრქუტურიდან გამომდინარე, ის უფრო კონკურსი-ფესტივალის ტიპის იქნება. ამ გადადებული და დაგეგმილი ფესტივალების შესახებ გუშინ კულტურის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე პოეტმა კოტე ყუბანეიშვილმა და კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა ისაუბრეს.*



*პოეზიის ფესტივალი გადაიდო*

გუშინ კულტურის სამინისტროში კოტე ყუბანეიშვილს მომზადებული განცხადების რადიკალურად შეცვლა მოუხდა. ბრიფინგის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაირკვა, რომ 19-22 ივნისს თბილისსა და ბაღდადში დაგეგმილი პოეზიის დღეები, გარკვეული მიზეზის გამო, გადაიდო. სამწუხაროდ, ნამდვილი მიზეზი ბრიფინგზე ჩვენთვისაც და თავად ღონისძიების ორგანიზატორისთვისაც უცნობი იყო. "ზუსტად მეც არ ვიცი. ღმერთმა ქნას მშვიდობა იყოს. ფესტივალის გადადება სტუმრებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთმა მათგანმა ან უცაბედი და აუცილებელი მიწვევა მიიღო, ან, არ ვიცი, საუბარია ავარიაზეც. ჯერ-ჯერობით უფრო მეტს ვერ ვიტყვი", - ეს იყო ყველაფერი, რაც კოტე ყუბანეიშვილმა სამდღიანი პოეზიის ფესტივალის გადადებასთან დაკავშირებით იცოდა. ყუბანეიშვილს იმედი აქვს, რომ ღონისძიება ერთი თვის შემდეგ თუ არა, სექტემბერში მაინც გაიმართება. თუმცა, მინიშნებას უფრო 19 ივლისზე აკეთებდა. სწორედ ამ დღეს, პოეტის დაბადების დღეს ნიუ იორკიდან საქართველოში უნდა ჩამოვიდეს ცნობილი რუსი პოეტის, მაიაკოვსკის შვილიშვილი. ფესტივალზე დაგეგმილი იყო ათწუთიანი ფილმის ჩვენებაც. საკურსო ნამუშევარი ლონდონის კინოს ინსტიტუტის ქართველმა სტუდენტმა კოტე ყუბანეიშვილსა და თანამედროვე ქართულ პოეზიას მიუძღვნა. ფილმს მაინც აჩვენებენ დაგვიანებით გამართულ ფესტივალზე. ფესტივალის ორგანიზატორებს კი, ალბათ, კიდევ მისცემენ მხარდაჭერის გარანტიებს სპონსორები, რომელთა შორის ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსიც გვხვდება.

როგორც ჩანს, პოლიტიკისგან შორს არ აპირებენ ყოფნას კიდევ ერთი ახალი ფესტივალის ორგანიზატორები. "მე ვთხოვ თქვენთან ერთად საქართველოს პრეზიდენტს, გაუწიოს პატრონაჟი ჩვენს ფესტივალს", - ამ სიტყვებით ცნობილმა კომპოზიტორმა, ჯემალ სეფიაშვილმა ჟურნალისტებს მოგვმართა. პრეზიდენტის მფარველობა ერთჯერადი ღონისძიებისთვის ზედმეტი ფუფუნებაა, ამიტომაც საუბარია ფესტივალზე, რომელიც საერთაშორისო სტატუსით უნდა დამკვიდრდეს თბილისში. ალბათ, ახლავე უნდა განვმარტოთ, რომ ასოციაცია "ჯემალ სეფიაშვილის სტუდია"-ს ორგანიზებული ღონისძიება უფრო კონკურსი-ფესტივალის ტიპის იქნება, რადგანაც მასში უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ჟიური (რომლის გასაიდუმლოებულ შემადგენლობას სესილი გოგიბერიძე უხელმძღვანელებს). კონკურსი სხვადასხვა ქვეყნებიდან შერჩეული 15-20 ახალგაზრდა მომღერლიდან ოთხ (გრან-პრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებს) საუკეთესოს გამოავლენს.

ცხრადღიანი კონკურსი-ფესტივალი "აბრეშუმის გზა – ახალი სახელები" 15 სექტემბერს დაიწყება. სადღეისოდ ძალიან მნიშვნელოვან რამდენიმე დეტალზე ორგანიზატორებს არ აქვთ პასუხი. ცნობილია, რომ კონკურსი-ფესტივალი სამ ტურად გაიმართება; მის ფარგლებში დაგეგმილი იქნება კულტურული პროგრამა სტუმრებისთვის; სტუმრებს შორის კი უნდა იყვნენ მუსიკალური კომპანიების წარმომადგენლები, შემსრულებლები, კომპოზიტორიები... შეკითხვა, - მოწვეულ სტუმართა შორის ხომ არ იქნებიან მსოფლიო დონის ვარსკვლავები, - ჯემალ სეფიაშვილმა არც დაგვიდასტურა და არც უარყო. რამდენადაც მივხვდით, "ვარსკვლავთა" მონაწილეობას ორგანიზატორები სასიამოვნო მოულოდნელობად ინახავენ.

# დევიდ ბოუი მსოფლიო ტურნესთვის ემზადება

ათწლიანი პაუზის შემდეგ ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსი, დევიდ ბოუი პირველად აწყობს გრანდიოზულ მსოფლიო საკონცერტო ტურნეს, რომელიც 17 ქვეყანას მოიცავს. ტურნეს დეტალები სულ ახლახან გახდა ცნობილი. ტური, რომელსაც სახელად ჰქვია Reality - სხვათა შორის, ასეთია იმ ახალი ალბომის სახელწოდებაც, რომელიც სულ მალე იხილავს მზის სინათლეს - ოქტომბერში დაიწყება ევროპიდან, გაგრძელდება ჩრდილოეთ ამერიკაში, იქიდან ავსტრალიაში გადაინაცვლებს და შორეულ აღმოსავლეთში დასრულდება. ეს იქნება პირველი ხანგრძლივი და მასშტაბური ტურნე 1995 წელს გამართული საკონცერტო სერიების შემდეგ - Outside World.

ბოლო პერიოდში დევიდ ბოუი, ძირითადად, ერთჯერად შოუებსა და კონცერტებში იღებდა მონაწილეობას. ახლა კი დიდი ტურნეს გამართვა გადწყვიტა: "გასულ წელს ჩატარებული კონცერტები მაღალი დონის იყო, აუდიტორიაც აქტიური შეგვხვდა, ჩემი ანსამბლი ახლა საუკეთესო ფორმაშია და ამ ტურნეზე უარის თქმა, უბრალოდ, სისულელე იქნებოდა", - თქვა მუსიკოსმა და იქვე დასძინა: "ჩვენ შესანიშნავ გუნებაზე ვართ, მხნედ და ლაღად ვგრძნობთ თავს და ჩვენს შოუსაც პუბლიკა შესანიშნავად აღიქვამს".

მართალია, მსოფლიო ტურნემდე ჯერ შორია, მაგრამ კონცერტებზე მოხვედრის მსურველებმა თადარიგი ახლავე უნდა დაიჭირონ, ბილეთების გაყიდვა 20 ივნისიდან დაიწყება. ევროპაში კონცერტები შემდეგ ქალაქებშია დაგეგმილი: მანჩესტერი, ბირმინგემი, ლონდონი, დუბლინი, კოპენჰაგენი, სტოკჰოლმი, ჰელსინკი, ოსლო, როტერდამი და მილანი.

# კიდევ ერთი ლათინური ღამე

### კონცერტი-გაკვეთილი "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ვერა ნეფარიძე

ხვალიდან "აჭარა მიუზიკ ჰოლი" თემატური მუსიკალური საღამოების ციკლს იწყებს. კლუბში პირველი ასეთი ღამე ჩვენში პოპულარულ ლათინურ რიტმებს დაეთმობა. როგორც ორგანიზატორები გვპირდებიან, ეს არ იქნება ჩვეულებრივი ლათინური მუსიკის საღამო...

ზაფხულთან ერთად თბილისში მეტი ინტესიობით ამუშავდნენ ღამის კლუბები. თუ აქამდე დედაქალაქში ერთადერთი კლუბი "აჭარა მიუზიკ ჰოლი" ქმნიდა საკლუბო ამინდს, ახლა მას ლიდერობაში საზაფხულო ღამის კლუბი "16 რაუნდი" ეცილება. სწორედ ამ კლუბში სამთვიანი ფესტივალი - "საუკუნე ოც დღეში" - ლათინური მუსიკის საღამომ გახსნა. ამ მუსიკის მოყვარულები თბილისში ბევრნი არიან. მაგრამ, მაშინ უამინდობის გამო, კონცერტმა ვერ მიიზიდა რაოდენობრივად ისეთი აუდიტორია, რომელიც სხვა შემთხვევაში აუცილებლად ეყოლებოდა კლუბს. ცეცხლოვანი რიტმების მოყვარულებს კიდევ ერთხელ მიეცემათ საშუალება, მთელი ღამე გაატარონ ლათინური მუსიკის ფონზე. თუმცა, ხვალ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დაგეგმილი კონცერტი მაინც განსხვავებული იქნება თბილისში გამართული მსგავსი კონცერტებისგან.

ამ განსხვავების ძირითადი მიზეზი კონცერტის სამხატვრო ხელმძღვანელი, მაესტრო მორისი, ანუ მორის კაჭარავაა. "ლათინური ღამის" ავტორი სწორედ იგი გახლავთ; ადამიანი, რომელმაც 15 წელიწადია საქართველოში ლათინური მუსიკის პოპულარიზაციას ეწევა. მამბოს, სალსას, ჩა-ჩა-ჩას, სამბას, რუმბასა და ტანგოს პრიმიტიული ილეთებს მაესტრო ხვალ "აჭარა მიუზიკ ჰოლის" აუდიტორიასაც შეასწავლის. "საკონცერტო-საცეკვაო ნომრების შემდეგ ჩვენ გვექნება პატარა გაკვეთილები კლუბის სტუმრებისთვის, რითაც, ფაქტობრივად, დისკოთეკა დაიწყება. ეს გაკვეთილები იმისთვის დაგვჭირდება, რომ სტუმრები შემდეგ ლათინო-საღამოზე უფრო მომზადებულები მოვიდნენ", - ამბობს მაესტრო მორისი, რომელიც ხვალინდელი ლათინო ღამის წარმატების შემთხვევაში ფიქრობს, რომ მსგავსი საღამოები კლუბში ინტენსიურად მოეწყობა.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებს საცეკვაო ჯგუფი, რომელიც, ორი მოწვეული წყვილის გარდა, მაესტრო მორისის მოსწავლეებსა და "აჭარა მიუზიკ ჰოლის" მოცეკვავეებს აერთიანებს. კლუბის პერსონალი ამ საღამოსთვის სამი კვირის განმავლობაში სწავლობდა ლათინურ ცეკვებს. კონცერტი ცოცხალი მუსიკის თანხლებით გაიმართება. ცოცხალ ლათინო მუსიკას შვიდკაციანი ბენდი "დილა" შეასრულებს. ლათინური მუსიკის თბილისელმა მოყვარულებმა ეს ანსამბლი კარგად იციან, ქალაქის სხვადასხვა ღამის კლუბებში გამართული ლათინური საღამოების წყალობით. ანსამბლის რეპერტუარში ტრადიციული ლათინური თემებია; მათ შორის - პოპულარული სიმღერები "ჯიფსი კინგისა" თუ სანტანას შემოქმედებიდან. ასე რომ, თუ პროექტმა "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გაამართლა, მაესტრო მორისის "ლათინური ღამე" კლუბის მუდმივი სტუმრების თანამგზავრი იქნება ზაფხულის განმავლობაში.

# ჟენევაში გაიხსნა ხარიტონ შავიშვილის მემორიალური დაფა

გიორგი შარაძე

როგორც შვეიცარიაში საქართველოს ელჩმა, ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ გვაცნობა, მიმდინარე წლის 10 ივნისს, ჟენევის ქალაქის მუნიციპალიტეტისა და შვეიცარიის კონფედერაციაში, საქართველოს საელჩოს ინიციატივით, ჟენევაში, ჟორჟ ფავონის ბულვარზე (Boulevard Georges Favon) მდებარე სახლზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ცნობილი ქართველი დიპლომატის, ერთა ლიგაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის, ხარიტონ შავიშვილის მემორიალური დაფა. მას ფრანგულ და ქართულ ენებზე ასეთი წარწერა ამშვენებს: "აქ ცხოვრობდა ხარიტონ შავიშვილი – რევოლუციონერი, მწერალი, დიპლომატი. იცოცხლა სამშობლოსათვის"

საზეიმო ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდა **მანუელ ტორნარი** (როტაციის წესით, მომავალ წელს ჟენევის მერი), "*შვეიცარიაში საქართველოს მეგობართა ასოციაციის*" პრეზიდენტი - **ლუკას ფიშერი** და ჟენევის კანტონის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე **დომინიკ ოსერი.**

დამსწრე საზოგადოებას მიმართა სორბონისა და ჟენევის უნივერსიტეტების პროფესორმა, ცნობილმა შვიცარიელმა პოლიტიკოსმა - **ჟან ზიგლერმა**, რომელიც პირადად იცნობდა ხარიტონ შავიშვილს და თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას დღემდე მას უმადლის. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ჟან ზიგლერის წინადადებითა და ხელშეწყობით განხორციელდა ეს იდეა. თავის გამოსვლაში მან ისაუბრა იმ დიდ ღვაწლზე, რომელიც ხარიტონ შავიშვილმა შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებასა და ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ თავისი სამშობლოს თავისუფლების იდეის პროპაგანდის საქმეში.

ცერემონიალის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი **ალექსანდრე ჩიკვაიძე,** რომელმაც ჟენევის კანტონის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატის ღვაწლის დაფასებისთვის. მან ხაზი გაუსვა იმ დიდ ისტორიულ როლს, რომელიც ხარიტონ შავიშვილს მიუძღვის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განმტკიცებაში და გამოხატა რწმენა მათი შემდგომ გაღრმავებისა.

1999-2001 წლებში ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობასა და შვეიცარიაში საქართველოს საელჩოში ატაშედ მუშაობისას ჩვენს მიერ დადგენილ და ფირზე აღბეჭდილ იქნა დაწესებულებები, სადაც განთავსებული იყო: **ბერნში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა და პრესბიურო (1918-20); ჟენევაში ერთა ლიგასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა (1920-34); ქართული პრესის ბიურო (1920-72); ჟენევაში არსებული ის შენობები, სადაც ცხოვრობდა შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი სოციალ-დემოკრატი**. აგრეთვე, ქალბატონ **ნელი ზედგინიძის** დახმარებით, უკვე ცნობილია ხარიტონ შავიშვილის საფლავი, რომლის ადგილსამყოფელიც, რიგი ემიგრანტული წყაროების მიხედვით, მანამდე საფრანგეთში იყო მითითებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვსურს, მოკლედ წარმოგიდგინოთ ხარიტონ შავიშვილის პორტრეტი - რა დამსახურება მიუძღვის მას საკუთარი ერის წინაშე და რისთვის მიაგეს მას ასეთი პატივი შვეიცარიაში.

ბერნში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის დესპანი, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დელეგატი ერთა ლიგაში (ჟენევა) და ქართული პრესის ბიუროს ხელმძღვანელი, ხარიტონ შავიშვილი დაიბადა 1886 წელს, ოზურგეთთან ახლოს, სოფელ ქვედა-ბახვში.

1901 წელს ბათუმში ჩასული ახალგაზრდა ხარიტონი სოციალ-დემოკრატიულ იდეებს ეზიარა და მოგვიანებით ამ პარტიის მენშევიკური ფრთის ცნობილ ქართველ წარმომადგენლებს - კარლო ჩხეიძეს, ნოე რამიშვილს, ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე ხომერიკს დაუახლოვდა. გაეცნო ჟენევიდან ბათუმში არალეგალურად ჩასულ ნოე ჟორდანიას. მალე აქტიური რევოლუციური საქმიანობისათვის იგი დააპატიმრეს და თბილისში, მეტეხის ციხეში გადაიყვანეს, აქედან კი ციმბირში გადაასახლეს.

1908 წლის გაზაფხულზე ხარიტონ შავიშვილი ციმბირიდან გაიქცა, ჩავიდა მოსკოვს, საიდანაც მეგობრების დახმარებით ევროპაში გააღწია და გერმანიის გავლით გემით ჟენევაში ჩავიდა, სადაც რამდენიმე ხნით ადრე, ასევე, რუსეთის იმპერიიდან გამოქცეულ თავის უფროს ძმასთან ვანო შავიშვილთან დაბინავდა, ვინაიდან იმ პერიოდში შვეიცარია და ჟენევა რუსეთიდან ლტოლვილ რევოლუციონერთა თავშესაფრად ითვლებოდა.

1908 წლიდან შვეიცარიაში ხარიტონ შავიშვილის ყოფნას და რევოლუციურ მოღვაწეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. 1918 წელს, როდესაც მისი სამშობლო ნანატრ თავისუფლებას მოესწრო, იგი მიწვეულ იქნა ბერნში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ელჩის მიხეილ სუმბათაშვილის მიერ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სამუშაოდ. ხარიტონ შავიშვილი იგონებს: "1918 წლის ოქტომბერში თავადმა მიხეილ სუმბათაშვილმა (ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც სხვადასხვა დროს დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა ბერნში, პარიზსა და ლონდონში, გ.შ.), უფლებამოსილმა საქართველოს მთავრობის მიერ, შემომთავაზა, მიმეღო მონაწილეობა ბერნში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დაარსებაში, რომლის ძირითად მიზანს მოწინავე ქვეყნებისათვის საქართველოში არსებული მდგომარეობის გაცნობა წარმოადგენდა".

მართლაც, 1918 წლის ნოემბერში ხარიტონ შავიშვილი ბერნში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩევლის რანგში (En Qualite de Conseiller Principal) შეუდგა მუშაობას. ბერნში საქართველოს წარმომადგენლობა პირდაპირ კავშირში იყო თბილისში რესპუბლიკის მთავრობასთან და პარიზში (ვერსალის) სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელთან კარლო ჩხეიძესთან. ამ ორი წლის განმავლობაში (1918-1920 წ.წ.) ბერნში საქართველოს წარმომადგენლობამ დიდი საქმიანობა გაწია და, შეძლებისდაგვარად, ასრულებდა დაკისრებულ დავალებებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჟენევაში გაერო-ს ერთა ლიგის არქივში აღმოჩნდა ბერნიდან პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციაზე მყოფი საქართველოს დელეგაციის მეთაურის, კარლო ჩხეიძის სახელზე გაგზავნილი ხარიტონ შავიშვილის მოხსენება "საქართველოს საზღვარგარეთ საქმეების მოწყობის შესახებ", რომელიც 1920 წლის 6 ივნისითაა დათარიღებული და ფრიად საინტერესო მოსაზრებებს შეიცავს ახალგაზრდა რესპუბლიკის დიპლომატიური საქმიანობის მოწყობის თაობაზე. თუმცა, აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ ვრცელია და ცალკე განხილვას მოითხოვს.

ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ ხარიტონ შავიშვილს დაავალა ყოფილიყო თავისი ქვეყნის პასუხისმგებელი პირი ერთა ლიგაში, რომელიც უკვე ჟენევაში იყო დაარსებული და, სადაცაა, უნდა ჩაეტარებინა თავისი პირველი ასამბლეა.

ამის გამო, 1920 წლის ნოემბერში ხარიტონ შავიშვილი ჟენევაში გადავიდა და მის მიერ ბერნში დაარსებულმა საქართველოს პრესის ბიურომაც იქ გადაინაცვლა. იგი კავშირში იყო არა მარტო შვეიცარიის ტელეგრაფის სააგენტოსთან, არამედ იმ დროისათვის არსებულ დასავლეთ ევროპის წამყვან საინფორმაციო საშუალებებთან და ამ არხებით ავრცელებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა თუ მისი საერთაშორისო აღიარებისთვის საჭირო მასალებს.

1921 წლის თებერვალ-მარტიდან საქართველომ ისევ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ხარიტონ შავიშვილმა ბრძოლა გააგრძელა ჟენევაში დაარსებულ ერთა ლიგაში - ამჯერად, როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგატმა.

1925 წელს საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ ლონდონში გამოსცა 68-გვერდიანი კრებული ფრანგულ ენაზე: "დოკუმენტები საქართველოს საკითხის შესახებ ერთა ლიგაში" (Documents relatifs a la questions de la Georgie devant la Societe des Nations), რომელიც შეიცავს ყველა დოკუმენტს, ერთა ლიგისთვის საქართველოს მთავრობის ან მისი წარმომადგენლის – ხარიტონ შავიშვილის მხრიდან გადაცემულ წარდგინებებს. ერთა ლიგის ყრილობების და კომისიების იმ სხდომათა ანგარიშებს, სადაც საქართველოს საკითხი ირჩეოდა.

1934 წლის შემდეგ, ანუ, როდესაც მსოფლიომ ოფიციალურად ცნო საბჭოთა კავშირი, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ხარიტონ შავიშვილმა საქართველოს საკითხის პროპაგანდას შესწირა უცხოეთში და, როგორც ერთი მისი ბიოგრაფი წერს, "ამ საქმეს უდიდესი ღვაწლი დასდო; რადგან შვეიცარიაში ის ყველა სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს იცნობდა, მათი დახმარებით ყველა შვეიცარიულ გაზეთში საქართველოს ბედის შესახებ ვრცელ სტატიებს წერდა და ხელს უწყობდა რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის გამოაშკარავებას" ("ჩვენი დროშა", პარიზი, 1975, N83). გარდა შვეიცარიული პრესისა, იგი აქტიურად თანამშრომლობდა ფრანგულ და ბელგიურ ჟურნალ-გაზეთებშიც.

ხარიტონ შავიშვილს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ევროპის წამყვანი ქვეყნების სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, მათ შორის, შვეიცარიის პრეზიდენტთან, ჯუზეპე მოტასთან, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერთან, პიერ რენოდელთან და სხვებთან, რასაც ის იყენებდა საქართველოს ინტერესების დასაცავად.

ამას გარდა, ჟენეველი მეგობრების დახმარებით, 1925 წელს მან დააარსა "**ჟენევაში საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი**", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი შვეიცარელი ჟურნალისტი, Journal de Geneve-ის რედაქტორი **ჟან მარტენი**, რომლის მეშვეობითაც შვეიცარიასა თუ მთელს ევროპაში არა ერთი მნიშვნელოვანი ქართული საქმე გაკეთდა.

1926 წელს ხარიტონ შავიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად სიტყვით გამოდის ჟენევის მსოფლიო კონგრესზე. 1934 წელს მონაწილეობს ერთა ლიგის მშვიდობის კონგრესზე ლოკარნოში. 1945 წელს იგი ჟენევაში აარსებს "ქართველ ემიგრანტთა წარმომადგენლობას" (Representant des emigres Georgiennes a Geneve) - დახმარებას უწევს მეორე მსოფლიო ომში დატყვევებულ ქართველებსა და მათ ოჯახებს, რისთვისაც, რის გამოც საბჭოთა რეჟიმის მიერ იგი არასასურველ პირად იქნა გამოცხადებული.

ხარიტონ შავიშვილი არ კმაყოფილდებოდა მარტო დიპლომატიურ-პოლიტიკური და ჟურნალისტური მოღვაწეობით. მან ჟენევაში, პარიზსა და ბერნში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ათზე მეტი წიგნი, მათ შორის, "ღია წერილები ამხანაგ ჟან ლონგეს, ბერნი, 1918"; "სამშობლო, ციხეები, გადასახლება, პარიზი, 1946"; "მოსედან ჰიტლერამდე, ჟენევა, 1948"; "შოთა რუსთაველი ჟენევის უნივერსიტეტში, ჟენევა, 1963"; "წმინდა ნინო - პირველი მოციქული ქალი, ჟენევა, 1964"; "საბჭოთა კავშირი - რუსთა მეორე გამოსვლა მონღოლთა იმპერიიდან, ჟენევა, 1965"; "რუსი მწერლების ტრაგედია - პუშკინიდან პასტერნაკამდე, ჟენევა, 1965"; "სოციალიზმის ფილოსოფია, ჟენევა, 1968"; "თამარი ანუ საქართველოს ოქროს ხანა, ჟენევა, 1971"; "ადამიანი და საზოგადოება, ჟენევა, 1973"; "რუსი რევოლუციონერები ჟენევაში 1908 წელს, ჟენევა, 1974".

ხარიტონ შავიშვილი გარდაიცვალა 1975 წლის 27 იანვარს, 89 წლის ასაკში. მისი ნეშტი 31 იანვარს მიაბარეს ჟენევის კოლონის სასაფლაოს (La cimetiere de La Cologne) და პატივისცემის ნიშნად, ჟენეველმა სოციალისტებმა სამუდამოდ შეუსყიდეს სასაფლაო ნაკვეთი, ხოლო უცხოეთში ქართველ თავად-აზნაურთა საზოგადოებამ სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის ხარიტონ შავიშვილს თავადის ტიტული (Prince) მიანიჭა.

დაბოლოს, ხარიტონ შავიშვილის პორტრეტის გრიგოლ რობაქიძისეული კიდევ ერთი შტრიხი: "ქართველთა ინტერესების დამცველი აქ, შვეიცარიაში, როგორც იცით, ხარიტონ შავიშვილია: კაცი, პოლიტიურ ("პოლიტიკური შეცდომაა" გ.რ.) ვითარებაში კარგად ჩახედული და საქმიანობაში ძალიან მოხერხებული. უნდა დაუმატო; ლელოს გამტანიც შეხლა-შემოხლაში. აქაურ მმართველთა რიგებში მას ნდობაცა აქვს და გავლენაც, აგრეთვე - პასუხსაგებ წრეებშიაც. მუშაობს საქართველოსთვის თავგამოდებით და მარჯვეთაც. ნივთიერად კი იგი უსახსროა: იბრძვის ლუკმა-პურისთვის დღითი-დღე... მას თვალები სტკივა და მიწერ-მოწერის გამართვა მხოლოდ დაქტილოს დახმარებით თუ შეუძლია. თან ამას ფული უნდა. წერილებისთვის საფოსტო მარკებია საჭირო, ესეც საგრძნობ თანხას ითხოვს. შემდეგ: ტელეფონი, დეპეში, შეხვედრანი და სხვა - აქაც ფულია საჭირო. ასეთია ამჟამად მისი მდგომარეობა...

გთხოვთ მოიწვიოთ თავკაცნი თქვენი სათვისტომოსი და მათ წინაშე დააყენოთ ეს საკითხი... შესაძლოა ამ ჯგუფმა თქვენი თაოსნობით, გამონახოს რამე გამოსავალი. ეს არ იქნება პირადი დახმარება - ეს დახმარება იქნება, ჩვენი მამულისა და დედულისათვის გაწეული" - ასეთია ჟენევაში ასევე ლტოლვილად მყოფი ქართველი კლასიკოსის მიერ 1948 წლის 8 ივნისით დათარიღებული წერილი, იმ დროს პარიზში ქართველთა სათვისტომოს ერთ-ერთი თავკაცის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის, აკაკი ჩხენკელის მიმართ.

წინამდებარე სტატიის დასაწყისში ხსენებული, თანამედროვე შვეიცარიის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ფედერალური საბჭოს (პარლამენტის) ყოფილი დეპუტატი, ჟან ზიგლერი ასე აფასებს ხარიტონ შავიშვილის პოლიტიკურ-დიპლომატიურ მოღვაწეობას:

"ჟენევაში გატარებული მრავალი წლის განმავლობაში ხარიტონ შავიშვილი იცავდა საქართველოს რევოლუციის ლეგიტიმურობას. 1939 წლამდე სენ-ლეჟერის ქუჩაზე (Rue St. Leger) მდებარე მის სახლზე მიმაგრებული იყო დაფა საქართველოს მისიის აღნიშვნით... ერთა ლიგის ასამბლეაზე იგი ყოველთვის იცავდა დემოკრატიის პრინციპებს. ყველაფერი მან მასწავლა და თავისი ღრმა კვალი დაამჩნია შვეიცარიელ მემარცხენეთა მთელ თაობას...

სენ-ლეჟერის შემდეგ, ხარიტონ შავიშვილი მეტად მოკრძალებულად ცხოვრობდა კონსეი-ჟენერალის ქუჩაზე (Rue du Conseil-General), წიგნებით გავსებულ ერთ პატარა ოთახში... ცნობილია, რომ დევნილები ხშირად განიცდიან მარტოობას. საბედნიეროდ, ჟენეველი სოციალისტები არ ტოვებდნენ ხარიტონს მარტო. 1990 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისტორია სამართლიანად შემობრუნდა ამ ადამიანისაკენ, რომელიც თავისი ნაწერებით გაჭირვებით ირჩენდა თავს" - აღნიშნავს ჟან ზიგლერი, იგონებს, რა უფროსი თანამოაზრის ხშირ ულვაშს, გაცვეთილ პალტოსა და გადამდებ დარბაისლობას!" (Tribune de Geneve, 30.IX.1998).

უნდა დავეთანხმოთ მოყვანილი ციტატის ავტორს. ისტორია - მართლაც რომ, მსაჯულია და შეიძლება გვიან, მაგრამ აუცილებლად გაიხსენებს სამშობლოსათვის თავდადებულ შვილებს!!!



ხარიტონ შავიშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი ერთა ლიგაში



გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. ჟენევა 1974 წელი



საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ბერნში 1918-1921



ხარიტონ შავიშვილი ერთა ლიგის ერთერთი კომისიის სხდომაზე (მესამე რიგში, ცენტრში)

ფეხბურთი

# გაიარეთ რუსთაველზე



გუშინ დავით ყიფიანის დაბადების დღე იყო

ზაზა ფაჩუაშვილი

*გაიარეთ რუსთაველზე და შეჩერდით TMS გალერეასთან. იქ გელოდებათ დათო ყიფიანი, რომელსაც გუშინ, 18 ივნისს, 52 წელი შეუსრულდა.*

დიდი ქართველი ათიანის დაბადების დღესთან დაკავშირებით TMS გალერეაში დაიწყო და 10 დღეს გასტანს მისი ხელოვნების ფოტოგამოფენა. სხვადასხვა დროს გადაღებული კადრები მადლიანად აპურებს ჩვენი მწყურვალი ეროვნული სიამაყის მოთხოვნილებას. დგას ხალხი ყიფიანის ფოტოებთან და...

**"ეს არის "ფეინოორდთან" თამაში. შეხედეთ დათოს ფეხს. ტერფი ისე აქვს მოქცეული, მოტეხილი გეგონება. ასეთი რაღაცის გაკეთება მხოლოდ ზეფეხბურთელებს თუ შეუძლიათ. ამიტომაც ახდენდა სასწაულებს,"** – გვიხსნიდა ვერისბაღელი "პაპა".

**"დათომ თავისი ხედვით დროს გაუსწრო. რასაც დათო 25 წლის წინათ აკეთებდა, იმას ახლა აკეთებენ ბექჰემი და ზიდანი. ჩვენ მომავალში დიდი სიურპრიზები გველის, როცა თანდათან გავაცნობიერებთ, თუ რაოდენ დიდი ფეხბურთელი გვყავდა.**

**"კარლ-ცაისთან" ფინალის დროს იტალიაში ვიყავით გასტროლებზე და "კავკასიურ ცარცის წრეს" ვთამაშობდით. თეატრში ტელევიზორი მოგვიტანეს, მაგრამ ზუსტად მაშინ რომის პაპი დაჭრეს და პროგრამა ყველა ტელევიზიამ შეცვალა. ერთი სიტყვით, მატჩი არ გვინახავს, მაგრამ მოგების ამბავი რომ შევიტყვეთ, ისეთი ამბავი ავტეხეთ, იტალიელებს გაუკვირდათ, ამ ხალხს რა მოუვიდაო,"** – გვიამბო ძველმა ფეხბურთელმა, ამჟამად რუსთაველის თეატრის მსახიობმა სოსო ლალიძემ.

სტუმრებს მასპინძლობდნენ აქციის ორგანიზატორები, "დათო ყიფიანის საერთაშორისო ფონდისა" და ჟურნალ "ათიანის" მესვეურები ლევან ყიფიანი და გიორგი გორგოძე.

ლევან ყიფიანი: **"მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო TMS გალერიის დირექტორს, ბატონ მერაბ ლორთქიფანიძეს, რომელიც ამ მშვენიერი იდეის ავტორია.**

**ასევე დიდ მადლობას მოვახსენებ საფეხბურთო კლუბ "დინამოს", საგამოფენო კომპანია "რეინგოლდს" და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო გამოფენის მოწყობაში".**

გამოფენაზე საშუალება გექნებათ, შეიძინოთ გიორგი გორგოძის მიერ შექმნილი უნიკალური წიგნი "დღესასწაულის წადილი", რომლის წაკითხვა, მართლაც, დღესასწაულია. იქვეა ჟურნალ "ათიანის" ყველა ნომერი.

გაიარეთ რუსთაველზე და მოუსმინეთ ყიფიანის ფოტოსთან შეკრებილ ხალხს. ბავშვების წაყვანა არ დაგავიწყდეთ...

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ხუან ლაპორტამ საფეხბურთო კლუბ "ბარსელონას" პრეზიდენტის რანგში თავისი პირველი ნაბიჯი გადადგა. მან კლუბის ტექნიკურ დირექტორად "ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი, ჩიკი ბეგირისტაინი დანიშნა. 38 წლის ყოფილი ნახევარმცველი კატალონიური გრანდის რიგებს 1988-დან 1995 წლამდე იცავდა. ბოლო პერიოდში ბეგირისტაინი სპორტულ კომენტატორად მუშაობდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა გუნდიდან ესპანელი ნახევარმცველის, გუტის გაშვებას არ აპირებს. ამ ფეხბურთელის "სამეფო კლუბიდან" წასვლის შესახებ ხმები მაშინვე გავრცელდა, რაც გაჩნდა ინფორმაცია, რომ "რეალმა" დევიდ ბექჰემი შეიძინა. მადრიდული სუპერკლუბის ტექნიკური დირექტორის, ხორხე ვალდანოს განცხადებით, კლუბის წარმომადგენლებსა და გუტის პირად აგენტს შორის შეხვედრა დღეს გაიმართება.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ქართველი გულშემატკივრისთვის ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან კარგად ნაცნობმა რუსმა ჰოკეისტმა, იგორ ლარიონოვმა არ მიიღო "დეტროიტ რედ ვინგზის" წინადადება კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გაგრძელებისა და ამ პერიოდში მილიონი დოლარის გამომუშავების თაობაზე. მისმა პირადმა აგენტმა განაცხადა, რომ ლარიონოვს ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა აქტიურ სპორტულ კარიერას. ცნობისთვის: 43 წლის ვეტერანმა ჰოკეისტმა გასული სეზონის განმავლობაში 1,5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** NBA-ს წლევანდელი ფინალური მატჩების სერიის სატელევიზიო რეიტინგი სარეკორდოდ დაბალი აღმოჩნდა ნილსენის რეიტინგის არსებობის 27-წლიანი ისტორიის განმავლობაში, რითაც ამერიკაში სატელევიზიო ტრანსლაციების პოპულარობას არკვევენ. "სან ანტონიოსა" და "ნიუ ჯერსის" მატჩების რეიტინგულმა მაჩვენებელმა სულ 6,5 პუნქტი შეადგინა. ყველაზე მეტმა მაყურებელმა თვალი ადევნა მე-6 მატჩს, რომელმაც გაარკვია კიდეც ჩემპიონის ტიტულის მფლობელი. ადრე ყველაზე დაბალი რეიტინგის რეკორდი ეპყრა 1981 წლის ფინალურ სერიას "ჰიუსტონსა" და "ბოსტონს" შორის – 6,7 პუნქტი.

სპეციალისტთა აზრით, წლეულს ასეთი ინდიფერენტულობა გუნდების დაბალმა შედეგიანობამ განაპირობა.

## TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 19 ივნისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
07:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლამენგო" - "კრუზეირო"
12:25 "სპარტაკ-მოსკოვის" პრეზიდენტის პრესკონფერენცია. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ინდეპენდენტე მედელინი" - "სანტოსი"
15:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
15:30 რუსეთის ჩემპიონატი. "ტორპედო" - "სპარტაკ-ალანია"
17:15 "დარტყმა გოლისთვის"
17:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:30 თავისუფალი დარტყმა
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 რუსეთის ჩემპიონატი. "რუბინი" - "როსტოვი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლამენგო" - "კრუზეირო"
22:35 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:35 "საფეხბურთო სამზარეულო"
00:05 "FUTBOL MUNDIAL"
00:35 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ინდეპენდენტე მედელინი" - "სანტოსი"
02:20 02:20-დან 04:05-მდე შესვენება
05:35 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ინდეპენდენტე მედელინი" - "სანტოსი". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**
11:00, 15:15, 17:00, 20:00, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:30 აერობიკა
11:45 "კეგლის დროა"
13:10 სპორტული ტანვარჯიში. რუსეთის თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფარიკაობა. რუსეთის ჩემპიონატი
17:15 ძალოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი
18:50 ცხენოსნობა. "Royal ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
20:15 "ჩქაროსნული სამყარო"
20:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ისტორია. რუსეთის ჰოკეის ჩემპიონატები. 97/98 სეზონი
23:00 სპორტული ტანვარჯიში. რუსეთის თასი
01:20 ახალი ამბები
01:35 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
02:05 "ჩქაროსნული სამყარო"
02:35 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
11:30 აფროსნობა
12:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი
13:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
14:30 ფეხბურთი. საფრანგეთის კონფედერაციის თასი
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. ჰოლანდია
17:30 კიკბოქსინგი
18:00 ფეხბურთი. საფრანგეთის კონფედერაციის თასი
18:15 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
19:45 ახალი ამბები
20:00 ფეხბურთი. საფრანგეთის კონფედერაციის თასი
20:15 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
22:00 ფეხბურთი. საფრანგეთის კონფედერაციის თასი
00:00 ფეხბურთი. საფრანგეთის კონფედერაციის თასი
02:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
03:30 ახალი ამბები
03:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. კვიპროსი
04:15 ახალი ამბები
04:30 04:30-დან 11:30-მდე შესვენება
05:00 ახალი ამბები

# საუკუნის ტრანსფერი შედგა! უკვე მერამდენედ...

ბექჰემი "რეალში" - 4-წლიანი კონტრაქტი გაფორმებულია

აკა ტონია

*არის! საუკუნის ტრანსფერი შედგა! თუმცა, ეს უკვე მერამდენედ... მოკლედ და კონკრეტულად: ბექჰემი მადრიდის "რეალში" გადავიდა და ეს ჭორი აღარ არის. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.*

დევიდ ბექჰემის ტრანსფერის შესახებ ჯერ კიდევ 2002 წლიდან დავიწყეთ საუბარი. ყველაფერი ესპანური პრესის საშობაო ხუმრობით დაიწყო, თითქოს, "რეალი" საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბექჰემთან და მოულოდნელად შეიძინა კიდეც. ამბობენ, რომ ყველა ხუმრობაშია სიმართლის მარცვალი. ესპანელი ჟურნალისტების საშობაო ოინი ნახევარი წლის შემდეგ სიმართლედ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ბექჰემის "რეალში" გადასვლის შესახებ ჭორებს კატეგორიულად უარყოფდა "მანჩესტერიც" და "რეალიც", მიუხედავად იმისა, რომ ბექჰემისთვის ბრძოლაში უკანასკნელ ხანს კატალონიელებიც ჩაებნენ და ფეხბურთელის "ბარსელონაში" გადასვლის ამბავი თითქმის უკვე გადაწყვეტილ საქმედ მოგვაჩვენეს, მადრიდელები მაინც აწარმოებდნენ საიდუმლო მოლაპარაკებებს და მიაღწიეს კიდეც საწადელს.

"რეალისა" და "მანჩესტერის" წარმომადგენლებს შორის გამართული საიდუმლო მოლაპარაკება კუნძულ სარდინიაზე მიმდინარეობდა და გუშინწინ, საერთო ევროპული დროით 20.13 საათზე, ურთიერთშეთანხმებით დასრულდა. ასე ჟღერს ინფორმაცია, რომელიც გუშინწინ ღამით მოედო მთელ მსოფლიოს, თუმცა, არის სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვითაც ბექჰემის "რეალში" გადასვლის საკითხი გუშინწინ კი არა, ექვსი დღის წინათ, 13 ივნისს, უკვე გადაწყვეტილი იყო. ამ უკანასკნელი ვერსიის დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ "ბარსელონას" ახალი პრეზიდენტის სიტყვები, რომლებიც მან პრეზიდენტად არჩევისთანავე წარმოთქვა.

### ცივი შხაპი - "ბარსელონას"

ბექჰემისთვის ბრძოლაში უკანასკნელ ხანს ენერგიულად ჩაერთო "რეალის" მოსისხლე მტერი, კატალონიური "ბარსელონა". უფრო სწორად, ბექჰემის შეძენის იდეა კლუბის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, ხუან ლაპორტას ეკუთვნოდა. ლაპორტამ მადრიდელთა პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის გამოცდილების გაზიარება სცადა და ამომრჩეველთ პირობა მისცა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში სუპერვარსკვლავს შეიძენდა, ამ შემთხვევაში - ბექჰემს. ლაპორტა მთელი თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს "მანჩესტერის" წარმომადგენლებთან. გავრცელდა ინფორმაციები, თითქოს, ბექჰემი ცალი ფეხით უკვე "ბარსელონაში" იყო. ალბათ, ამანაც იქონია გავლენა იმ ფაქტზე, რომ 15 ივნისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა არა ფავორიტმა ლუის ბასატმა, არამედ მანამდე დაბალი რეიტინგის მქონე ლაპორტამ. თუმცა, პრეზიდენტად არჩევისთანავე, ლაპორტამ განაცხადა, თითქოს, მას არასოდეს უთქვამს, რომ ბექჰემს აუცილებლად შეიძენდა. რას უნდა ნიშნავდეს ახალი პრეზიდენტის ეს საქციელი? – ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული მეორე ვერსია ამ კითხვის პასუხს გვაძლევს. ამ ვერსიით, "რეალის" მენეჯერი დავიდ ხილი და ფლორენტინო პერესის მარჯვენა ხელი პედრო ლოპესი "მანჩესტერის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, პიტერ კენიონს შეხვდნენ. სამსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, მხარეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს – ბექჰემის "რეალში" გადასვლა გადაწყდა. 14 ივნისს პიტერ კენიონი ბექჰემის აგენტს, ტონი სტეფენსს უკავშირდება და კონტრაქტის პირობების დაზუსტებას ავალებს. 15 ივნისს "ბარსელონას" ახალ პრეზიდენტად ხუან ლაპორტა აირჩიეს. იმავე დღეს მისმა თანაშემწემ სანდრო როსელმა 13 ივნისის მოლაპარაკების შესახებ შეიტყო – ლაპორტა შოკშია. 16 ივნისს ლაპორტა აცხადებს, რომ მას არავითარი პირობა არ დაუდია, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ ბექჰემთან მოლაპარაკებას აუცილებლად განაგრძობს. თავადაც იცის, რომ ტყუის – ბექჰემი უკვე "რეალის" საკუთრებაა...

მოგვიანებით ლაპორტამ აღიარა, რომ ბექჰემთან მოლაპარაკება ვერ შედგა, თუმცა: "ჩვენს თანამოაზრეებს არაფერი აქვთ სანერვიულო. ჩვენ სხვა ფეხბურთელებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ბევრს ვმუშაობთ, რათა ბექჰემის დონის ფეხბურთელები გადმოვიბიროთ. საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ რონალდინიო გვაინტერესებს", - განაცხადა ლაპორტამ. ანუგეშებს კი ეს სიტყვები ბარსელონელებს?..



პერესის ვარსკვლავბიჭუნები: ბექჰემი, რობერტო კარლოსი, ზიდანი, ფიგუ, რონალდო, რაული - ამათ ვინ მოუგებს?!

სწორედ ასე ვითარდებოდა მოვლენები უკანასკნელ დღეებში. შემდეგ იყო კიდევ ერთი შეხვედრა სარდინიაზე. 17 ივნისს მხარეებმა კონტრაქტის პირობებზეც მოილაპარაკეს და თავიანთი შეთანხმების გახმაურებაც გადაწყვიტეს. ახალი ტრანსფერის შესახებ იმავე დღეს იუწყებოდნენ "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "რეალის" ვებგვერდები.

### "მანჩესტერი" 35 მილიონ დოლარს მიიღებს, ბექჰემი - 128 ათასს კვირაში

მაშინ, როდესაც ბექჰემის ბედი წყდებოდა, თავად ფეხბურთელი და მისი მეუღლე ვიქტორია ადამსი ტოკიოში მიემგზავრებოდნენ. ბექჰემს სარეკლამო ტურნე აქვს აზიის ოთხ ქვეყანაში (იაპონია, მალაიზია, ვიეტნამი, ტაილანდი). ასეთი სახის ტურნე ბექჰემის სპონსორების მიერ წაყენებული პირობაა, რომელიც ფეხბურთელმა აუცილებლად უნდა შეასრულოს და, ალბათ, დიდი სიამოვნებითაც აკეთებს – ათდღიანი მოგზაურობის დროს ის ყოველდღიურად 1,4 მილიონ ევროს მიიღებს!

აქვე უნდა ვახსენოთ ის ხელფასი, რომელსაც ის "რეალთან" დადებული კონტრაქტის თანახმად მიიღებს. "რეალი" ბექჰემს ყოველკვირეულად 128 ათას ევროს გადაუხდის. ბექჰემის ახალი კონტრაქტი 4-წლიანია და 2007 წლამდეა ძალაში. ამ ტრანსფერის საერთო ღირებულება 35 მილიონი ევროა. ხელშეკრულების თანახმად, მადრიდელები "მანჩესტერს" დაუყოვნებლივ გადაურიცხავენ 7.5 მილიონ ევროს, დანარჩენს კი ოთხი წლის მანძილზე დაფარავენ. არის კიდევ ერთი ნიუანსი: თუ ამ ოთხი წლის განმავლობაში, ბექჰემთან ერთად "რეალმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, "მანჩესტერი" დამატებით 10 მილიონ ევროს მიიღებს. ასე რომ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ბექჰემის ტრანსფერი არა 35 მილიონი, არამედ 45 მილიონი დაუჯდება "რეალს"...

### "ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მთელი ცხოვრება ვინანებდი"

მიუხედავად იმისა, რომ სერ ალექს ფერგიუსონისა და დევიდ ბექჰემის ურთიერთობა უკანასკნელ ხანს არცთუ ისე მოწესრიგებული იყო, მწვრთნელმაც და ფეხბურთელმაც ქების სიტყვები არ დაიშურეს ერთმანეთის მიმართ. "მანჩესტერ იუნაიტედის" ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა ფერგიუსონის სიტყვები. ის ამბობს: "დევიდს 11 წლის ასაკიდან ვიცნობ. ის ჩემს თვალწინ იზრდებოდა. ჩვენი კლუბის უკანასკნელი 10 წლის წარმატებებში ბექჰემის დამსახურება უდიდესია. მე მას ყოველივე კარგს ვუსურვებ და დარწმუნებული ვარ, ახალ კლუბში ბევრ წარმატებას მიაღწევს".

"მინდა, საჯაროდ ვუთხრა მადლობა სერ ალექს ფერგიუსონს. სწორედ მან შექმნა ის ბექჰემი, რომელიც მე ახლა ვარ. "მანჩესტერი" ყოველთვის დარჩება ჩემს მეხსიერებაში, გუნდი, რომელიც ჩემი ოჯახი იყო. ასევე არ დამავიწყდება ის შესანიშნავი გულშემატკივრები, რომლებიც მუდამ ჩემს გვერდით იდგნენ", - განაცხადა გუშინ ბექჰემმა. ფეხბურთელმა თავის გადაწყვეტილებაზეც ისაუბრა და აღიარა, რომ "რეალის" წინადადებაზე, უბრალოდ, ვერ იტყოდა უარს: "ვიცი, მთელი ცხოვრება ვინანებდი, ასეთ დიად კლუბში თამაშის შანსი ხელიდან რომ გამეშვა".

ბექჰემის "რეალში" გადასვლის შესახებ უკვე ყველა ღიად საუბრობს, დასამალი აღარაფერია. ტრანსფერის შესახებ აზრი გამოთქვეს მადრიდელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ და კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ.

"მოხარულები ვართ, რომ დევიდ ბექჰემი ჩვენს გუნდში გადმოვიდა. ეს არის სტრატეგიული კონტრაქტი, რომელიც "რეალს" კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის. ვცდილობთ, ჩვენს კლუბში საუკეთესო ფეხბურთელებს მოვუყაროთ თავი და ეს სარეკლამო მიზნითაც კეთდება. ეჭვგარეშეა, ეს ტრანსფერი თავად ბექჰემის სურვილით განხორციელდა, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ "რეალში" ეთამაშა", - განაცხადა ვალდანომ, რომელიც ფიგუ-ბექჰემის საკითხსაც შეეხო: "დარწმუნებული ვარ, ფიგუ თამაშს ჩვენთან გააგრძელებს. მეკითხებიან, თუ რომელ პოზიციაზე ითამაშებს ბექჰემი. ვარსკვლავები ადგილს არ ეძებენ, ისინი, უბრალოდ, თამაშობენ. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია".

ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ბექჰემის მოსვლით ლუიშ ფიგუს, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას. თუმცა, ახალი ტრანსფერით უკმაყოფილებას გამოთქვამდა არა ფიგუ, არამედ გუტი. რამდენიმე დღის წინათ გუტიმ განაცხადა, რომ ბექჰემის "რეალში" გადასვლის შემთხვევაში ის სხვა გუნდზე იფიქრებს. "ჩვენ არ გვინდა, რომ გუტი "რეალიდან" წავიდეს. მასთან გვექნება საუბარი და შევეცდებით, რომ აზრი შევაცვლევინოთ. კლუბს ყოველთვის სჭირდებოდა მისი დახმარება და მისი წასვლა ჩვენს გეგმებში არ შედის".

"ხუთ საათზე ხორხე ვალდანომ დამირეკა და მითხრა, რომ ტრანსფერი შედგა. ბექჰემის კონტრაქტი სრულად ჯდება იმ ფილოსოფიაში, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა დანერგა კლუბში. ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ სად ითამაშებს ბექჰემი. ვნახავთ, რომელ პოზიციაზე იგრძნობს ის უკეთ თავს. ფიგუს და ბექჰემს შორის კონკურენცია არ იქნება, ისინი შეძლებენ ერთად თამაშს", - განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ.

ბევრი გულშემატკივარი სვამს კითხვას, თუ რაში სჭირდება "რეალს" ბექჰემი. ხორხე ვალდანოს ზემოთ მოყვანილ სიტყვებში გარკვევით წერია, სიტყვა "სტრატეგიული" კონტრაქტი. ბექჰემი არა მხოლოდ სპორტული, არამედ კომერციული წარმატების გარანტია. ფლორენტინო პერესმა უკანასკნელად აღნიშნა, რომ ბექჰემი ის ფეხბურთელია, რომელიც პომადის გაყიდვის საშუალებასაც მისცემს კლუბს. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ რონალდოს შემდეგ ბექჰემი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. კომერციაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, იმედია, პასუხი მიიღეთ...

### რა ნომრით ითამაშებს ბექჰემი?

ინგლისის ნაკრებშიც და "მანჩესტერშიც" ბექჰემი მე-7 ნომრით თამაშობდა. "რეალში" კი ამ ნომერს კლუბის სიმბოლო, რაული ატარებს. რაული არამც და არამც არ აპირებს შვიდიანის დათმობას და, ალბათ, არც მადრიდელთა ხელმძღვანელობას აქვს ამის სურვილი. მაშ, რომელი ნომრით ითამაშებს ბექჰემი "რეალში"? – ამ თემაზე საუბარი უკვე ინტენსიურად დაიწყო და ორი ვარიანტიც გამოიკვეთა. შესაძლოა, ბექჰემმა 77-ე ნომერი აირჩიოს. თუმცა, არის მეორე ვარიანტიც: თუ "რეალმა" ფერნანდო მორიენტესის გაყიდვა გადაწყვიტა, მის კუთვნილ მე-9 ნომერს რონალდო დაეპატრონება, რომელსაც ამის დიდი სურვილი აქვს. ხოლო რონალდოს 11-ნომრიან მაისურს ბექჰემს მისცემენ.

ბექჰემის ოფიციალური წარდგენა და კონტრაქტის საზეიმო ხელმოწერა დანიშნულია 2 ივლისს, მადრიდში. მანამდე კი საკმაო დროა იმისთვის, რომ მას ნომერი გამოუძებნონ.

ჭადრაკი

# პირველი ევროპელი

გიგა გურასაშვილი

*რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართული საჭადრაკო ტრადიციების გათვალისწინებით, პირველი შემთხვევაა, რომ ვაჟთა შორის კონტინენტის უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულს ჩვენი თანამემამულე დაეუფლა. სტამბულის IV ევროპის ჩემპიონატის მთავარი შემოქმედია ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელმაც, ჩემპიონობაც მოიპოვა და პირადი რეკორდიც გააუმჯობესა. გუშინ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში ევროპის პირველი ქართველი ჩემპიონის ერთგვარ პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს.*

თუ მსოფლიოს საჭადრაკო დაფას გადავხედავთ, მასზე ევროპელთა თვალშისაცემ უპირატესობას შევამჩნევთ. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატზე ნებისმიერი წარმატება ძალზე მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, თუ საუკეთესოს სახელს ჩვენი თანამემამულე ეუფლება. თუ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ნინო გურიელს დავესესხებით, ზურაბ აზმაიფარაშვილის ჩემპიონობა საქართველს საჭადრაკო სამყაროსთვის XXI საუკუნის უმაღლესი შედეგია: "ახლა თავისუფლად შემიძლია გადავდგე, რადგან მეშინია, როგორ უნდა გავიმეოროთ ასეთი შედეგი. ბევრი სახელოვანი მოჭადრაკე გვყოლია, მაგრამ ასეთი დიდი წარმატებისთვის არასდროს მიგვიღწევია. ბუნებრივია, დღეის შემდეგ მეტი პრეტენზია გვექნება. თუმცა, სტამბულში გამგზავრებამდე სერიოზული პრეტენზიები გვქონდა. ზურაბმა საკუთარი სიძლიერე დაამტკიცა. საკმაოდ წარმომადგენლობით ჩემპიონატზე იგი თავიდანვე ერთპიროვნულ ლიდერად გამოიკვეთა და გასაკეთებელიც გააკეთა".

ჩემპიონატი კი, მართლაც, წარმომადგენლობითი იყო. ფაქტობრივად, კონტინენტის ყველა ფედერაცია იბრძოდა სტამბულის საჭადრაკო დაფაზე. ცალკეულ მოჭადრაკეთა რაოდენობა კი 207 გახლდათ. პრესკონფერენციაზე ყველა ერთხმად აღნიშნავდა აზმაიფარაშვილის წარმატებას და ხშირად ტაშსაც უკრავდნენ. მაგრამ რა და როგორ იყო, ამის თაობაზე თავად ჩემპიონს მოვუსმინოთ.



ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონია

### სტამბულამდე

"არ დაგიმალავთ, ასეთ შედეგს არ ველოდი. რა თქმა უნდა, თითოეული შეჯიბრება განსაკუთრებულ მზადებას მოითხოვს. აქცენტი ევროპის ჩემპიონატზე მქონდა აღებული. მაგრამ, ფაქტია, მარტო მომზადებითაც ვერ გახვალ ფონს. ამისთვის რეჟიმის დაცვაა სავალდებულო. ბუნებრივია, ყველა მოჭადრაკეს საკუთარი რეჟიმი გვაქვს, რომელსაც ხშირად ვარღვევთ და ამისთვის ვისჯებით კიდეც. ასე რომ არ იყოს, აუცილებელია, გვყავდეს ფსიქოლოგი ან მწვრთნელი, ან თუნდაც ახლობელი. პირადად მე ვეცადე, გვერდით მყოლოდა მარინა, ჩემი მეუღლე, რომ გავეკონტროლებინე. გარდა ამისა, ჩემზე უდავოდ დადებითად მოქმედებს ფედერაციის პრეზიდენტი ნინო გურიელი - ჩემი ბავშვობის მეგობარი. ნინოს ყოველთვის კარგი ფეხი ჰქონდა ჩემთვის. ასე რომ, მასაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს წარმატებაში. და კიდევ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელემენტარულ ყურადღებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემპიონატზე გამგზავრების წინ "ჯეოსელმა" მიმიწვია, საჩუქრად საუკეთესო მობილიური გადმომცა და, ამასთან, თანამშრომლობაც შემომთავაზა. "ჯეოსელის" მხრიდან ამგვარი ჟესტი არაჩვეულებრივი სტიმულიც გამოდგა. ერთი სიტყვით, მინდა, ყველა მათგანს მადლობა გადავუხადო იმ ემოციური განწყობისთვის, რომელიც ასე მჭირდებოდა".

### ჩემპიონატი

"რა თქმა უნდა, ვემზადებოდი იმისთვის, რომ საუკეთესოდ წარმომეჩინა საკუთარი ქვეყანა. მესამე ტურის შემდეგ და მანამდეც ნინო გურიელმა იქ გარკვეული მინიშნება გააკეთა. სიმართლე გითხრათ, ნინოს ნათქვამი მეც მენიშნა. შემდგომ ჩემი გვარიც დასახელდა, რაც მესიამოვნა კიდეც, მაგრამ ამას, დადებითთან ერთად, უარყოფითი მხარეც აქვს. როდესაც წინასწარ ჩემპიონად მიგიჩნევენ, შესაძლოა, ფეხი დაგიცდეს, რაღაც მომენტში ვერ გაამართლო. ჩემი ასაკის მიუხედავად, შინაგანად, მართლაც, ვიგრძენი, რომ ტიტულისთვის ბრძოლა შემეძლო. დღეს, ფაქტობრივად, სპორტის ყველა სახეობა, მათ შორის, ჭადრაკი, გაახალგაზრდავდა. მიუხედავად ამისა, ჩემს წარმატებაზე გარკვეული როლი მოწინააღმდეგეებმაც ითამაშეს. მათი კარგი თამაშიც სტიმულს მანიჭებდა. ერთი სიტყვით, მოვიპოვეთ ის, რასაც ნაკლებად ველოდით, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობა გვაჩუქეს. ჩვენ ეს დავიმსახურეთ".

### გავლენა რეიტინგზე

"ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩემი რეიტინგი 20 პუნქტით გაიზარდა და, პირველად ისტორიაში, 2700-იანი ზღვარი გადავლახე. ამჟამად 2702 ქულა მაქვს. საერთოდ, მიჩნეულია, რომ საჭადრაკო ელიტას განეკუთვნებიან ისინი, ვინც რეიტინგის პირველ ორმოცდაათეულში შედიან. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ამჟამად, დაახლოებით, მეათე-მეთორმეტე ადგილზე უნდა ვიყო".

## 23 ივნისიდან უიმბლდონის ტურნირი

# ისევ ჰიუიტი და აგასი

კახა ფაჩუაშვილი

ორშაბათიდან "დიდი სლემის" რიგით მესამე, უიმბლდონის 116-ე ტურნირი იწყება. ორი კვირის განმავლობაში ჩოგბურთის მოყვარულებს ნამდვილი დღესასწაული ელით. ან იქნებ უფრო დიდხანსაც. კაცმა არ იცის. ეს ყველაფერი ამინდზეა დამოკიდებული. ინგლისური ამინდი კი ამ დროისთვის ძალიან ჭირვეულია. ისეც მომხდარა, რომ ორკვირიანი ტურნირი სამ კვირას გაგრძელებულა. ამიტომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია ერთი პირობა ტურნირის ერთი თვით გადმოწევაზეც ფიქრობდა, მაგრამ ინგლისელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, - საუკუნოვან ტრადიციას არ დავარღვევთო. და ტარდება უიმბლდონის ტურნირი წვიმიან ზაფხულში.

შარშან შეჯიბრება ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა, ქალთა შორის კი ამერიკელმა სერენა უილიამსმა მოიგო. ჰიუიტმა ნალბანდიანს სძლია, ხოლო სერენამ თავის დას წაართვა ჯილდო. ჩვენი გამარჯვებულები წლეულსაც ფავორიტები იქნებიან, მაგრამ არა ერთადერთი. ცნობილი ინგლისური ბუკმეკერული კანტორა "უილიამ ჰილი" იმ აზრზეა, რომ უიმბლდონს ამერიკელი ენდი როდიკი მოიგებს. ტურნირის მე-5 ნომერი ბალახზე ძალიან კარგად თამაშობს და ამჟამად შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. ამიტომაც მიიჩნევა როდიკი ტურნირის უმთავრეს ფავორიტად. მისი კოეფიციენტი 5,5-ს უტოლდება. შემდეგ მოდიან: ანდრე აგასი (2) - 6,0 და ლეიტონ ჰიუიტი (1) - 6,5.

ფავორიტების შესახებ, დაახლოებით, იგივე მოსაზრება აქვთ ჩოგბურთის ლეგენდებს: ბორის ბეკერს და სტეფან ედბერგს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ სამეულს ტურნირის მე-4 ნომერი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი ემატება.

"ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ 30 წლის შემდეგ ძნელია კორტზე ჩვეული სისხარტით გადაადგილება. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ წესი გამონაკლისის გარეშე არ არსებობს. ანდრე აგასი სწორედ ასეთი გამონაკლისია", - ამბობს ედბერგი. თავის მხრივ, ბორის ბეკერიც ადასტურებს, რომ ანდრეს ჩამოწერა ნაადრევია. მისი თქმით, ახლო წარსულში აგასი პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგის 141-ე საფეხურზე იმყოფებოდა, მაგრამ ელიტაში ძალიან იოლად დაბრუნდა.

"ადრე, - ამბობს ბორის ბეკერი, - საჩემპიონო ტიტულს ერთმანეთში ორი-სამი ჩოგბურთელი ათამაშებდა. ამჟამად პრეტენდენტთა ნუსხა გაიზარდა. თანაც, ადვილი შესაძლებელია, მათ შორის აბსოლუტურად უცნობი სახელი გამოჩნდეს.

ბორის ბეკერი ჰენმანზეც საუბრობს: "ფრედი პერის შემდეგ (1936 წ.) ინგლისელებს უიმბლდონის ტურნირი არ მოუგიათ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოიგოს ინგლისელმა ეს ტურნირი". ედბერგმა კი ჰენმანის შესახებ დაამატა: "უკანასკნელი რამდენიმე სეზონის განმავლობაში ტიმ ჰენმანმა წარმატებებს მიაღწია. 2001 წელს უიმბლდონის მოგებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ მაშინ ყველაფერი ნახევარფინალში დასრულდა, როცა ტიმმა გორან ივანიშევიჩის ბარიერი ვერ დაძლია. იქნებ მას ამჯერად უფრო გაუმართლოს".

ედბერგის აზრით, ჰენმანი მაღალი დონის თამაშით სწორედ ბალახის კორტებზე გამოირჩევა. "აქ მას უფრო დიდი გამოცდილება აქვს, ვიდრე ბევრ სხვა ჩოგბურთელს", - ამბობს ედბერგი. როგორ ახდება ლეგენდარული ჩოგბურთელების პროგნოზები, ამას ორ კვირაში შევიტყობთ. მანამდე კი გაირკვა, რომ უიმბლდონზე ვერ ითამაშებენ: რუსი ანა კურნიკოვა, უიმბლდონის 1996 წლის გამარჯვებული, ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი, გორან ივანიშევიჩი - 2001 წლის ტრიუმფატორი, მსოფლიოს ექს-პირველი ჩოგნები, ამერიკელი მონიკა სელეში და ჩილელი მარსელო რიოსი. აგრეთვე, არგენტინელი მარიანუ დიასოლივუ, ლუქსემბურგელი ან კრემერი და შვედი ტომას იუჰანსონი.

ანა კურნიკოვას ზურგის ტრავმა აწუხებს. წლეულს ჩოგბურთელმა მხოლოდ 10 შეხვედრა მოიგო და რეიტინგში 77-ე ადგილზეა. რაკი რუსებზე ვსაუბრობთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ WTA-ს ოფიციალური საიტის გამოკითხვის მიხედვით, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალისტი ვერა ზვონარევა ყველაზე სახიფათო მეტოქედ არის მიჩნეული. ოღონდ მათ შორის, ვინც პირველ ათეულში არ არის განთესილი. გამოკითხვაში მეორე ადგილზე იაპონელი აი სუგიამა გავიდა.

რიხარდ კრაიჩეკი გათამაშებიდან იდაყვის ტრავმის გამო მოიხსნა. "იმისთვის, რომ უიმბლდონზე ეასპარეზა, რიხარდს გამაყუჩებლები უნდა მიეღო, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ ეს გამოსავალი არ არის", - განაცხადა კრაიჩეკის მწვრთნელმა როხან გეტცკემ. უიმბლდონის მიღმა აღმოჩნდა ხორვატი ვეტერანი გორან ივანიშევიჩი. რამდენიმე დღის წინ თანამემამულე მარიო ანჩიჩთან სპარინგისას მან მუხლის ტრავმა მიიღო. მონიკა სელეშს ფეხი აწუხებს. ტომას იუჰანსონს კი მუხლის ტრავმის მოსაშუშებლად მეტი დრო სჭირდება. შვედმა წლეულს "დიდი სლემის" ორივე ტურნირი გამოტოვა.

"ჩვენ ბევრი მუშაობა გვჭირდება, ძალიან ბევრი, - ამბობს იუჰანსონის მწვრთნელი მაგნუს ტიდემანი, - ახლახან მან მთელი ერთი წლის განმავლობაში პირველად გაირბინა ასფალტზე. თანდათან ტომასი აღდგენით პროცესს განიცდის, მაგრამ სრული აღდგენისთვის მეტი დრო გვჭირდება. მე ტომასს ვუთხარი, რომ უიმბლდონზე ვერ ითამაშებს".

შვედი დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას 7 ივლისს, შვედეთის ჩემპიონატზე ვარაუდობს.







## ჭორჭორი



ნინო I

## გერმანული სპორტული ელიტის სიახლენი

იტალიური ბულვარული ჟურნალ-გაზეთები ისეთი მონდომებით აშუქებდნენ შვებულებაში გასული ფეხბურთელების გართობა-დასვენების პიკანტურ დეტალებს, რომ გერმანელ კოლეგებში შურის აღძვრაც კი მოახერხეს. მაინც რითი ვართ "პანორამაზე" ნაკლებიო, - იფიქრეს "ბილდის" ენერგიულმა ჟურნალისტებმა და, იტალიელებს რომ არ ჩამორჩენოდნენ, ერთბაშად დაადგნენ არდადეგებზე წასული სამი სუპერვარსკვლავის კვალს, რომელთაგან ერთმა კუნძულ სარდინიაზე მიიყვანა "ბილდის" კორესპონდენტები, მეორემ - ლონდონში, მესამემ კი სენსაციებზე მონადირეთ ცოტა უფრო ახლოს, ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ ლიუნებურგში დაასრულებინა კვლევა-ძიება. შედეგი ნამდვილად ღირდა ამდენ გარჯად. სარდინიაზე წასულებს განსაკუთრებული არაფერი აღმოუჩენიათ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ დაადასტურეს საზოგადოებისთვის ისედაც კარგად ცნობილი ფაქტები. ლიუნებურგულმა ვიზიტმა მოიტანა ახალი ინფორმაცია, მაგრამ არა ისეთი მოულოდნელი, როგორიც ლონდონურმა ვოიაჟმა, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მოდით, თანმიმდევრობით გავეცნოთ ყველაფერს. სარდინიით დავიწყოთ:

### ჰაერში სიყვარულის სურნელი იდგა

ხმელთაშუა ზღვის კამკამა, გამჭვირვალე სილურჯე უღრუბლო ცის განუმეორებელ ფერს ირეკლავს. კაშკაშა მზე და მუდამ მშვენიერი ამინდი. კუნძული სარდინია ზაფხულობით ნამდვილი სამოთხეა. სამოთხე, სადაც ყველა ვერ მოხვდება. პორტო ჩერვო კი სულაც ისეთი ადგილია, რომელიც მხოლოდ ძალიან მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი. აქ ყოველ წელიწადს ჩამოდიან მსოფლიო შოუბიზნესის ვარსკვლავები, პოლიტიკოსები, სპორტსმენები...



მიხაელ ბალაკი შვილთან ერთად

მიუნხენში პორტო ჩერვო მოდურ კურორტად ითვლება. სარდინიაზე შვებულების გატარება ძალიან უყვარდა ოლივერ კანს. სანამ ვერენას გადაეყრებოდა და მეუღლესთან კონფლიქტი მოუვიდოდა, ოჯახთან ერთად ხშირად ჩადიოდა სამხრეთ იტალიაში. შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგაც სარდინიას მიაშურა ძალების აღსადგენად და ფინალში განცდილი მარცხის დასავიწყებლად. ამ ზაფხულს კი პორტო ჩერვოს მიხაელ ბალაკმა დასდო პატივი...

26 წლის ნახევარმცველი გერმანული ფეხბურთის იმედად ითვლება. კაცმა რომ თქვას, არცთუ უსაფუძვლოდ. გერმანიის დეგრადირებულ ნაკრებში ბალაკი ერთადერთია, რომელსაც შემოქმედების ნიჭი აქვს, შეტევაშიც საიმედოა და დაცვაშიც. როცა ბალაკი ტრავმირებულია და ვერ თამაშობს, ბუნდესნაკრები საშინლად გამოიყურება. ბალაკის მოედანზე ყოფნა კი მის თანაგუნდელებს უდიდეს სტიმულს აძლევს. ის მუდამ ლიდერია. ასე იყო ლევერკუზენის "ბაიერში" და ასეა ახლაც, მიუნხენის "ბაიერნში", სადაც ლიდერები არასოდეს აკლდათ - ლოთარ მათეუსი იქნებოდა ეს, შტეფან ეფენბერგი თუ ოლივერ კანი. დღეს კი მიუნხენელთა წინამძღოლი მიხაელ ბალაკია.

ეს შავთმიანი, უაღრესად მიმზიდველი ნახევარმცველი მთელი გერმანიის კერპია. მის ოფიციალურ ვებ-საიტზე ერთ უცნაურ გრაფას შეხვდებით: ოჯახური მდგომარეობა: დაუქორწინებელი, შვილები: ორი. ამ ორიდან ერთი, საცაა, ორი წლის გახდება, მეორე კი ცხრა თვის გახლავთ. ორივე ბიჭია. უფროსს ლუისი ჰქვია, უმცროსს - ემილიო. პატარების დედ-მამამ რატომღაც უცხოურ სახელებს მიანიჭა უპირატესობა. ის, ვინც აქამდე უკვე ფრაუ ბალაკი უნდა გამხდარიყო, ჯერაც სიმონე ლამბეს სახელითაა ცნობილი და ისევ გერლფრენდის სტატუსის ამარაა. 26 წლის სიმონე დიდად არ ნაღვლობს, ოფიციალურად რომ არ ითვლება ბალაკის მეუღლედ. ისინი მუდამ ერთად არიან და ძალიან უყვართ ერთმანეთი. ყველას აინტერესებს, რატომ აგვიანებს ბალაკი ქორწინებას, მაგრამ "ბაიერნის" ლიდერი მეტად სიტყვაძუნწი და თავშეკავებულია და ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს ღრმად არასოდეს ახედებს თავის პირად ცხოვრებაში.

პორტო ჩერვოში ყველანი ერთად არიან. სიმონე და მიხაელი თან მზეს ეფიცხებიან, თან ბავშვებზე უჭირავთ თვალი, რომლებიც იქვე, სილაში თამაშობენ. ორივე ძალიან ბედნიერია. "აქ ყველაფერი არაჩვეულებრივია, - ამბობს ბალაკი, - ჰაერის საოცარი სურნელი ღამეს მაგიურს და განსაკუთრებულს ხდის". მაინც რატომ აქვს სარდინიულ ჰაერს ასეთი დიდი ძალა? იმიტომ ხომ არა, რომ ის სიყვარულითაა გაჟღენთილი?

### „კაიზერი" - ერთგულების ზეიმზე

ჩრდილოეთ გერმანიის პატარა ქალაქ ლიუნებურგში ფრანც ბეკენბაუერი ქორწინების 40 წლისთავს ზეიმობს, ოღონდ, სამწუხაროდ, არა თავისას. "კაიზერი" არასოდეს ყოფილა ისეთი ერთგული და მომთმენი, რომ ერთი და იგივე ქალთან, ორმოცს ვინ ჩივის, ოც წელიწადს გაეძლო. ამ საიუბილეო თარიღს ბეკენბაუერის ახალი სატრფოს, ჰაიდი ბრუმესტერის მშობლები იხდიან და ჰაიდი და ფრანცი საპატიო სტუმართა შორის ბრძანდებიან.

მარგრეტ და გერჰარდ ბრუმესტერებმა "ოქროს ქორწილზე" 80 სტუმარი მიიწვიეს. სასტუმრო "ჭადრებში" მხიარული ჩრდილოეთგერმანული ზეიმი მოაწყვეს - სიმღერებით, ცეკვებით, ტრადიციული კერძებით და მარწყვის უგემრიელესი ნაყინით, რომელიც სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ.

ფრანც ბეკენბაუერი ზეიმით კმაყოფილი დარჩა. "აქ, ჩრდილოეთში, საოცრად კარგი ხალხია. მათთან ყოფნას არაფერი ჯობს. მშვენიერი ზეიმი იყო", - განაცხადა გულაჩუყებულმა "კაიზერმა".

### ბარბარა ბეკერის დიდსულოვნება

ლონდონში უცნაური რამ მოხდა: ბორის ბეკერმა საბავშვო ვახშამი მოაწყო თავისი სამივე შვილისა და ყოფილი მეუღლისთვის. ლონდონის იტალიურ რესტორან "სან ლორენცოში" ბეკერის ორი შავთმიანი და შავთვალა და ერთიც თმა-წარბ-წამწამიანად ქერა მემკვიდრე შეიყარა ერთად. სამი წლის ანა, რუსი მოდელის, ანჟელა ერმაკოვას გოგონა, ბორისისა და ბარბარას გაყრის მიზეზი გახდა. როცა ბეკერი ერმაკოვას მახეში გაება, ბარბარა მეორე ბავშვზე იყო ორსულად და საავადმყოფოში იწვა. ბეკერისა და ერმაკოვას "ხუთწამიანმა" სექსმა ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ბარბარა ბეკერს დაშორდა და ფლორიდაში წავიდა. მართალია, მეუღლეზე გაბრაზებული იყო, მაგრამ ბავშვების ნახვა მისთვის არასოდეს დაუშლია. ის კი არა, პატარა ანაც კი გააცნო თავის შვილებს, რაც უნდა იყოს, ერმაკოვას გოგონა ხომ ბეკერის ბავშვების დაა.

ლონდონურ ვახშამს ანჟელა ერმაკოვა არ დასწრებია. მხოლოდ ბავშვები და ბორისი იყვნენ. უფროსები ისე ნაზად ექცეოდნენ ერთმანეთსაც და ბავშვებსაც, რომ ჟურნალისტებს ეჭვი გაუჩნდათ, ისევ შერიგებას ხომ არ აპირებენო, მაგრამ, როგორც ორივე მხარე ამტკიცებს, ეს შეუძლებელია. ბორისს 26 წლის მეგობარი ჰყავს - "ჰარლემთეატრის" მოცეკვავე კაროლინა, ბარბარა კი 30 წლის სტენთან ერთად დასეირნობს მაიამის ქუჩებში. მოკლედ, ორივე ანგაჟირებულია და ძველი ურთიერთობის აღდგენას არ აპირებენ. ოჯახი კი მაინც გაიზრადა - ახლა უკვე ხუთი სულისგან შედგება და, ალბათ, ამის შემდეგ უფრო ხშირად გამოჩნდებიან ერთად საზოგადოებაში...



"ბინული"

საშუალო სკოლა "ბინული" არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია მაღალზნეობრივი და ინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უწყვეტობას; სკოლაში ხორციელდება უცხო ენების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაღრმავებული სწავლება, რითაც ხდება ადრეული პროფილირება. სკოლა უზრუნველყოფს სწავლებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და ამაღლებისათვის, ხელს უწყობს დამოუკიდებელი და სამეცნიერო საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას.

სკოლა შედგება ორი ცენტრისაგან: სასწავლო მეთოდური ცენტრი და ბავშვთა აღზრდის ცენტრი.

სასწავლო მეთოდური ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

1. დაწყებითი ელემენტარული სკოლა (პირველი - მეექვსე კლასები)
2. ძირითადი (პროფილური) სკოლა (მეშვიდე - მეცხრე კლასები).
3. ლიცეუმი (უმაღლესზე ორიენტირებული სწავლება).

სკოლაში მოსწავლე მიიღება კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს მიმღები კომისია. კომისიის შემადგენლობაში პედაგოგებთან ერთად მონაწილეობს ფსიქოლოგი და ლოგოპედი.

სკოლაში ჩარიცხვის დროს ყურადღება ექცევა მოსწავლის მზაობას ინტენსიური ინტელექტუალური საქმიანობისათვის.

2003-2004 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს I-IV კლასებში.

**მისამართი:** დიღმის მასივი, III კვარტალი. 147-ე საშუალო სკოლის შენობა, საერო სკოლა "ბინული". ტელ: 52-98-84.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61




# აფიშა

## თეატრები

**ახმეტელის თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ

## საგამოფენო დარბაზები

**TMS**
დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**„ქარვასლა"**
პოლონური პლაკატის გამოფენა
მხატვრულად დამუშავებული ცივი იარაღის გამოფენა

**N გალერეა**
პეტრე ბლიოტკინის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

**„კავკასიური სახლი"**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი"**
"მატრიცა 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
18:00; 22:00 სთ; ფასი 7,8
"მდევარი"
დას: 20:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო"**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00 სთ; ფასი
"X მენი 2"
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

**კინოს სახლი**
ფრანგულ-გერმანული ფილმების დღეები
"შარლოტე ს.", რეჟ. ფრანს ვაისცი
დას: 16:00 სთ. (ორიგინალური ვერსია)
"მორიტური", რეჟ. ეუგენ იორკი
დას: 19:00 სთ. (ქართულ ენაზე)

# TV პროგრამა 19 ივნისი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა"
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე"
11.10 სერიალი „კომისარი მონტალბანო"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 სერიალი „შავი ზეცა"
22.50 ღამის კურიერი
00.10 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში"
00.40 მხ. ფილმი „შავი ანგელოზი" მთ. რ-ში: ანა გალიერა, გაბრიელ გარკო.
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი"
10.10 მხ. ფილმი „თავდაცვა"
11.45 დოკ. სერიალი „ეგზოტიკური ცხოველები"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 დოკ. სერიალი „ტექნოპოლისი" 1-ლი ს.
15.15 მხ. ფილმი „ჟია-მაია"
16.40 პალიტრა
17.10 რამპა
17.15 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.30 დოკ. სერიალი „ქვეყანა, ქვეყნები"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 ჯანმრთელობა
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
22.00 დოკ. ფილმი „თბილისის ჯაზ-ფესტივალი". პრემიერა.
22.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება ?!"
23.55 მხ. ფილმი „ცა ჩამოიქცა".

## პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „კ-911" მთ.რ-ში ჯეიმს ბელუში.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 „ბრავო"„სატელეფონო ჯიხური" მთ. რ-ში კოლინ ფარელი.
02.00 „ღამურა" „როგორი გინდივარ?" მთ. რ-ში ვინსენ კასელი.
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.40 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 მხ. ფილმი „საღამოს შუქი"

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „შიშველი პისტოლეტი 3"
13.30 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული"
15.00 მხ.ფილმი „მუმია"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „საქმის გარჩევები პატარა ტოკიოში"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „მამაცი გული"

## იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ორეული"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „დიადი მერილინი" 1-ლი ნ.
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.45 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.40 მხ. ფილმი „კუზიანი"
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.)
22.15, 23.00 დიალოგი
00.05 მხ.ფ. „დიადი მერილინი" მე-2ნ.
01.55 მუსიკა

## მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა"
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.30 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი"
11.00 სერიალი „მოჯადოება"
11.50 კლასიკა
12.15 მხ. ფილმი „ცალთვალა მეფე"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „ევროპის სტადიონებზე"
15.15, 18.50, 19.50 მუსიკა
15.30 სერიალი „სირინოზები"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
17.50 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები"-ამირანი.
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი"
19.00 სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ქართული ფეხბურთი"
21.15 სერიალი „სირინოზები"
22.00 გადაცემა „ყვითელი კვადრატი".
22.25 მოკლ. მხ. ფილმი „ფრთაშესხმული" (აშშ)
23.00 „ცხელი ცხრიანი"
23.40 „ტელემეტრი"
00.20 რუს. მხ. ფილმი „დათვის ნაკვალევი".

## იმედი

08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.05, 13.15, 17.20, 23.55 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი"
10.30 არტ-ბულვარი
11.00 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის"
12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო"
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა"
15.15 ფანების კინოკლუბი „სხვები"
17.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა"
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო"
20.30 სპ. პროგრამა „ესტაფეტა"
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა"
23.00 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი"
00.05 კინოვარსკვლავთა ღამე „წმინდა წელიწადი"

## აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ჰაერის მეფე"
10.45, 15.45 მუსიკა
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.10 კომედია „ტაქსი-2"
13.35 „მზე აქ შემიჩერებია"
13.45 თრილერი „კერკეტი კაკალი"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი
17.10 ისტორიული ფილმი „300 სპარტანელი"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.30 „პირისპირ"
20.20, 02.45, 03.20 მუსიკა
20.35 კომედია „ტაქსი-3"
22.40 კომედია „არგენტინელი ნიუ-ორკში"
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 მხატვრული ფილმი „ქუხილის დღეები"
03.50 დრამა „დღის მიწურულს"

## VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 მობილურები
10.35 მელოდია
11.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.30 „ბიორითმი" - .
11.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.25 დისნეი და მისი მეგობრები
12.45 კომპიუტერული თამაშები
13.05 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 კომპიუტერული თამაშები
20.35 ღამის კაპრიზი" - თემა: „ „.
21.25 მობილურები
22.20 „კინოკლუბი „ - „კომეტის წელი". კომედია.რეჟ: პიტერ იიტსი. მთ.როლში: პენელოპა ენ მილერი
23.45აუდიო-ვიდეო-ტელე
00.05 „ბიორითმი" - .
00.25 კომპიუტერული ტექნიკა

## ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Худ.фильм „Сердца трех", 3 с.
12.05 „Смехопанорама"
12.35 Дисней-клуб: „Базз и его команда"
13.15 Худ.фильм „Фронт за линией фронта", 2 с.
15.00 „Подводный мир А.Макаревича"
15.30 „Сканер"
16.20 Док.сериал „Дикие штучки"
16.55 Комедия „Фаталисты", 3 с.
18.00 „Большая стирка"
19.30 „Сами с усами"
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Пятый угол"
23.45 „Человек и закон"
01.00 „Крылья". „Высший пилотаж"
01.30 „Гении и злодеи"
02.00 „Апология"
03.15 Сериал „Тысячелетие"

## РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Сериал „Главные роли"
10.40 Детектив „Марш Турецкого"
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Худ.фильм „Мятеж на „Баунти"
14.15 „Экспертиза"
14.30 „Вся Россия"
14.45 Вести - Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Московские окна"
17.10 Всероссийский конкурс „Мой дом. Мой город. Моя страна", ч.3
18.20, 20.50 Дежурная часть
18.50, 02.55 „Дорожный патруль"
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал „Главные роли"
22.55 Детектив „Марш Турецкого"
00.20 Драма „Виновен по подозрению"
02.25 „Синемания"
03.15 Сериал „Сеть"
04.05 Сериал „Дживс и Вустер"

## НТВ

07.00 Утро на НТВ
09.45 Сериал „Дальнобойщики".
11.00 „Сегодня утром"
11.25 „Чистосердечное признание"
12.00 „Квартирный вопрос. Кабинет водителя трамвая"
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.25 „Сегодня"
13.30 „Страна Советов"
14.30 Сериал „Курортный роман"
16.35 „Принцип „Домино". „Соседи: друзья или враги?"
18.30 Сериал „Скорая помощь"
19.25 „Очная ставка". „Помолвка со смертью"
20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей"
21.45 Сериал „Дальнобойщики".
23.00 „Страна и мир"
23.30 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей"
01.45 „Гордон"
02.45 Сериал „Доктор"
03.35 „Кома"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*


## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.**

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**




## მანქანები

იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.

**სასწრაფოდ!**
**იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები.**
**ფასი: 13 500$**
**ტელ: 899 182227**

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.




შევასწავლი გერმანულ ენას. 32-03-71, 899 298805.

## სხვადასხვა

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტრო-სადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**






# ჟურნალის ფურცლების მოდა

## "ნუსხომანია"



*ჟურნალ "Body & Soul" ერთ ნომერში ორი ნუსხა აქვს*

როგორც ჩანს, მოდურობის ამბიცია ჰაერში ვირუსის სახით გავრცელდა და საგრძნობლად გასცდა თავად მოდის საზღვრებსაც. ახლა ახალი სტილის ჩამოყალიბებაზე პრეტენზიას ჟურნალ-გაზეთებიც გამოთქვამენ და ცდილობენ, დაადგინონ, რა არის ყველაზე მოდური ჟურნალისტური ჟანრი. როგორც ირკვევა, ბოლო დროს ძალიან მოძველებულა ისეთი კლასიკური ჟანრები, როგორიც ნარკვევი, ესსე და რეპორტაჟია და მათ ნაცვლად აღზევებულა ყველაზე მარტივი და ყველაზე შეუმჩნეველი ჟანრი – სია, რომელსაც ბევრი ჟანრად არც ახლა ჩათვლის. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამერიკულ ჟურნალებში ყველაზე ჭარბად სწორედ ჩამონათვალებს ვხვდებით. ისინი უდიდესი პოპულარობითაც სარგებლობენ. გადაავლეთ თვალი ამ ერთ-ერთ ბოლო საგაზეთო სტენდს და თავადაც დარწმუნდებით:

ჟურნალ Glamour-ის გარეკანი: "8 შესანიშნავი პერიოდი, რომელიც წყვილს შეიძლება ჰქონდეს".

Men's Journal-ი: "45 საუკეთესო ბარი"

Jane-ი: "378 რამ, რაც ვარსკვლავებს აგიჟებს"

და ასე, უსასრულოდ. მართალია, გასართობი ხასიათის ნუსხა საჟურნალო ფორმატის ტრადიციული ნაწილი ყოველთვის იყო, მაგრამ ბოლო დროს სიტუაცია, უბრალოდ, უმართავი გახდა. აპრილში როკ-ჟურნალმა "სფინ" მხოლოდ ნუსხების ნომერი გამოუშვა – "საუკეთესოებით", "სექსუალურებით", "უმდიდრესებით", "უძლიერესებით" და ა.შ. სავსე იყო საკმაოდ სქელი გამოცემა. სიების ეს სენი ლიტერატურულ პერიოდიკაზეც კი გავრცელდა. ამ თვის ლიტერატურული ჟურნალი "ბუქ" ორ საკმაოდ გრძელ ჩამონათვალს შეიცავს: "მხატვრული ლიტერატურის ასი საუკეთესო პერსონაჟი" და "50 საუკეთესო სათავგადასავლო წიგნი".

მეტიც, ნუსხომანია შეეყარა ისეთ სოლიდურ გამოცემასაც, როგორიც "თაიმია". ჟურნალი, რომელიც ყოველთვის მაღლა იდგა ასეთ წვრილ-წვრილ და მარტივ ჟანრობრივ გატაცებებზე და, პირიქით, იქით აძლევდა ყველას ტონს, ახლა თავადაც აქვეყნებს სიებს. მაგალითად, ერთ-ერთ ბოლო ნომერში "თაიმი" გვთავაზობს ასეთ ჩამონათვალს: "9 ყველაზე სახიფათო ავტორბოლა" – კინოს ისტორიიდან.

რაც მთავარია, სულ უფრო იზრდება ციფრები: Harper's Bazaar-ი 685 ახალი იმიჯს გვთავაზობს, Marie Claire-ი 725 სექსუალურ აღმოჩენას, ხოლო მხოლოდ ვაჭრობაზე ორიენტირებული ჟურნალი Lucky ორივე გამოცემის რეკორდს ხსნის და აქვეყნებს 5.279 საჩუქრისა და პრიზის სიას.

რა თქმა უნდა, არის ბევრი მიზეზი იმისთვის, რომ მოდაში მძლავრად გაიდგას ფესვები სიებმა. აი, ხუთი პუნქტისგან შემდგარი ნუსხა, რომელიც გვაგებინებს თუ რატომ არის ნუსხები პოპულარული:

ნუსხა არის უიოლესი გზა ინფორმაციის ორგანიზებისთვის ისე, რომ მკითხველმა ბევრი არ იფიქროს.

ჟურნალების რედაქტორებს ეზარებათ ფიქრი და ამიტომ ვერც საკითხს უდგებიან შემოქმედებითად.

რედაქტორებს ჰგონიათ, რომ მათ ჟურნალებს ჰყავთ ზარმაცი მკითხველი, რომელთაც არ შეუძლიათ რაიმე უფრო მნიშვნელოვანის კითხვა, ვიდრე სიაა.

ჟურნალების მკითხველები, მართლაც, არიან ძალიან ზარმაცები იმისთვის, რომ რაიმე უფრო მნიშვნელოვანი იკითხონ.

დევიდ ლეტერმანის საუკეთესო ათეულებმა ყველას აურია გონება.

აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნუსხები ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად სულელურია. თუმცა, გვხვდება ნახევრად სულელური და ზე-სულელური სიებიც, რომლებიც "გენიოსობის" ზღვარსაც უახლოვდება. განსხვავებას მათ შორის მხოლოდ ექსპერტი ამჩნევს.

ექსპერტობას იჩემებს ჟურნალი Reader-ი და აქვეყნებს "11 საუკეთესო, უარესი და უაზრო საჟურნალო სიების ჩამონათვალს, რომელთაც ერთი თვალის გადავლებით პრესაში წავაწყდით". აი, ამ ნუსხის შემოკლებული ვარიანტიც:

"45 საახალწლო პირობა, რომელიც არ შეასრულეთ" (Ramp, 2003 წლის მარტი)

ამ ჩამონათვალში მეცხრე ადგილზე ასეთი პირობაა გასული: "მექნება ახალი ჰობი ტელევიზორთან ჯდომის და სმის გარდა". მეათე ნომრად კი – ასეთი: "აბაზანას მანამ გავასუფთავებ, სანამ ის ძალიან არ გაჭუჭყიანდება". ახლა თავად განსაჯეთ, რა კატეგორიის მკითხველი ყიდულობს ჟურნალ Ramp-ს.

"15 სექსუალური რამ, რასაც ქალები გაუთვითცნობიერებლად სჩადიან" (Glamour-ი, 2003 წლის ივლისი)

ამ სიაში გაერთიანებულია გამოკითხვაში მონაწილე მამაკაცების პასუხები კითხვაზე: "რა არის ყველაზე სექსუალური რამ, რაც ქალს ყოველთვის უნდა ჰქონდეს". რაც მთავარია, არის მხოლოდ 14 პასუხი და მათგან ორი აშკარად იდენტურია. რა ხდება, Glamour-ის რედაქტორებს არითმეტიკული დაანგარიშებაც დაავიწყდათ?

"მაქსიმ ცხელი 100" (Maxim, 2003 წლის ივნისი)

ეს ასეული ამდენივე ულამაზესი ქალის სახელს აერთიანებს. სიას თან ახლავს თითოეული ქალის ფოტო, რომელზეც ლამაზმანებს ძალიან ხალვათად აცვიათ. ამიტომაც ეს ნუსხა შთაბეჭდილებას, მართლაც, ახდენს, განსაკუთრებით კი, მამაკაც მკითხველზე.

"ასი მიზეზი დაბიას (აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მეტსახელი) შესაძულებლად" (Heeb: ახალი ებრაული რევიუ, 2003 წლის გაზაფხული)

უნდა ითქვას, რომ ეს ნუსხაც კი არ არის. ამ მასალაში გაერთიანებულია ებრაელების შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სარგებლობა მოაქვს ბუშს მათი დიასპორისთვის, ან მოაქვს კი სარგებელი, საერთოდ?

10. "მაქსიმალური სიების ნომერი" (Spin, 2003 წლის აპრილი)

ჟურნალ Spin-ის ეს ნომერი პირდაპირ სიზმრის ახდენაა სიებზე შეყვარებულთათვის. გამოცემა გვთავაზობს: საუკეთესო ასეულებს სექსის, ნარკოტიკის და როკ-ენ-როლის დარგებში და ხშირად ამგვარ "ფასეულ" ინფორმაციასაც გვაწვდის: "7 როკ-ვარსკვლავი, რომელთაც ცუდი კბილები აქვთ", ანდა ასეთს: "ექვსი რამ, რაც ელვისის მუცელში მისი გარდაცვალების დროს იპოვეს"... რაც ყველაზე საინტერესოა, ამ სიებისადმი მიძღვნილი ნომრის შემდეგ ჟურნალის ახალ ნომერშიც ნუსხებს უხვად ვაწყდებით. მაგალითად, ივნისის თვის გარეკანზე, მოწინავე მასალად ასეთი სათაურია გამოტანილი: "75 ყველაზე სუსტი პერიოდი როკში".

ასე რომ, სია მართლაც ყველაზე პოპულარულ საჟურნალო ჟანრად რჩება. რაც ყველაზე "სასიხარულოა", საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ასე – სიების პრინციპით ვიცხოვრებთ მომავალშიც: ჟურნალი New Witch-ი გვპირდება, რომ საშემოდგომო გამოშვებაში მოწინავედ ამგვარ მასალას გამოაქვეყნებს: "წარმართული საუნივერსიტეტო ცენტრების საუკეთესო ათეული".

მოკლედ, ცხოვრება ბედნიერად გრძელდება "საუკეთესოთა", "სექსუალურთა", "წარმართთა" და ა.შ. აბსოლუტურად სულელური, ნახევრად სულელური და ზე-სულელური სიების თანხლებით.

# რა იქნებოდა ოდრი ჰეპბერნი უსათვალოდ

## სტილი-2003

ჯერ, ლირიკული შესავლის სახით, ერთი უსიამო ამბავი უნდა ვამცნოთ "ჯემიროქუაის" ფანებს: როგორც ახლახან გაირკვა, მომღერალ ჯეი ქეის კომპანია არ აპირებს მოდის საერთაშორისო ბაზრისთვის ქუდების ახალი ხაზის შექმნას. არადა, რამდენიმე ხნის წინ ამტკიცებდნენ, რომ ორიგინალური ქუდების მოყვარული მომღერალი სხვადასხვა სტილის თავსაბურავებს მასობრივი მოხმარებისთვისაც შექმნიდა. ეს ინფორმაცია არავის გაკვირვებია. დიზაინერად ქცეული შოუმენების სია ხომ ვრცელია და ის აერთიანებს ფავ დედის, ჯენიფერ ლოპესს, "ეთომიქ ქითენსსა" თუ ლენი კრავიცს. თუმცა, ჯეიმ განაცხადა, რომ ეს ჭორია და ის მოდის სფეროში გადასვლას არ აპირებს...

სამაგიეროდ მოდაში უკვე დამკვიდრებული დიზაინერები ქმნიან ახალ-ახალ სტილს და არა მარტო ქუდების, სათვალეების სფეროშიც. მართალია, ბევრი ვერ ახერხებს ყოველ სეზონზე ახალი სათვალე შეიძინოს, მაგრამ ფაქტია, რომ მას, კარგი ფეხსაცმლისა და მდიდრული ხელჩანთის მსგავსად, შესანიშნავად გამოსდის ჩვეულებრივი და მოძველებული ჩაცმულობის განახლებაც კი.

გაიხსენეთ 70-იანი წლები და პაპარაცების წინ ამაყად მოსეირნე ჯეკი ონასისი, რომელსაც ჯინსი და მაისური აცვია და შავი ფერის უზარმაზარი მზის სათვალე უკეთია; ანდა, გაიხსენეთ ოდრი ჰეპბერნი თავის პატარა, შავ კაბაში, ყელზე – "ტიფანის" მარგალიტებით, ხელში სიგარეტითა და თავისი ტრადიციული დიდი მზის სათვალით. – ამ ორივე ულამაზეს ქალბატონს უნიკალურ, ყველასგან გამორჩეულ იმიჯს სწორედ კარგად შერჩეული სათვალე უქმნიდა. ეს ის ატრიბუტია, რომელიც ყოვლად უბრალო ადამიანს გარკვეულ სტილს ანიჭებს.

სწორედ ამ სტილის განახლებაზე მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში მაღალი მოდის დიზაინერები. ხანდახან მუშაობის პროცესი ისე იტაცებთ, რომ შემდეგ მოდის ჟურნალისტები წუწუნებენ: "დიზაინერების გემოვნება ისე ხშირად იცვლება, როგორც ბრიტანული ამინდიო". მართლაც, ისინი ყოველ ახალ სეზონზე რაღაც ახალს გვთავაზობენ. საზაფხულოდ კი უმთავრეს სიახლეს რეტროს (უფრო ზუსტად კი, 70-იანი წლების) სტილში გადაწყვეტილი დიდი ზომის ჩარჩოები ქმნის.


*ზევიდან ქვევით: "დიორის", Diesel-ის და ისევ დიორის ახალი სათვალეები*


*Miss Sixty, Topshop და "ივ სენ ლორანი"*


*"მონ ბლანი", "ვალენტინო" და "დოლჩე&გაბანა"*

წელს სათვალეების პირველ კოლექციას წარმოადგენს Costume National-ი. მისი პროდუქცია შავი და მელნისფერი უზარმაზარი ჩარჩოებით გამოირჩევა. ეს დახვეწილი სტილის სათვალეები ზედგამოჭრილია მათთვის, ვისაც იდუმალი, გასაიდუმლოებული იმიჯის შექმნა უნდა.

დიდი ზომის ჩარჩოებითაა სავსე "ივ სენ ლორანის" ახალი კოლექციაც. ყველაზე ლამაზი ღია ყავისფერია და მათი ფასი ლონდონში 110 გირვანქა სტერლინგია.

წელს ძალიან პოპულარულია ოთხკუთხა ჩარჩოებიც, რომლებიც ყველაზე უკეთ მრგვალ სახეებს უხდება. საზაფხულოდ სწორედ ასეთი სტილის სათვალეებს გვთავაზობენ: კრისტიან დიორი, თავისი ფუტურისტული ოთხკუთა ტიპის ჩარჩოებითა და ვარდისფერი მინით (165 გირვანქა სტერლინგი); "მონ ბლანი" – კუს ბაქანის ასოციაციითა და ოდრი ჰეპბერნის ჩარჩოს მიბაძვით (109 გირვანქა სტერლინგი); და ვალენტინო – ოთხკუთხა ჩარჩოს უფრო სტანდარტული ვერსიით – შავ-თეთრში (90 გირვანქა სტერლინგი).

თუმცა, ამ ახალ სპექტრს შორის ყველაზე ახალგაზრდული სტილის სათვალეები მაინც "დოლჩე & გაბანას" კოლექციაში მოიძებნება – ზღვისფერი, უჩარჩოო, ე.წ. ავიატორის სათვალე (99 გირვანქა სტერლინგი) და Chloe-ს იგივე სტილის სათვალე, ოღონდ ღია ნაცრისფერში (103 გირვანქა სტერლინგი).

რაც შეეხება საკითხისადმი შემოქმედებით მიდგომას, სწორედ ამ კუთხით გამოირჩევა Diesel-ის სათვალე – ოვალური ჩარჩოთი, რომელსაც ზოლებად დაჰყვება ლურჯი, წითელი და შავი ფერი, ყური კი მოლურჯო-მოთეთრო აქვს (55 გირვანქა სტერლინგი).

ერთი სიტყვით, მაღალი მოდის დიზაინერები უიდეობას არც სათვალეების განხრით უჩივიან და განსაკუთრებული, ერთადერთის იმიჯის შესაქმნელად ახალ-ახალი იდეებით 2003 წლის ზაფხულისთვისაც გვამარაგებენ. უნიკალური სტილის შექმნა კი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

# რა არის მოდაში ახალი

თუ ჯერ არ შეგინიშნავთ, გაცნობებთ, რომ საზაფხულოდ მოდაში დაბრუნდა ყველაფერი ფერადი. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ კაბეზე მიმობნეულ დიდ ყვავილებს, ჰავაურ აპლიკაციებს ანდა სქელ-სქელ ზოლებს.

ჩვენ ვსაუბრობთ მყვირალა ვარდისფერზე, ცეცხლოვან ნარინჯისფერსა და მკვეთრ ლურჯზე, რომლებიც დიდ-დიდი ლაქებივით ემჩნევა სამოსს და რომელთა არშემჩნევაც შეუძლებელია.

ასე რომ, გარდერობის სიღრმეში გადამალეთ ყველაფერი შავი. ახლა ფერადი ნივთების დროა და გადახედეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ რამდენიმე იდეას ახალი, ფერადი ცხოვრების დასაწყებად:

**სათვალე:** შესაძლოა, სულ ახლო წარსულში გერჩივნათ, სახეზე სადა და შავი ფერის სათვალე მოგერგოთ, რადგან მაშინ მთავარი იყო სისადავე. ახლა კი თქვენი სათვალით "ეპოქალური" განაცხადი უნდა გააკეთოთ, ამიტომ სხვადასხვა სტილის აღრევა ბუნებრივი და აუცილებელიც კია. მაგალითად, "ნაიქი"-ს ახალი "სქაილონ პრო"-ს სათვალეებს რეზინის თანამედროვე ყურთან ერთად, ცხვირის ხიდზე ვენტილატორიც აქვს ჩადგმული – ზაფხულის პაპანაქებაში რომ არ შეგაწუხოთ. რაც მთავარია, "ნაიქი" ამ მოდელს ექვს ფერში აწარმოებს, მათ შორის არის მყვირალა წითელიც და ნარინჯისფერიც. სათვალე 150 დოლარი ღირს.




*ფერადოვნების მაგალითს ნიკოლ კიდმანი და ჯოდი კიდი გვაძლევენ*

**დრო:** გახსოვთ, ალბათ, საშუალო ფენის მოსახლეობაში "სვოჩი"-ს საათების შეგროვება რომ იყო ყველაზე მოდური ჰობი. ახლა "სვოჩს" მასობრივ გემოვნებაში "ჰოთ ქისი" ცვლის, თავისი წყალგაუმტარი და ფერადი საათებით, რომელთაც სასაცილო, ჭრელა-ჭრულა სამაჯურები ამშვენებთ. საათები 30-40 დოლარი ღირს და იყიდება ვარდისფერსა და ლურჯ ფერებში.

**თითები:** 2003 წლის საზაფხულო მოდაში მანიკური სოციალური რეკლამის ფუნქციასაც ითავსებს: კომპანია "ფოლიშ სმართის" 12 სხვადასხვა ფერის ლაქს თან ახლავს წერილობითი განმარტება, თუ როგორი კარიერის მქონე ქალს მოუხდება ესა თუ ის ფერი. მაგალითად, ახალი ამბების რეპორტიორებისთვის ბრჭყვიალა სპილენძისფერი ლაქი ისხმება, არქიტექტორებისთვის – მყვირალა ნარინჯისფერი, მოდელებისთვის კი – მხიარული ვარდისფერი... მანიკურის კარიერის მიხედვით დაყოფით კი, მწარმოებლები თინეიჯერთა მშობიარობის შემთხვევების შემცირებასაც ცდილობენ. კომპანიის მესიჯი, დაახლოებით, ასე გაისმის: "ხედავთ, რამდენი სახის კარიერა შეიძლება გაიკეთოთ, თუ ბავშვის გაჩენაზე თინეიჯერობის ასაკიდანვე არ იფიქრებთ?".

**სურნელი:** საზაფხულო არომატებს შორის სასწრაფოდ დაირქვა მოდურის სტატუსი ოსკარ დე ლა რენტას ახალმა სუნამომ "ოსქარ ლეითინ ნაით", რომელიც გაზავებულია ყვავილებისა და მწიფე ფორთოხლის ვნებიანი სურნელით. სუნამო, რომელიც 38-46 დოლარი ღირს, ტროპიკული საღამოების ასოციაციას იწვევს. ზაფხულში კი ტროპიკებს და თბილ ზღვას აბა, რა ჯობია.

**ჩანთა:** ეს ახალი ფერადი მიმდინარეობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გემოვნებიან და დახვეწილ ჩანთებზე უნდა თქვათ უარი. BVLGARI-ის ახალი ხელჩანთა "გეომეტრიკა" სწორედ ასეთია – მაღალი კლასის, მდიდარი ქალბატონისთვის, რომელსაც მოდაში მომხდარი ცვლილებების შესახებაც გაეგება რაღაც. ამაზე კი პატარა ჩანთის ფერი მეტყველებს – წითელი, ლურჯი და ნარინჯისფერი. BVLGARI-ის ეს ნაწარმი 630-800 დოლარი ღირს.

## კალეიდოსკოპი

### ნიკოლ კიდმანის შესაძლო გარიგება

არც Chanel-ი უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ ნიკოლ კიდმანი შესაძლოა, მისი კოსმეტიკისა და სუნამოების ხაზის ახალი სახე გახდეს. "ოსკაროსანი" ქალბატონი ხომ რამდენიმე ხნის წინ ნიუ იორკში გამართულ ცერემონიალზე მოდის კერპადაც აღიარეს. ჰოდა, ამიტომ ხმები მისი ახალი კონტრაქტის შესახებ ბევრს ეჭვგარეშეც ეჩვენება. ზოგიერთი გაზეთი ასახელებს ციფრსაც და აცხადებს რომ Chanel-ი ნიკოლს 5 მილიონ დოლარს გადაუხდის, თან ექსკლუზიურად საკუთარი ტანსაცმლითაც შემოსავს. მით უმეტეს, რომ მის სამოსში ნიკოლი უკვე თავს კომფორტულად გრძნობს: მსახიობი "ოსკარის" ცერემონიალზე სწორედ Chanel-ის ელეგანტური შავი კაბით გამოცხადდა.

### მოდა ლენისგან, მანქანა დიდისგან

წარმატებულმა მუსიკოსმა ლენი კრავიცმა ახლახან გადაწყიტა, ბედი მოდის სფეროშიც სცადოს. ის უკვე დაუკავშირდა მარვინ ტრაუბს – საცალო ვაჭრობის ამერიკელ დიდოსტატს და თავისი სურვილებიც გაანდო. რეპერ ფი დიდის წარმატებული კოლექციის შემდეგ, რომელიც Sean John-ის სამარკო ნიშნით გამოდის, გასაკვირი არც კრავიცის გადიზაინერება იქნება. მით უმეტეს, ის უკვე აფიქსირებს თავის ახალ ინტერესს და ხან Victoria's Secret-ის კოლექციის ჩვენებაზე ცხადდება და ხანაც მოდის ჯილდოების გადაცემის ამერიკულ ცერემონიალს ესწრება.

ამასობაში თავად ფი დიდი ახალ საქმეს იწყებს. თუ აქამდე ის მუსიკალურ ჩანაწერებს, ტანსაცმელს, გამაგრილებელ სასმელს და კომპიუტერულ თამაშებს უშვებდა, ახლა მანქანებზეც გადავიდა. ის უკვე დაუკავშირდა კომპანია "ლინკოლნს" და შეზღუდული რაოდენობით "Sean John ნავიგატორის" წარმოება შესთავაზა. სულ გამოვა ათი ავტომობილი და თითოეულის ფასი 85 ათასი დოლარი იქნება. ბუნებრივია, ისინი ფი დიდის ფერებსა და სტილში იქნება გადაწყვეტილი. თითოეულ მანქანას ექნება ექსკლუზიური – Sean John-ის ბორბლები, პლატინით მოვარაყებული ემბლემა, ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებული დაბურული მინის ფანჯრები და შავი ქრომისგან ჩამოსხმული დეტალები.

რაც შეეხება სალონს, ის აღჭურვილი იქნება Pioneer Permier-ის აუდიო სისტემით, სატელიტური რადიოთი, სამი DVD-პლეერით, ექვსი ტელე-მონიტორით, Playstation 2-ით და ემბლემებიანი ტყავის სავარძლებით. სალონის წინა ნაწილში, მძღოლისა და მის გვერდით მდებარე სავარძლების მართვა კი პულტით იქნება შესაძლებელი, ანუ – სურვილისემბრ გახდება ვიბრაციული და ცხელიც. ფი დიდის მანქანები, როგორც უკვე გითხარით, შეზღუდული რაოდენობით 1 ივლისიდან გაიყიდება.

### მოდის უმდიდრესი საქმიანი ქალი

ამ ტიტულს "ბარბერის" აღმასრულებელი დირექტორი, 52 წლის როუზ მარი ბრავო ფლობს. როდესაც გადაითვალეს, აღმოჩნდა, რომ შარშან მისმა ხელფასმა, პრემიებმა, წილებმა და საპენსიოდ გადადებულმა თანხამ სულ 19 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ბრავო "ბარბერიში" "საქსიდან", ნიუ იორკის მეხუთე ავენიუდან გადავიდა. მისი ოფიციალური ხელფასი შარშან 6.2 მილიონი გირვანქა სტერლინგი იყო, ამას დაემატა 12.6 მილიონი წილებიდანაც. მართალია, ამ თანხას ის 2005 წლამდე ვერ ახლებს ხელს, მაგრამ პლუსი ის არის, რომ ამ დრომდე ფული კიდევ უფრო გაბევრდება.

### დღეს ხუთშაბათს, 19 ივნისს


1953 წელს აშშ-ს აგენტები ეთელ და ჯულიუს როზენბერგები ელექტრო სკამზე დასაჯეს სიკვდილით.

1790 წელს: საფრანგეთში გააუქმეს ტიტულების მემკვიდრეობით გადაცემა.

1910 წელს: გააკეთეს პირველი ცეპელინის საჰაერო ხომალდი, "დოიჩლენდი".

1970 წელს: კოსმოსში 17-დღიანი, სარეკორდო დროის, ყოფნის შემდეგ საბჭოთა საჰაერო ხომალდი "სოიუზ-9" დედამიწის ორბიტაზე მშვიდობიანად დაეშვა.

1999 წელს: დედოფალ ელიზაბეტის უმცროსი ვაჟი, პრინცი ედუარდი ხანგრძლივი რომანის შემდეგ სოფი რაის-ჯონსზე დაქორწინდა.

2000 წელს: აშშ-მ გააუქმა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული რამდენიმე ეკონომიკური სანქცია, მაგრამ განაცხადა, რომ არ აპირებს სამხრეთ კორეის ტერიტორიიდან 37 ათასიანი ჯარის გამოყვანას.

© GRAPHIC NEWS

გვერდი მომზადებულია "ლოს ანჯელეს თაიმსისა" და "ვაშინგტონ პოსტის" საინფორმაციო სამსახურის, "დეილი ტელეგრაფისა" და "ვოგის" მიხედვით.

## სუპერმოდელი ჩხუბობს


ნაომი კემპბელი

მუშტის ქნევის სიყვარულში მამაკაცებს არც მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ჩამორჩებიან, თან არამარტო სამზარეულოსა და სადარბაზოში, არამედ რინგზეც. ამ მოდურ "გასართობს" სუპერმოდელი ნაომი კემპბელიც გაუტაცია.

"შავი ავაზა", რომელიც ისედაც თავის ფეთქებადი ხასიათითა და გაცოფების არნახული უნარითაა ცნობილი, ამჟამად აგრესისასთან ბრძოლას კრივის დახმარებით ცდილობს. ის ისედაც მკურნალობს - არიზონას კერძო კლინიკაში საგანგებო კურსს გადის, მაგრამ, როგორც ჩანს, მკურნალობას დიდი შედეგები ჯერ არ გამოუღია.

გასული წლის თებერვალში ნაომი ტორონტოს სასამართლოს წინაშე წარდგა იმის გამო, რომ თავის მდივანი, ჯორჯინა გალანისი კინაღამ ცემით მოკლა: ახრჩობდა, მობილურ ტელეფონს და მუშტებს ურტყამდა და თმით ითრევდა. მშვენიერი ნაომი ციხეს მხოლოდ იმის წყალობით გადარჩა, რომ დიდძალი ფული გადაიხადა და აგრესიისგან მკურნალობის კურსი გაიარა - მრავალი საათის განმავლობაში ძალადობის სცენებით სავსე ფილმები აყურებინეს.

ამჯერად მის კემპბელი დევიდ პოლის მოკრივეთა კლუბში ვარჯიშობს. ბატონი პოლი დარწმუნებულია, რომ ნაომი მშვენიერი მოკრივე დადგებოდა. მარჯვენა დარტყმა შესანიშნავი ჰქონია, ფეხებიც ხელს უწყობს. გარდა ამისა, მაღალი ქალია, და ქალთა კრივში ნაომი კემპბელი დიდებული კარიერის გაკეთებას შეძლებდა.

"ნაომის რეპუტაცია ჩინებულად ვიცი," ამბობს პოლი, "მაგრამ ჩემს დარბაზში ის სულ სხვა ქალი დგება. დიდებული კონცენტრაციის უნარი აქვს, და ყველა ჩემს განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებს".

ერთადერთი, რის გამოც სუპერმოდელი ბრწყინვალე სპორტსმენი ვერ გახდება, გარეგნობაზე ზრუნვაა. ხელის დაშავება ან თვალის ჩალურჯება მისთვის, მისი პროფესიის გადამკიდე, სრული კატასტროფა იქნებოდა, ცხვირის გატეხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ტელეინტერვიუში ნაომიმ განაცხადა, რომ სტრეტამში, ლონდონის სამხრეთ უბანში, მას მძიმე ბავშვობა ჰქონდა, რომელმაც გარკვეული დეფექტები დაუტოვა, რის გამოც ის ქალებს სიტყვიერად და ფიზიკურად თავს ესხმის ხოლმე. მაგრამ, მისი თქმით, ეს ნაკლები მან უკვე გამოასწორა.

არავინ იცის, შეძლებს თუ არა კრივი ნაომის ცოფიანობის გამოსწორებას. ერთი ისაა, რომ შავკანიანი ლამაზმანის გაბრაზებას ამიერიდან უკვე მოერიდებიან - ყველამ გაიგო, რომ ნაომის ძლიერი მარჯვენა ჰქონია.

## ემას ომი სუდანში


ნიკოლ კიდმანი

ნიკოლ კიდმანი შორეულ და საინტერესო მოგზაურობას იწყებს. რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი Emma's War: An Aid Worker, a Warlord, Radical Islam, and the Politics of Oil ახალგაზრდა ინგლისელი ქალის ცხოვრების ამბავს გვიამბობს, რომელიც სუდანში მოღვაწეობს და რომელსაც სამოქალაქო ომის დროს დიდი სიყვარული ეწვია.

“ჰოლივუდ რეპორტერის” თანახმად, ტონი სკოტის ამ ფილმში ნიკოლ კიდმანი მთავარ როლს შეასრულებს. ფილმის გადაღების უფლება სტუდია 20th Century Fox-მა მოიპოვა. ჯერჯერობით გადაღებების დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ ისე თუ ასე, ვიცით, რომ ფილმზე მუშაობა ზაფხულში დაიწყება.




## სტრადივარიუსის დაბრუნება


სტრადივარიუსის ვიოლინო

600 ათას კანადურ დოლარად შეფასებული სტრადივარიუსის ვიოლინო გასულ კვირას ვანკუვერში, ერთი მუსიკოსის ოთახიდან მოიპარეს. დაკარგული ინსტრუმენტი მანამდე გამოჩნდა, სანამ მისი დაზაფრული მფლობელი დანაკარგის შესახებ განცხადებას მოასწრებდა.

ვიოლინოს ქურდი 41 წლის მამაკაცი აღმოჩნდა. მან მხოლოდ იმიტომ იქურდა, რომ ვიოლინოზე ფულის გაკეთება უნდოდა, თურმე არც სტრადივარიუსი აღელვებდა, არც ინსტრუმენტის ისტორიული მნიშვნელობა. საბედნიეროდ, მას პოლიცია ესტუმრა, მაგრამ სულ სხვა საქმის გამო – სხვა დაკარგულ ნივთს ეძებდნენ, ქურდი კი უწინაც იყო ანტიკვარული ნივთების გადაყიდვაში შემჩნეული. პოლიციელმა, რომელსაც ინსტრუმენტებისა ასევე არაფერი გაეგებოდა, იფიქრა, რომ ვიოლინოც მოპარული იქნებოდა. მისი ეჭვი 20 წუთის შემდეგ გამართლდა, როცა ინსტრუმენტის კანონიერი მფლობელი, როგორც იქნა, გონს მოეგო და პოლიციაში განაცხადა, ვიოლინო მომპარესო.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

## კროსვორდი



**წამალი "სალხინო"**
**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში